

ნ. აგელაშვილი

**ტექნიკური სისტემების
დიაგნოსტიკა**

„ტექნიკური უნივერსიტეტი“

6. აბელაშვილი

ტექნიკური სისტემების დიაგნოსტიკა



რეკომენდებულია სტუ-ის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს
მიერ. 03.04.2013, ოქთი №2

თბილისი
2013

საერთაშორისო პრაქტიკაში დიაგნოსტიკული ფართოდ გავრცელებული მეთოდების გაღმოცემა, გაცნობიერება და შესწავლა, რომლებიც უზნდამენტურ მეცნიერებათა უკანას-კელ მიღწევებზეა დამყარებული დამხმარე სახელმძღვანელოს განხილულების ძირითად საგანს წარმოადგენს.

ნაშრომი განკუთვნილია ტექნიკური სისტემების პროექტირების, ექსპლუატაციის, და-აგნოსტირებისა და სარგმონტო სამუშაოების ასევე მათი გამოცდისა და კონტროლის შემსწავლელი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის. სახელმძღვანელო ასევე ქმედით დახმარებას გაუწევს აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ ყველა მკითხველს.

რეცენზენტები: სრული პროფესორი ზ. აზმაიფარაშვილი,
ასოც. პროფოსორი ი. მოდებაძე

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2013

ISBN 978-9941-20-388-6

<http://www.gtu.ge/publishinghouse/>

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის ნებისმიერი ნაწილის (ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვ.) გამოყენება არც ერთი ფორმითა და საშუალებით (ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საკუთრო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.



	შინაარსი
შესავალი	5
1. ტექნიკური დიაგნოსტიკის ამოცანის ჩამოყალიბება	10
1.1. ამოცანის ჩამოყალიბების მათემატიკური მხარე	10
1.2. დიაგნოსტიკის სტატისტიკური მეთოდები.	12
1.3. ბაიგუსის განზოგადებული ფორმულა	13
1.4. დიაგნოსტიკური მატრიცა	14
1.5. ბაიგუსის მეთოდის გამოყენების კონკრეტული მაგალითი	15
1.6. დიაგნოსტიკურების გადამწყვები წესი	17
2 გიბროდიაგნოსტიკა	18
2.1. ზოგადი ცნობები ვიბროდიაგნოსტიკის შესახებ	18
2.2. ვიბრაციული გარდამქმნელების ტიპები	20
2.3. ვიბროდიაგნოსტიკის მეთოდები	22
3 ულტრაბგერითი კონტროლი. ზოგადი ცნობები	26
3.1. აკუსტიკური მეთოდების კლასიფიკაცია	29
3.1.1 აკუსტიკური დიაგნოსტიკის აქტიური მეთოდები. გავლის მეთოდი	29
3.1.2. აკუსტიკური სიგნალის არეკვლის მეთოდები	31
3.1.3. აკუსტიკური კონტროლის კომბინირებული მეთოდი	32
3.1.4. აკუსტიკური კონტროლის საკუთარი სისშირეების მეთოდი	33
3.1.5. აკუსტიკური დიაგნოსტიკის იმპედანსური მეთოდი	35
3.2. დიაგნოსტიკის პასიური აკუსტიკური მეთოდები	36
3.3. აკუსტიკური მეთოდების გამოყენების სფეროები	37
4. გამა-დეფექტოსკოპია	39
4.1. რადიოგრაფიული მეთოდები	39
4.2. კონტროლის მეთოდიკა და ტექნიკა	40
4.3. დასხივების სქემები	42
4.4. რადიოგრაფიული სურათების გაშიფვრა	45
4.5. საკონტროლო ობიექტის ხარისხის შეფასება სურათის მიხედვით	48
5. კაპილარული დეფექტოსკოპია. ძირითადი ცნობები	50
5.1. დეფექტოსკოპიური მასალები	51
5.2. კაპილარული კონტროლის ჩატარების ორგანიზაცია.	53
5.3. კონტროლის შედეგების მგრძნობიარობა და შეფასება	56
6. სპექტრული ანალიზი	57
6.1. სპექტრული ანალიზის ძირითადი მახასიათებლები და მისი გამოყენების სფერო	60
7. მექანიკური გამოცდები	63
8. მეტალოგრაფია	68
9. ზოგადი ცნობები აკუსტიკური ემისიის შესახებ	71
9.1. აკუსტიკური ემისიის ფიზიკური არსი	72
10. თერმოგრაფია	75
ლიტერატურა	77

შესავალი

ტექნიკის განვითარების თანამედროვე ამოცანებმა, ხარისხის, საიმედოობის, უავარიო მუშაობის, შესასრულებელი ფუნქციების სიზუსტისა და ტექნოლოგიურობისადმი გაზრდილმა მოთხოვნებმა მკვეთრად გაზარდა ტექნიკური დიაგნოსტიკის მეთოდების შექმნისა და დიაგნოსტიკური საშუალებების გამოყენების აუცილებლობა, რითაც იგი ჩამოყალიბდა, როგორც ტექნიკური უზრუნველყოფის დამოუკიდებელი მიმართულება. სამომხმარებლო ბაზრის მაღალი კონკურენტული გარემო, რომელიც მკვეთრად ზრდის პროდუქციის ხარისხისადმი წაყენებულ მოთხოვნებს ტექნიკური სისტემების თვითღირებულების შემცირებისაკენაა ორიენტირებული (მასალების, ტექნოლოგიურობის, დამუშავებისა და დამზადების დროის შეზღუდული რესურსების პირობებში), ამასთან უსაფრთხოების, შეუფერხებელი მუშაობის, ხანგამძლეობის მოთხოვნები არავითარ შედავათს არ ითვალისწინებს განსაკუთრებით რთული და ძვირად ღირებული სისტემების მიმართ. ამიტომ ტექნიკური დიაგნოსტიკის მიმართულება რჩება ერთადერთ გონივრულ გადაწყვეტილებად ტექნიკურ სისტემებში ასეთი ურთიერთგამომრიცხავი ამოცანების გადაწყვეტისას.

ტექნიკური დიაგნოსტიკა წარმოადგენს ტექნიკური ბუნების ობიექტების დაფაქტების მოკვლევისა და აღმოჩენის თეორიას, მეთოდებსა და საშუალებებს. დაფაქტი განიხილება, როგორც ობიექტის მოცემულ, მოთხოვნილ ან მოსალოდნელ ნებისმიერ თვისებასთან შეუსაბამობა. დიაგნოსტიკა არის ობიექტში დაფაქტის არსებობისა თუ არარსებობის ფაქტის დადასტურება. დაფაქტის მოძიება გულისხმობს გარკვეული აღბათობით (სიზუსტით) მისი ადგილმდებარეობის მითითებას ობიექტში.

ტერმინი “დიაგნოსტიკა” წარმოდგება ბერძნული სიტყვა “დიაგნოზისაგან”, რაც ქართულ ში გარჩევას, განსაზღვრას ნიშნავს. სადიაგნოსტიკო პროცესში დაინტება დიაგნოზი, ეს შეიძლება იყოს ავადმყოფის მდგომარეობის განსაზღვრა (სამედიცინო დიაგნოსტიკა) ან ტექნიკური სისტემის მდგომარეობის დადგენა (ტექნიკური დიაგნოსტიკა).

ტექნიკური დიაგნოსტიკის ძირითადი დანიშნულებაა ობიექტის საიმედოობის ამაღლება მისი დამზადების, ექსპლუატაციის და შენახვის დროს.

დიაგნოსტიკური უზრუნველყოფა საშუალებას იძლევა გავზარდოთ ობიექტის სწორი ფუნქციონირების სანდობა, გავზარდოთ მისი მუშაობის ხანგრძლივობა და შეუფერხებელი მუშაობის დრო.

მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდნენ დამზადებული (ახალი) ან ექსპლუატაციაში მყოფი ობიექტები, განისაზღვრება შესაბამისი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციით. ითვლება, რომ ობიექტი, რომელიც აკმაყოფილებს ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის ყველა მოთხოვნას ტექნიკურად გამართულია.

ექსპლუატაციის პირობებისათვის მნიშვნელოვანია ცნება ობიექტის მუშა ტექნიკური მდგომარეობა. ობიექტი მუშა მდგომარეობაშია, თუ მას შეუძლია შეასრულოს ყველა დაკისრებული ფუნქცია მოცემული პარამეტრების (ნიშან-თვისებების) შენარჩუნებით მოთხოვნილ საზღვრებში.

თუ ობიექტის დანიშნულების მიხედვით გამოყენების მომენტში მისი პარამეტრები (ნიშან-თვისებები) მოთხოვნილ საზღვრებშია, მაშინ ის სწორად ფუნქციონირებადი ობიექტია.

სადიაგნოსტიკო ობიექტები შეიძლება დაიყოს გაუმართავ, არამუშა ტექნიკური მდგომარეობის ან არასწორი ფუნქციონირების ტექნიკური მდგომარეობის ობიექტებად, თუ მითითებული იქნება ობიექტის ერთ ან რამდენიმე შემადგენელი ნაწილის ან მთლიანად ობიექტის შესაბამისი დაფაქტები, რომლებიც გამართულობას, მუშაობისუნარიანობას ან სწორად ფუნქციონირების პირობას არღვევენ.

დაფაქტების ძიება და აღმოჩენა ობიექტის ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრის პროცესებია. ისინი ერთიანდებიან საერთო ტერმინით ”დიაგნოსტიკა”. დიაგნოზი დიაგნოსტიკის შედეგია.

ნებისმიერი ობიექტის ტექნიკური მდგომარეობის დიაგნოსტიკა ხორციელდება ამა თუ იმ სადიაგნოსტიკო საშუალებებით. სადიაგნოსტიკო საშუალებები შეიძლება იყოს აპარატურული ან პროგრამული; სადიგნოსტიკო საშუალების როლში შეიძლება

ადამიანი-ოპერატორი, კონტროლიორი ან გამწყობი მოგვევლინოს. სადიაგნოსტიკო საშუალებები და სადიაგნოსტიკო ობიექტები ერთობლივი მოქმედებისას ქმნიან სადიაგნოსტიკო სისტემას. განასხვავებენ ტესტურ და ფუნქციური დიაგნოსტიკის სისტემებს. ტესტური სადიაგნოსტიკო სისტემების გამოყენებისას ობიექტზე ხდება სპეციალურად ორგანიზებული ტესტური ზემოქმედება. ფუნქციური სადიაგნოსტიკო სისტემაში, რომლსაც ობიექტის დანიშნულების მიხედვით მუშაობისას გამოიყენებენ, ტესტური ზემოქმედება, როგორც წესი, გამორიცხულია; ობიექტზე ზემოქმედებენ მხოლოდ ფუნქციონირების ალგორითმის შესაბამისად.

სადიაგნოსტიკო სისტემა ობიექტის ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრის პროცესში ახდენს ტესტური ან ფუნქციური სადიაგნოსტიკო ალგორითმის რეალიზაციას. სადიაგნოსტიკო ალგორითმი ზოგადად შედგება ე.წ. ელემენტარული შემოწმებების გარკვეული ერთიანობისაგან, ასევე ობიექტის ელემენტარული შემოწმებების თანმიმდევრობის და დიაგნოსტიკის შედეგების ანალიზის წესებისაგან. თითოეული ელემენტარული შემოწმება ხასიათდება თავისი მიწოდებული ან შემოსული ტესტური ან მუშა ზემოქმედებით და საკონტროლო წერტილების შედეგით, რომელთაგანაც იხსნება ობიექტის პასუხები ზემოქმედების ფაქტორების შესახებ.

სადიაგნოსტიკო სისტემის შექმნისას გადასაზყვარია ობიექტის შესწავლის, შესაძლო დეფექტებისა და გამოვლენების ნიშნების, ობიექტის ქცევის გამართული და გაუმართავი მოდიფიკაციის მოდელის აგების ან არჩევის ამოცანები.

ობიექტის ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრის პროცესში განიხილება ცნებები ”მართვა”, ”კონტროლი” და ”დიაგნოსტირება”.

”მართვა” გულისხმობს მიზანმიმართული მმართველი გადაწყვეტილების გამომუშავებისა და ობიექტზე ზემოქმედების განხორციელების პროცესს.

”კონტროლი” არის ობიექტის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების პროცესი მოვლენის განსაზღვრის მიზნით. თუ მოვლენა გულისხმობს ობიექტის რომელიმე პარამეტრის მიერ წინასწარ განსაზღვრული მნიშვნელობის მიღწევის ფაქტს, მაშინ შეიძლება ვისაუბროთ მოცემული პარამეტრის კონტროლის შესახებ. თუ დასაფიქსირებელია ობიექტის გამართული თუ გაუმართავი, მუშა ან არამუშა, სწორი ან არასწორი ფუნქციონირების მდგომარეობა, მაშინ საჭმე გვაქვს ობიექტის ტექნიკური მდგომარეობის კონტროლთან.

ტესტური სადიაგნოსტიკო სისტემები მართვის სისტემებია, რადგანაც მათში რეალიზებულია, ობიექტზე სპეციალურად ორგანიზებული ტესტური (მმართველი) ზემოქმედების გამომუშავება და განხორციელება, მისი ტექნიკური მდგომარეობის დასადგენად.

ფუნქციური სადიაგნოსტიკო სისტემები კონტროლის სისტემებია (ფართო გაგებით), ობიექტზე მიზანმიმართული ზემოქმედების აუცილებლობის გარეშე. ამ თვალსაზრისით, მაგალითად, არარღვევითი (არადამაზიანებელი, არარღვევადი) კონტროლის სისტემები გვევლინება ტესტური სადიაგნოსტიკო კლასად, ხოლო ტექნიკური მდგომარეობის კონტროლის ვიბრაციულური სისტემები - ფუნქციური სადიაგნოსტიკო სისტემებია.

ობიექტის (ან პროცესის) ფორმალიზებული მოდელი არის მისი ანალიზური, გრაფიკული, ცხრილური ან სხვა ფორმით აღწერა. სადიაგნოსტიკო მარტივი ობიექტებისათვის მოსახერხებელია ე.წ. აშკარა მოდელის გამოყენება, რომელიც გამართული ობიექტის აღწერასთან ერთად შეიცავს გაუმართავი მოდიფიკაციის აღწერასაც.

სადიაგნოსტიკო ობიექტის ცალსახა მოდელი გულისხმობს მის მხოლოდ ერთი აღწერილობის არსებობას, მაგალითად გამართული ობიექტის აღწერილობას, ხოლო ფორმალიზებული მოდელი დეფექტების და მათი მიღების წესის აღწერას დეფექტების მოდელების მიხედვით ობიექტის ყველა გაუმართავი მოდიფიკაციისათვის.

არსებობენ ობიექტის ფუნქციური და სტრუქტურული მოდელები. პირველი ასახავს ობიექტის მუშა შესასვლელებსა და გამოსასვლელებზე გამართული ან გაუმართავი ობიექტის ყველა ფუნქციას, ხოლო მეორე, ამის გარდა, შეიცავს ინფორმაციას ობიექტის შიგა ორგანიზაციის, მისი სტრუქტურის შესახებ. ფუნქციური მოდელი საშუალებას გვაძლევს გადავწყვიტოთ ობიექტის

მუშაობისუნარიანობისა და სწორი ფუნქციონირების ამოცანა. ობიექტის გამართულობის შესამოწმებლად (ზოგადად) და უფრო ღრმად მიმავალი დეფექტების ძიებისათვის, გამოიყენებენ სტრუქტურულ მოდელებს.

სადიაგნოსტიკო ობიექტის მოდელები შეიძლება იყოს დეტერმინირებული და ალბათური. დეტერმინირებულ მოდელს მიმართავენ, როდესაც შეუძლებელია ობიექტის ქცევის დეტერმინირებული აღწერა.

სადიაგნოსტიკო ობიექტის მოდელები საჭიროა ფორმალიზებული მოდელის სადიაგნოსტიკო ალგორითმის შესაქმნელად.

სადიაგნოსტიკო ალგორითმის შექმნა გულისხმობს ისეთი ელემენტარული შემოწმებების შერჩევას, რომელთა შედეგების მიხედვით დეფექტების აღმოჩენის ამოცანაში შესაძლებელი იქნება ობიექტის გამართული და გაუმართავი მდგომარეობის ან ობიექტის გამართული და გაუმართავი ფუნქციონირების მდგომარეობის და დეფექტების ძიების ამოცანებში გაუმართავი მდგომარეობის გარჩევა.

ობიექტის სადიაგნოსტიკო არაცალსახა მოდელების სადიაგნოსტიკო ალგორითმის აგებისას ელემენტარული შემოწმებები შეირჩევა ტექნიკური მდგომარეობის აღწერის იმ წყვილთა შედარებით, რომელთა ტექნიკური მდგომარეობის განსხვავების დადგენაცაა მოთხოვნილი. ტეხსტურ სადიაგნოსტიკო ამოცანაში ობიექტის საკონტროლო წერტილების შედგენილობა ხშირად წინასწარ განსაზღვრული და ერთნაირია ყველა ელემენტარული შემოწმებისათვის. ასეთ შემთხვევაში ირჩევენ ელემენტარული შემოწმებების მხოლოდ შესასვლელ ზემოქმედებებს - ეს ტეხსტების აგების ამოცანაა. ფუნქციურ სადიაგნოსტიკო ამოცანებში, პირიქით, ელემენტარული შემოწმებების შესასვლელი ზემოქმედებები წინასწარ შერჩეულია ობიექტის ფუნქციონირების მუშა ალგორითმით და არჩევას ექვემდებარება მხოლოდ საკონტროლო წერტილების შედგენილობა.

სადიაგნოსტიკო ერთი და იმავე ამოცანის გადაწყვეტისას (მაგ. გამართულობის შემოწმება) შეიძლება აიგოს რამდენიმე ალგორითმი, რომელთა რეალიზაცია შესაძლებელია ან ელემენტარული შემოწმების საშუალებით ან მათი თანმიმდევრობითი რეალიზაციით.

სადიაგნოსტიკო ოპერაციების შრომის ნაყოფიერების გაზრდის, დეფექტების მოძიებისა და აღმოფხვრის, სადიაგნისტიკო საშუალებების მოცულობისა და სირთულის შემცირების აუცილებლობა, გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს ისეთი ოპტიმალური ალგორითმების მეთოდების შექმნისას, რომელთა რეალიზაცია მინიმალურ დანახარჯს მოითხოვს.

სადიაგნოსტიკო საშუალებები შეიძლება იყოს აპარატურული ან პროგრამული, გარეგანი ან ჩაშენებული, ხელის, ავტომატიზებული ან ავტომატური, სპეციალიზებული ან უნივერსალური.

ფუნქციური სადიაგნოსტიკო საშუალებები, როგორც წესი, ჩაშენებულია, ამიტომაც მათი დამუშავება და შექმნა ობიექტთან ერთად მიმდინარეობს.

ობიექტის კონტროლვარგისიანობას უზრუნველყოფს შესამოწმებელი ობიექტის სტრუქტურის გარდაქმნა სადიაგნოსტიკო მოსახერხებელ ფორმად. ამიტომ ობიექტში ჯერ კიდევ დაპროექტების ეტაპზე შეკვავთ ტეხსტური სადიაგნოსტიკო დამატებითი ჩაშენებული საშუალებები.

სადიაგნოსტიკო ამოცანები - დროის მოცემულ მოქმნები ან მომავალში ობიექტის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ამოცანებია.

პირველი ტიპის ამოცანები ფორმალურად შეიძლება მივაკუთვნოთ ტექნიკურ დიაგნოსტიკას, ხოლო მეორე ტიპის ამოცანები ტექნიკურ პროგნოსტიკას. არსებობს მესამე ტიპის ამოცანებიც - ობიექტის ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრა წარსულის რომელიდაც მომენტში, რომელიც ტექნიკური გენეტიკის სახელითაა ცნობილი. ტექნიკური გენეტიკის ამოცანები შეისწავლება ავარიის მიზეზების გამოკვლევისას, როდესაც ობიექტის ტექნიკური მდგომარეობა, დროის განსახილველ მოქმნები, განსხვავდება წარსულში ავარიის გამომწვევი პირველადი მიზეზის წარმოშობის მდგომარეობისაგან. ამ ამოცანების გადაწყვეტა დაფუძნებულია ობიექტის დღევანდელი მდგომარეობის გამომწვევი ალბათური წინაისტორიების განსაზღვრაზე. ტექნიკური პროგნოსტიკის ამოცანებს მიეკუთვნება ობიექტის მუშაობის ხანგრძლივობის ან პროფილაქტიკური შემოწმებისა და რემონტის ვადის დადგენის

ამოცანები. ამ ამოცანათა გადაჭრა ხორციელდება დროის მოცემული მომენტიდან დაწყებული ობიექტის მდგომარეობის შესაძლო ან ალბათური ეფოლუციის განსაზღვრით.

პროგნოზირების ამოცანათა გადაჭრა მეტად მნიშვნელოვანია, კერძოდ, ობიექტის ტექნიკური მომსახურების ორგანიზაციისათვის მოცემული მომენტისათვის მისი მდგომარეობის მიხედვით (ნაცვლად სარესურსო მომსახურებისა). სადიაგნოსტიკო ამოცანათა უშუალო გადატანა პროგნოზირების ამოცანებზე დაუშვებელია, მუშა მოდელთა განსხვავების გამო, კერძოდ: მოდელით დიაგნოსტიკას ჩვეულებრივ იყენებენ ობიექტის აღწერილობას, მაშინ როდესაც პროგნოზირებისას აუცილებელია ობიექტის ტექნიკური მდგომარეობის მახასიათებლების დროში ეფოლუციის პროცესის განხილვა.

სადიაგნოსტიკო სისტემის ხარისხის მთავარი მაჩვენებელია დაფაქტის გარანტირებული და სრული აღმოჩენა და ძიების სიღრმე.

გარჩევადობის მეოდების ზოგადი თეორიისა და დიაგნოსტიკის მათემატიკური თეორიის საკითხების დაუფლება საშუალებას გვაძლევს უფრო დასაბუთებულად შევარჩიოთ დიაგნოსტიკის კონკრეტული ხერხები და მათი შესაბამისი გადაწყვეტის წესები.

ტექნიკური დიაგნოსტიკა არის მეცნიერებაა ტექნიკური სისტემის მდგომარეობის გარჩევის შესახებ, რომელიც დიაგნოსტიკური ინფორმაციის მოპოვებისა და შეფასების პრობლემათა ფართო წრეს მოიცავს.

როგორც განმარტებიდან ჩანს ტექნიკური დიაგნოსტიკა შეისწავლის დიაგნოსტიკური ინფორმაციის მოპოვებისა და შეფასების მეთოდებს, დიაგნოსტიკურ მოდელებსა და გადაწყვეტილების მიღების ალგორითმებს. ტექნიკური დიაგნოსტიკის მიზანია ტექნიკური სისტემების საიმედოობისა და სამუშაო რესურსის გაზრდა.

როგორც ცნობილია, საიმედოობის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელი ტექნიკური სისტემის მუშაობის პროცესში შეფერხებების არარასებობაა. მაგალითისათვის შეიძლება წარმოვიდგინოთ რა შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს თვითმფრინავის ან გემის ძრავას მტყუნებამ ფრენისას და ცურვისას, რომ არაფერი ვთქვათ ენერგეტიკულ დანადგარებში წარმოქმნილი მტყუნების შესახებ (ჩერნობილი, ფუჟუშიმა).

ტექნიკურ სისტემებში ადრეულ სტადიებზე დაფაქტებისა და გაუმართაობების აღმოჩენა საშუალებას იძლევა მკვეთრად შემცირდეს შეფერხებების რიცხვი და თავიდან ავიცილოთ შესაძლო მძიმე შედეგები, რაც მკვეთრად ზრდის ტექნიკური სისტემების ეფექტურობასა და საექსპლუატაციო საიმედოობას, ასევე საშუალებას იძლევა დარჩეს ექსპლუატაციაში სისტემა ფაქტობრივი მდგომარეობის განსაზღვრის შემდეგ. პრაქტიკაში ასეთი სისტემის რესურსი განისაზღვრება ნაკეთობის ყველაზე “სუსტი” ეგზემპლარების საშუალებით. თითოეული ეგზემპლარი ექსპლუატაციაშია ტექნიკური სისტემის დიაგნოსტიკის ზღვრული მნიშვნელობის რეკომენდაციის მიხედვით. ასეთი სახის, ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით, ექსპლუატაციას შეუძლია მოიტანოს ეკონომიკური ეფექტი, ამ ტიპის ექსპლუატაციაში მყოფ მანქანათა პარკის საერთო დირებულების 30 %-ის ფარგლებში.

ტექნიკური დიაგნოსტიკა ამოცანათა ძალიან ფართო წრეს განიხილავს, რომელთაგან უმეტესობა მჭიდრო კავშირშია მომიჯნავე დისციპლინების ამოცანებთან. ტექნიკური დიაგნოსტიკის ძირითადი ამოცანაა შეზღუდული დიაგნოსტიკური ინფორმაციის პირობებში ტექნიკური სისტემების მდგომარეობის გარჩევადობა. ტექნიკურ დიაგნოსტიკას ხშირად დაუშლელ დიაგნოსტიკასაც უწოდებენ ანუ დიაგნოსტიკას, როდესაც ობიექტის მდგომარეობის ანალიზი ექსპლუატაციის პირობებში ხორციელდება, ნაკეთობის დაშლის გარეშე. ხშირად ინფორმაციის სიმცირის გამო შეუძლებელია მსჯელობა ობიექტის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ ასეთ დროს სრულყოფილი ანალიზის ჩასატარებლად მიზანშეწონილია სტატისტიკური მეთოდების გამოყენება.

ტექნიკური დიაგნოსტიკის ძირითადი ამოცანის გადაჭრის თეორიული საფუძველია სახეობ გარჩევის ზოგადი თეორია.. ეს თეორია, რომელიც ტექნიკური კიბერნეტიკისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს შეისწავლის ნებისმიერი ბუნების (გეომეტრიული, ბგერითი, ოპტიკური და სხვა.) სახეობ გარჩევის


(მეტყველების, ნაბეჭდი და ხელნაწერი ტექსტების და სხ.) ალგორითმებს დიაგნოსტიკურ ამოცანებთან მიმართებაში.

სახეობა გარჩევის ალგორითმები ტექნიკურ დიაგნოსტიკაში უმეტესად ეფუძნება დიაგნოსტიკურ მოდელებს, რომლებიც ამფარებენ კავშირს ტექნიკური სისტემის მდგომარეობასა და მათ ასახვებს შორის დიაგნოსტიკური სიგნალების სივრცეში. დიაგნოსტიკური ამოცანის გადაწყვეტა (ობიექტისთვის გამართული თუ გაუმართავი მდგომარეობის მინიჭება) ყოველთვის დაკავშირებულია ყალბი განგაშის ან მიზნის გამოტოვების გარკვეულ რისკთან. დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას სტატისტიკური გადაწყვეტის მეთოდი.

ტექნიკური დიაგნოსტიკის ამოცანების ამოხსნა ყოველთვის დაკავშირებულია საიმედოობის პროგნოზებთან ექსპლუატაციის უახლოესი პერიოდისათვის (შემდეგ ტექნიკურ დათვალიერებამდე). ამ შემთხვევაში გადაწყვეტები დაფუძნებული უნდა იყოს საიმედოობის ოცნებიდან ცნობილ უარების მოდელებზე.

ტექნიკური დიაგნოსტიკის მეორე მნიშვნელოვანი მიმართულებაა ნაკეთობის კონტროლუნარიანობის თეორია. კონტროლუნარიანობა ნაკეთობის თვისებაა უზრუნველყოს მისი ტექნიკური მდგომარეობის, აღრე აღმოჩენილი გაუმართაობებისა და შეფერხების სანდო შეფასება. კონტროლუნარიანობის თეორიის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დიაგნოსტიკური ინფორმაციის მიღების მეთოდებისა და საშუალებების შესწავლა. რთულ ტექნიკურ სისტემაში გამოიყენება ტექნიკური მდგომარეობის ავტომატიზებული კონტროლის სისტემა, რომლიც გულისხმობს დიაგნოსტიკური სიგნალის მიღების, დამუშავებისა და მმართველი სიგნალის ფორმირების აგტომატიზებულ მექანიზმს. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია კონტროლუნარიანობის თეორიის ამოცანა, რომელიც გულისხმობს გაუმართაობების აღმოჩენის ალგორითმების შექმნას, დიაგნოსტიკური ტექსტების დამუშავებას და დასკვნის გამოტანის პროცესის მინიმიზაციას.

ტექნიკური დიაგნოსტიკის სტრუქტურა მოიცავს ორ ურთიერთგადამფარავ და ურთიერთდაკავშირებულ მიმართულებას – სახეობა გარჩევის და კონტროლუნარიანობის თეორიებს (სურ.1). გარჩევადობის თეორია მოიცავს სტრუქტურებს, რომელიც დაკავშირებულია ალგორითმების აგებასთან, გადაწყვეტილების მიღების წესებთან და დიაგნოსტიკური მოდელების შექმნასთან. კონტროლუნარიანობის თეორია მოიცავს დიაგნოსტიკური ინფორმაციის მიღების, გაუმართაობების ავტომატიზებული კონტროლისა და მოძიების მეთოდებისა და საშუალებების შექმნას.



სურ.1. ტექნიკური დიაგნოსტიკის სტრუქტურა

ზემოთქმულის გათვალისწინებით ტექნიკური დიაგნოსტიკა შესაძლებელია განხილული იქნას, როგორც საიმედოობის ზოგადი თეორიის შემადგენელი ნაწილი.

1. ტექნიკური დიაგნოსტიკის ამოცანის ჩამოყალიბება

საწყისი ცნებები. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც აუცილებელია ამათუ იმ კვანძის დეფექტის დადგენა მოწყობილობის ექსპლუატაციის პირობებში. მაგალითად როგორი მექანიზმის კბილანების დერებისა და კბილების ცვეთის ხარისხის დადგენა. მათ ცვეთას შეუძლია გამოიწვიოს ნომინალური გეომეტრიული ზომებიდან არასასურველი გადახრები, რაც შესაძლებელია ლითონის დაღლილობის გამო, კვანძის რდვევის მიზეზი გახდეს. ექსპლუატაციის პროცესში რედუქტორის დაშლის გარეშე მისი შიგთავსის უშუალო დათვალიერება შეუძლებელია ანუ აუცილებელია კვანძის და შესაბამისად მანქანის ექსპლუატაციის შეჩერება, ეს კი მანქანის საექსპლუატაციო ხარჯის ზრდას გამოიწვევს. ადნიშნულმა გაუმართობამ შესაძლებელია თავი იჩინოს რედუქტორის აკუსტიკური ფონის ზრდით, კორპუსის რევის სპექტრში შესაბამისი მდგრენელების გააქტიურებით, ნამუშევარ ზეთში ლითონის შემცველობის ზრდით და სხვა პარამეტრების ცვლილებით.

ტექნიკური დიაგნოსტიკის ამოცანაა არაპირდაპირი პარამეტრების გაზომვის მონაცემების მიხედვით კბილანის კბილებისა და ლერძის ცვეთის (ზედაპირული ფენის დაზიანება) ხარისხის დადგენა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტექნიკური დიაგნოსტიკის ერთერთი თავისებურებაა გარჩევადობა ინფორმაციის შეზღუდული რაოდენობის პირობებში, ამიტომაც აუცილებელია საფუძვლიანი გადაწყვეტილების მიღებისას გიხელმძღვანელოთ გარჩევული ხერხებითა და წესებით.

სისტემის მდგომარეობა აიწერება მისი მდგომარეობის მაჩვენებელი ნიშნების (პარამეტრების) ერთობლიობით (სიმრავლით). იგულისხმება, რომ განმსაზღვრელი პარამეტრების სიმრავლე ერთმანეთისაგან განსხვავდებულია, პირველ რიგში, თვით გარჩევის ამოცანიდან გამომდინარე. მაგალითად, განხილული სისტემის მდგომარეობის გასარკვევად საკმარისია პარამეტრების რამდენიმე ჯგუფი, მგრამ თუ სადიაგნოსტიკო ობიექტი სხვა დეტალებიცაა მაშინ აუცილებელია სხვა ჯგუფის პარამეტრების დამატებაც.

სისტემის მდგომარეობის გარჩევადობა ნიშნავს სისტემის მდგომარეობის მიკუთვებას რომელიმე შესაძლებელი კლასისთვის (დიაგნოზისთვის). დიაგნოზების რაოდენობა (კლასები, ტიპური მდგომარეობები, ეტალონები) დამოკიდებულია ამოცანის თავისებურებებსა და კვლევის მიზნებზე.

ხშირად აუცილებელი ხდება არჩევანის გაკეთება ორ დიაგნოზს შორის (დიფერენციაური დიაგნოსტიკა ან დიქოტომია; მაგალითად, “გამართული მდგომარეობა” და “გაუმართავი მდგომარეობა”). სხვა შემთხვევებში აუცილებელია უფრო დაწერილებით დახასიათდეს გაუმართავი მდგომარეობა, მაგალითად კბილანის კბილების მომატებული ცვეთა, ტურბინის ფრთების მომატებული ვიბრაცია და სხვა. თუ დიაგნოსტიკის ამოცანაში წინასწარ დადგენილია დიგნოზი (კლასი), მაშინ გარჩევადობის ამოცანა დაიყვანება გაუმართაობის კლასიფიკაციის ამოცანაზე.

ტექნიკური დიაგნოსტიკის მრავალი ამოცანის გადაჭრა დაკავშირებულია ინფორმაციის დიდი რაოდენობის დამუშავებასთან, ამიტომ დიგნოსტიკური ნიშნის გარჩევადობის ამოცანის გადაწყვეტისათვის აუცილებელია მონაცემთა დამუშავების ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოყენება.

გარჩევადობის ალგორითმი არის გარჩევადობის პროცესის თანამიმდევრულ მოქმედებათა ერთიანობა. ამ პროცესის არსებითი ნაწილია დიაგნოსტიკური პარამეტრების რაციონალური შერჩევა, როგორიც სისტემის მდგომარეობას ადეკვატურად აღწერს. მათ მოეთხოვებათ მაღალი ინფორმაციულობა დიაგნოზების არსებული შესაძლო რაოდენობიდან დიაგნოსტიკური პროცესის განხორციელებისათვის.

1.1. ამოცანის ჩამოყალიბების მათემატიკური მხარე

დიაგნოსტიკის ამოცანებში სისტემის მდგომარეობა ხშირად აიწერება დიაგნოსტიკური ნიშნების (პარამეტრების) კომპლექსით

$$\mathbf{K} = (\mathbf{k}_1, \mathbf{k}_2, \dots, \mathbf{k}_j, \dots, \mathbf{k}_v)$$

სადაც \mathbf{k}_j არის დიაგნოსტიკური პარამეტრი \mathbf{m}_j – თანრიგების რაოდენობით.

ვთქვათ, დიაგნოსტიკური პარამეტრი (ნიშანი) \mathbf{k}_j წარმოადგენს სამთანრიგიან პარამეტრს ($\mathbf{m}_j = 3$), რომელიც ახასიათებს აირის ტემპერატურას ტურბინის გარეთ სამი მახასიათებელი მდგომარეობით დაბალი, ნორმალური, მაღალი. \mathbf{k}_j პარამეტრის თითოეული თანრიგი (ინტერვალი) აღინიშნება \mathbf{k}_{js} – ით, მაგალითად, ტურბინის გარეთ აირის მაღალი ტემპერატურა \mathbf{k}_{j3} . ფაქტობრივად დაკვირვების მდგომარეობა შეესაბამება პარამეტრის რეალიზაციის გარკვეულ მნიშვნელობას, რომელიც ასეთი სახის (*) ზედა ინდექსით აღინიშნება. მაგალითად, მაღალი ტემპერატურის დროს პარამეტრის რეალიზაცია $\mathbf{k}_j^* = \mathbf{k}_{j3}$.

ზოგადად სისტემის თითოეული ეგზემპლარი შეესაბამება პარამეტრების კომპლექსის რომელიღაც რეალიზაციას:

$$\mathbf{K}^* = (\mathbf{k}_1^*, \mathbf{k}_2^*, \dots, \mathbf{k}_j^*, \dots, \mathbf{k}_v^*).$$

გარჩევადობის მრავალ ალგორითმში სისტემის დახასიათება მოსახერხებელია X_j პარამეტრით, რომელიც წარმოქმნის v -განზომილებიან ვექტორს ან წერტილს v -განზომილებიან სივრცეში:

$$\mathbf{X} = (x_1, x_2, \dots, x_j, \dots, x_v)$$

უმეტეს შემთხვევაში x_j პარამეტრს გააჩნია უწყვეტი განაწილება. თუ x_j პარამეტრი აირის ტემპერატურას აღნიშნავს ტურბინის გარეთ მაშინ $x_j(^{\circ}\text{C})$ პარამეტრსა და სამთანრიგიან \mathbf{k}_j დიაგნოსტიკურ პარამეტრს შორის შესაბამისობას ეჭნება ასეთი სახე:

< 450	\mathbf{k}_{j1}
$450 - 550$	\mathbf{k}_{j2}
> 500	\mathbf{k}_{j3}

ამ შემთხვევაში \mathbf{k}_j დიაგნოსტიკური ნიშნის საშუალებით მიიღება დისკრეტული აღწერა, მაშინ როდესაც პარამეტრი x_j იძლევა უწყვეტ აღწერას. აღსანიშნავია, რომ უწყვეტი აღწერისათვის საჭიროა ბევრად მეტი მოცულობის წინასწარი ინფორმაცია, რითაც ბევრად უფრო მაღალი სიზუსტის აღწერილობა მიიღება. თუ ცნობილია პარამეტრის განაწილების სტატისტიკური სახე, მაშინ წინასწარი ინფორმაციის რაოდენობა მკვეთრად კლებულობს.

ზემოაღნიშნულიდან ნათელია, რომ სისტემის დიაგნოსტიკური და პარამეტრული ნიშნებით აღწერის შემთხვევებს შორის პრინციპული ხასიათის წინააღმდეგობა არ არსებობს, ამიტომ შემდგომში გამოყენებული ქნება აღწერის ორივე სახეობა.

ტექნიკური დიაგნოსტიკის ამოცანებში სისტემის დიაგნოსტიკური მდგომარეობა – დიაგნოზები D_i ითვლება ცნობილად.

გარჩევადობის ამოცანებში არსებობს ორი ძირითადი მიღეობა: **ალბათური** და **დეტექტირებული**.

ალბათური მეთოდების გამოყენებისას ამოცანის დასმის ხასიათი ასე ჩამოყალიბდება: მოცემულია, რომელიმე n შემთხვევით მდგომარეობაში მყოფი D_i სისტემა. ცნობილია პარამეტრების ერთობლიობა, რომელთაგან თითოეული გარკვეული ალბათობით ახასიათებს სისტემის მდგომარეობას. მოთხოვნილია აიგოს გადამწყვეტი წესი, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი იქნება დიაგნოსტიკური ნიშნების ერთობლიობა მიეკუთვნოს ერთ რომელიმე შესაძლებელ მდგომარეობას (დიაგნოზებს). სასურველია ასევე შევაფასოთ მიღებული გადაწყვეტილების საიმედოობა და მცდარი გადაყვეტილების რისკის ხარისხი.

დეტექტირინირებული მეთოდებით დიაგნისტიკებისას მოსახერხებელია ამოცანის გეომეტრიული ფორმულირება. თუ სისტემა ხასიათდება v -განზომილებიან ვექტორით \mathbf{X} , მაშინ სისტემის ნებისმიერი მდგომარეობა წარმოადგენს წერტილს პარამეტრების v -განზომილებიან სივრცეში. იგულისხმება, რომ დიაგნოზი D_i შეესაბამება განხილული პარამეტრების სივრცეს. მოთხოვნილია ვიპოვოთ გადამწყვეტი წესი, რომლის თანახმადაც წარდგენილი ვექტორი X^* (სადიაგნოსტიკო ობიექტი) მიკუთვნებული იქნება გარკვეულ დიაგნოსტიკურ სივრცეს. ამრიგად ამოცანა დაიყვანება დიაგნოსტიკური

ნიშნების სივრცის დაყოფაზე დიაგნოსტიკურ ზონებად. ამ მეთოდის გამოყენებისას ითვლება, რომ დიაგნოსტიკური ზონები ერთმანეთს არ “გადაკვეთებ” ე.ი. ერთი დიაგნოზის ალბათობა (ზონა რომელშიც მოხვდება დიაგნოსტიკური წერტილი) უდრის ერთს, ხოლო სხვა წერტილების მოხვედრის ალბათობა ნულის ტოლია ანუ ერთ ზონაში შესაძლებელია მხოლოდ ერთი დიაგნოსტიკური წერტილის არსებობა, რაც ნიშნავს, რომ მოცემული დიაგნოსტიკური ნიშანი ან გვაქვს მოცემული დიაგნოზის შემთხვევაში ან არ გვაქვს.

დიაგნოსტიკის ალბათური და დეტერმინირებული მიღგომები პრინციპულად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ალბათური მეთოდი უფრო ზოგადი სახისაა, მაგრამ იგი ხშირად წინასწარი ინფორმაციის საგრძნობლად მეტ რაოდენობას მოითხოვს. დეტერმინირებული მიღგომით შედარებით მოკლედ აიწერება მიმდინარე გარჩევადობის პროცესების არსი, ის უმნიშვნელოდაა დამოკიდებული ზედმეტ არალირებულ ინფორმაციაზე და მეტად შეესაბამება ადამიანის აზროვნების ლოგიკას. ხატოვნად შეიძლება ვთქვათ, რომ პირველ შემთხვევაში ნიშვნელოვანია ყველა გამოვლენილი დიაგნოსტიკური ნიშნის გამოკლევა, გათვალისწინება, ხოლო მეორე შემთხვევაში ხორციელდება მნიშვნელოვანი დიაგნოსტიკური ნიშნების გამორჩევა კვლევაზე დამყარებული ინტუიციური, მკვლევარის გამოცდილებასა და კვალიფიკაციაზე დამყარებული მიღგომებით.

1.2. დიაგნოსტიკის სტატისტიკური მეთოდები

- ბაიესის მეთოდი.** დიაგნოსტიკის სტატისტიკური მეთოდების ძირითადი უპირატესობა სხვა მეთოდებთან შედარებით არის მისი შესაძლებლობა ერთდროულად აღრიცხოს სხვადასხვა ფიზიკური ბუნების მქონე დიაგნოსტიკური ნიშნები, რადგან ისინი ხასიათდებიან უგანზომილებო სიდიდეებით – სისტემის სხვადასხვა მდგომარეობის დროს მათი გამოჩენის ალბათობით.

სიმარტივითა და ეფექტურობით ბაიესის მეთოდს გამორჩეული ადგილი უჭირავს დიაგნოსტიკის სტატისტიკურ მეთოდებს შორის, თუმცა გარეგეული ხასიათის ხარვეზები ამ მეთოდსაც გააჩნია, რაც წინასწარი დიაგნოსტიკური ინფორმაციის დიდი რაოდენობის აუცილებლობით, “არაპოპულარული” დაზიანებების წინასწარი უგულვებელყოფით და სხვა სახის ნაკლოვანებებით გამოიხატება. მაგრამ იმ შემთხვევებში, როდესაც სტატისტიკური მონაცემების მოცულობა საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ ბაიესის მეთოდი მიზანშეწონილია მისი გამოყენება, როგორც ერთ-ერთი საიმედო და ეფექტური მეთოდისა.

მეთოდი დამყარებილია ბაიესის მარტივი ფორმულის გამოყენებაზე. თუ მოცემულია დიაგნოზი D_i და უბრალო დიაგნოსტიკური ნიშანი k_j , რომელიც ამ დიაგნოზისას გვხვდება, მაშინ ამ სიდიდეების (ობიექტისათვის D_i მდგომარეობის და k_j დიაგნოსტიკური ნიშნის) ერთდროულად გამოჩენის ალბათობის ხდომილება იქნება:

$$P(D_i, k_j) = P(D_i)P(k_j/D_i) = P(k_j)P(D_i/k_j). \quad (1.1)$$

ამ ტოლობიდან გამომდინარეობს ბაიესის ფორმულა

$$P(D_i, k_j) = P(D_i) \frac{P(k_j/D_i)}{P(k_j)}. \quad (1.2)$$

ხალიან მნიშვნელოვანია ზუსტად განისაზღვროს ფორმულაში შემავალი ყველა სიდიდის არსი.

$P(D_i)$ – D_i დიაგნოზის ალბათობაა, რომელიც განისაზღვრება სტატისტიკური მონაცემებით (დიაგნოზის აპრიორული ალბათობა), რაც გულისხმობს, რომ თუ წინასწარ გამოკვლეულია N ობიექტი და N_i ობიექტს გააჩნდა D_i მდგომარეობა, მაშინ

$$P(D_i) = N_i/N. \quad (1.3)$$

$P(k_j/D_i)$ არის D_i მდგომარეობაში მყოფი ობიექტის k_j დიაგნოსტიკური ნიშნის გამოჩენის ალბათობა. თუ D_i - დიაგნოზიანი N_i ობიექტიდან რომელიმეს N_{ij} აღმოჩნდა დიაგნოსტიკური ნიშანი k_j , მაშინ

$$\mathbf{P}(\mathbf{k}_j/\mathbf{D}_i) = \frac{N_{ij}}{N_i}. \quad (1.4)$$

$\mathbf{P}(\mathbf{k}_j)$ არის ყველა ობიექტზე \mathbf{k}_j დიაგნოსტიკური ნიშნის გამოჩენის ალბათობა ობიექტის მდგომარეობისაგან (დიაგნოზისაგან) დამოუკიდებლად. ვთქვათ N ობიექტების საერთო რაოდენობიდან \mathbf{k}_j დიაგნოსტიკური ნიშნი აღმოაჩნდა N_j ობიექტს, მაშინ

$$\mathbf{P}(\mathbf{k}_j) = N_j/N. \quad (1.5)$$

დიაგნოზის დასახმელად $\mathbf{P}(\mathbf{k}_j)$ -ს სპეციალური გამოთვლა არ არის აუცილებელი, როგორც ამას შემდგომ ვნახავთ $\mathbf{P}(\mathbf{D}_i)$ და $\mathbf{P}(\mathbf{k}_j/\mathbf{D}_i)$ მნიშვნელობები ცნობილია ყველა შესაძლო მდგომარეობისათვის, რომლებიც განსაზღვრავენ $\mathbf{P}(\mathbf{k}_j)$ სიდიდის მნიშვნელობას.

(1.2) ტოლობაში $\mathbf{P}(\mathbf{D}_i, \mathbf{k}_j)$ არის \mathbf{D}_i დიაგნოზის ალბათობის მნიშვნელობა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა განსახილველი ობიექტისათვის \mathbf{k}_j დიაგნოსტიკური ნიშნის არსებობა (აპოსტოლიარული დიაგნოზის ალბათობა).

13. ბაიესის განზოგადებული ფორმულა

განზოგადებული ფორმულა მიეკუთვნება შემთხვევას, როდესაც გამოკვლევა ტარდება დიაგნოსტიკური ნიშნების \mathbf{K} კომპლექსთან, რომელიც შეიცავს $\mathbf{k}_1, \mathbf{k}_2, \dots, \mathbf{k}_v$ ნიშნებს. ყოველ \mathbf{k}_j ნიშანს გააჩნია m_j თანრიგი ($k_{j1}, k_{j2}, \dots, k_{js}, \dots, k_{jm_j}$). კვლევის შედეგებით ცნობილი ხდება დიაგნოსტიკური ნიშნის რეალიზაცია

$$\mathbf{k}_j^* = \mathbf{k}_{js}. \quad (1.6)$$

ისევე, როგორც ნიშნების მოელი კომპლექსის რეალიზაცია \mathbf{K}^* . ინდექსი * როგორც წინა შემთხვევაში აღნიშნავს დიაგნოსტიკური ნიშნის კონკრეტულ მნიშვნელობას (რეალიზაციას). ბაიესის ფორმულა დიაგნოსტიკური ნიშნების კომპლექსისათვის მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\mathbf{P}(\mathbf{D}_i/\mathbf{K}^*) = \mathbf{P}(\mathbf{D}_i)\mathbf{P}(\mathbf{K}^*/\mathbf{D}_i)/\mathbf{P}(\mathbf{K}^*), \quad (i = 1, 2, \dots, n) \quad (1.7)$$

სადაც $\mathbf{P}(\mathbf{D}_i/\mathbf{K}^*)$ არის \mathbf{D}_i დიაგნოზის ალბათობა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა კომპლექსური დიაგნოსტიკური ნიშნების \mathbf{K} მიხედვით კვლევის შედეგები.

$\mathbf{P}(\mathbf{D}_i)$ არის \mathbf{D}_i დიაგნოზის წინასწარი ალბათობა (ადრინდელი სტატისტიკური მონაცამების მიხედვით).

მიღებული (1.7) ფორმულა შეესაბამება სისტემის ნებისმიერ n მდგომარეობას (დიაგნოზს). იგულისხმება, რომ სისტემა იმყოფება მხოლოდ ერთ რომელიმე მითითებულ მდგომარეობაში და ამიტომ

$$\sum_{s=1}^n \mathbf{P}(\mathbf{D}_s) = 1. \quad (1.8)$$

პრაქტიკულ ამოცანებში ხშირია რამდენიმე მდგომარეობის (დიაგნოზის) შესაძლებლობა $\mathbf{A}_1, \mathbf{A}_2, \dots, \mathbf{A}_r$, ამასთან ზოგიერთი მათგანი შეიძლება სხვებთან ერთად გარკვეულ კომბინაციაში არსებობდეს. ასეთ შემთხვევაში სხვადასხვა \mathbf{D}_i დიაგნოზებად განხილული უნდა იყოს ცალკეული მდგომარეობები $\mathbf{D}_1 = \mathbf{A}_1, \dots, \mathbf{D}_r = \mathbf{A}_r$ და მათი კომბინაციები $\mathbf{D}_{r+1} = \mathbf{A}_1 \wedge \mathbf{A}_2, \dots$ და ა.შ.

განვხსაზღვროთ (1.7) ფორმულაში შემავალი $\mathbf{P}(\mathbf{K}^*/\mathbf{D}_i)$ გამოსახულების მნიშვნელობა. თუ დიაგნოსტიკური ნიშნების კომპლექსი შედეგება \mathbf{v} ნიშნისაგან მაშინ

$$\mathbf{P}(\mathbf{K}^*/\mathbf{D}_i) = \mathbf{P}(\mathbf{k}_1^*/\mathbf{D}_i)\mathbf{P}(\mathbf{k}_2^*/\mathbf{k}_1^*\mathbf{D}_i) \cdots \mathbf{P}(\mathbf{k}_v^*/\mathbf{k}_1^* \cdots \mathbf{k}_{v-1}^*\mathbf{D}_i), \quad (1.9)$$

სადაც $\mathbf{k}_j^* = \mathbf{k}_{js}$ არის კვლევების შედეგად გამოვლენილი დიაგნოსტიკური ნიშნის თანრიგი. დამოუკიდებელი დიაგნოსტიკური ნიშნებისათვის

$$\mathbf{P}(\mathbf{K}^*/\mathbf{D}_i) = \mathbf{P}(\mathbf{k}_1^*/\mathbf{D}_i)(\mathbf{k}_2^*/\mathbf{D}_i) \cdots (\mathbf{k}_v^*/\mathbf{D}_i). \quad (1.10)$$

პრაქტიკული ამოცანების უმეტესობისათვის, განსაკუთრებით დიაგნოსტიკური ნიშნების დიდი რაოდენობისას, შეიძლება გამოვიყენოთ დიაგნოსტიკური ნიშნების დამოუკიდებლობის პირობა თუნდაც მათ შორის არსებობდეს არსებითი კორელაციური კაგშირები.

\mathbf{K}^* დიაგნოსტიკური ნიშნების გამოჩენის ალბათობა

$$\mathbf{P}(\mathbf{K}^*) = \sum_{s=1}^n \mathbf{P}(\mathbf{D}_s)\mathbf{P}(\mathbf{K}^*/\mathbf{D}_s). \quad (1.11)$$

აღნიშნულის გათვალისწინებით ბაიესის განზოგადებული ფორმულა შემდეგი სახით ჩაიწერება:

$$\mathbf{P}(\mathbf{D}_i/K^*) = \mathbf{P}(\mathbf{D}_i)\mathbf{P}(K^*/\mathbf{D}_i)/\sum_{s=1}^n \mathbf{P}(\mathbf{D}_s)\mathbf{P}(K^*/\mathbf{D}_s), \quad (1.12)$$

სადაც $\mathbf{P}(\mathbf{D}_i/K^*)$ გამოსახულება (1.9) ან (1.10) ტოლობით განისაზღვრება. (1.12) გამოსახულებიდან გამომდინარეობს, რომ

$$\sum_{i=1}^n \mathbf{P}(\mathbf{D}_i/K^*) = \mathbf{1}. \quad (1.13)$$

რაც, რა თქმა უნდა, მოსალოდნელია, რადგან სადიაგნოსტიკო პროცესში ერთ-ერთ მათგანს მაინც ექნება ადგილი (რეალიზდება), ამასთან თუ დიაგნოზის ერთდროული რეალიზაცია შეუძლებელია.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ ბაიესის ფორმულის მნიშვნელი ყველა სახის დიაგნოზისათვის ერთნაირია. ეს საშუალებას გვაძლევს თავდაპირველად განისაზღვროს მოცემულ რეალიზაციაში დიაგნოსტიკური ნიშნების კომპლექსიდან i-ური დიაგნოზის ერთდროული გამოჩენის ალბათობა.

$$\mathbf{P}(\mathbf{D}_i, K^*) = \mathbf{P}(\mathbf{D}_i)\mathbf{P}(K^*/\mathbf{D}_i), \quad (1.14)$$

ხოლო შემდეგ დიაგნოზის აპოსტეროული ალბათობა

$$\mathbf{P}(\mathbf{D}_i, K^*) = \mathbf{P}(\mathbf{D}_i, K^*)/\sum_{s=1}^n \mathbf{P}(\mathbf{D}_s, K^*). \quad (1.15)$$

ადსანიშნავია, რომ ზოგჯერ მიზანშეწონილია გამოყენებული იქნას ფორმულა (1.12)-ის წინასწარ გალოგარითმებული სახე, რადგან (1.10) გამოსახულება შეიცავს მცირე სიდიდეების ნამრავლს.

თუ რაიმე დიაგნოსტიკური კომპლექსის ნიშნების K^* რეალიზაცია არის მაღეტერმინირებული (განმსაზღვრელი) D_ρ დიაგნოზისათვის, მაშინ ეს კომპლექსი სხვა დიაგნოზების შემთხვევაში არ გვხვდება:

$$\mathbf{P}(K^*/\mathbf{D}_i) = \begin{cases} = \mathbf{0} & \text{როდესაც } s \neq \rho \\ \neq 0 & \text{როდესაც } s = \rho \end{cases}$$

ასეთ შემთხვევაში (1.12) ტოლობის ძალით გვაქნება, რომ:

$$\mathbf{P}(K^*/\mathbf{D}_i) = \begin{cases} \mathbf{0} & \text{როდესაც } s \neq \rho \\ 1 & \text{როდესაც } s = \rho \end{cases} \quad (1.16)$$

როგორც ვხედავთ, დიაგნოზის დასმის დეტერმინისტული ლოგიკა ალბათური ლოგიკის აქრძო შემთხვევას წარმოადგენს. ბაიესის ფორმულის გამოყენება შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც დიაგნოსტიკური ნიშნების ერთ ნაწილს დისკრეტული განაწილების სახე აქვს, ხოლო მეორეს – უწყვეტი განაწილების. უწყვეტი განაწილებისათვის გამოიყენება განაწილების სიმკვრივეები, მაგრამ გამოთვლებისათვის დიაგნოსტიკური ნიშნების ეს განსხვავება არსებითი არ არის, თუ უწყვეტი მრუდი მოცემულია დისკრეტული მნიშვნელობების ერთობლიობით.

1.4. დიაგნოსტიკური მატრიცა

ბაიესის მეთოდით დიაგნოზების ალბათობების განსაზღვრისათვის აუცილებელია დიაგნოსტიკური მატრიცის შედგენა (ცხ.1), რომელიც ფორმირებულია წინასწარი სტატისტიკური მასალის ბაზაზე. ამ ცხრილში მოცემულია დიაგნოსტიკური ნიშნების თანრიგების ალბათობა სხვადასხვა დიაგნოზებისათვის.

იმ შემთხვევაში თუ დიაგნოსტიკური ნიშნები ორთანრიგიანია “დიახ-არა”, მაშინ საკმარისია ცხრილში ვაჩვენოთ ნიშნის გამოჩენის ალბათობა $\mathbf{P}(k_j/\mathbf{D}_i)$. დიაგნოსტიკური ნიშნის არარსებობის ალბათობა ორივე თანრიგისათვის ერთგვაროვნად გამოსახულია ფორმით

$$P(k_j/D_i) = P(k_{j1}/D_i);$$

$$P(\bar{k}_j/D_i) = P(k_{j2}/D_i).$$

ცხრილი 1. ბაიესის მეთოდის დიაგნოსტიკური მატრიცა

დიაგნოსტიკური ნიშანი k_j	დიაგნოსტიკური ნიშანი k_j										$P(D_i)$
	$P(k_{11}/D_i)$	$P(k_{12}/D_i)$	$P(k_{13}/D_i)$	$P(k_{21}/D_i)$	$P(k_{22}/D_i)$	$P(k_{23}/D_i)$	$P(k_{24}/D_i)$	$P(k_{31}/D_i)$	$P(k_{32}/D_i)$		
D_1	0,8	0,2	0	0,1	0,1	0,6	0,2	0,2	0,8	0,3	
D_2	0,1	0,7	0,2	0	0	0,3	0,7	0,1	0,9	0,1	
...	

აღსანიშნავია, რომ ყველა შესაძლო ალბათობის ჯამი ერთის ტოლია $\sum_{s=1}^{m_j} P(k_{js}/D_i) = 1$, სადაც m_j არის k_j დიაგნოსტიკური ნიშნის თანრიგების რაოდენობა. დიაგნოსტიკურ მატრიცაში ჩართულია დიაგნოზების აპრიორული ალბათობები. ბაიესის მატრიცის შედგენისას მნიშვნელოვანია დიაგნოსტიკის პროცესში გათვალისწინებული იქნეს ცხრილის დაზუსტების შესაძლებლობა. ამისათვის კომპიუტერის მეხსიერებაში შენახული უნდა იყოს არა მხოლოდ $P(k_{js}/D_i)$ მნიშვნელობები, არამედ შემდეგი სიდიდეებიც: N – დიაგნოსტიკური მატრიცის შესადგენი ობიექტების საერთო რაოდენობა; N_i – ობიექტების რაოდენობა, რომელთა დიაგნოზია D_i ; $N_{i,j}$ – დიაგნოსტიკური ნიშნით k_j -ის მიხედვით გამოკვლეული D_i დიაგნოზის მქონე ობიექტების რაოდენობა. თუ გამოჩნდება ახალი ობიექტი დიაგნოზით D_μ , მაშინ ხორციელდება წინა აპრიორული დიაგნოზების კორექცია შემდეგი სახით:

$$P(D_i) = \begin{cases} \frac{N_i}{N+1} = P(D_i) \frac{N}{N+1}; & i = 1, 2, \dots, n; \quad i \neq \mu; \\ \frac{N_{\mu+1}}{N+1} = P(D_\mu) \frac{N}{N+1} + \frac{1}{N+1}; & i = \mu \end{cases} \quad (1.17)$$

ამის შემდეგ დიაგნოსტიკური ნიშნებისათვის შემოგვაჭვს შესწორებები. ვთქვათ, ახალი ობიექტისთვის დიაგნოზით D_μ აღმოჩენილია r თანრიგის დიაგნოსტიკური ნიშანი k_j , მაშინ შემდგომი დიაგნოსტიკისათვის მიიღება ახალი მნიშვნელობა დიაგნოსტიკური ნიშნების ინტერვალების ალბათობა k_i ახალი D_μ დიაგნოზისათვის:

$$P(k_{js}/D_\mu) = \begin{cases} P(k_{js}/D_\mu) \frac{N_{\mu j}}{N_{\mu j}+1}; & s \neq r; \\ P(k_{jr}/D_\mu) \frac{N_{\mu j}}{N_{\mu j}+1} + \frac{1}{N_{\mu j}+1}; & s = r \end{cases} \quad (1.18)$$

სხვა დიაგნოზების შემთხვევაში პირობითი ალბათობები კორექტირებას არ საჭიროებენ.

1.5. ბაიესის მეთოდის გამოყენების კონკრეტული მაგალითი

ვთქვათ, აირტურბინული ძრავას დაკვირვებისას კონტროლირდება ორი დიაგნოსტიკური ნიშანი: k_1 – აირის ტემპერატურის ზრდა ტურბინის გარეთ 50°C –ის ზემოთ და k_2 – მაქსიმალური ბრუნთა რიცხვისას აირის გამოსვლის დროის 5

წმ-ზე მეტი დროის განმავლობაში. დაუშვათ, რომ მოცემული ტიპის ძრავასათვის ამ ნიშნების გამოვლენა დაკავშირებულია ან სითბოს რეგულირობის გაუმართავობასთან (მდგომარეობა D_1) ან ტურბინაში რადიალური ღრებოს ზრდასთან (მდგომარეობა D_2).

ძრავას ნორმალური მდგომარეობისათვის (მდგომარეობა D_3) დიაგნოსტიკურ k_1 ნიშანს არა აქვს ადგილი, ხოლო ნიშანი k_2 დამახასიათებელია შემთხვევათა 5%-ისათვის. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ცნობილია, რომ ძრავების 80%-ისათვის რესურს ამოწურავს ნორმალურ მდგომარეობაში მუშაობით, ძრავების 5%-ისათვის დამახასიათებელია D_1 მდგომარეობა, ხოლო 15%-ისათვის D_2 მდგომარეობა. ცნობილია ასევე, რომ დიაგნოსტიკური k_1 ნიშანი გვხვდება D_1 მდგომარეობისათვის შემთხვევათა 20%-ის, ხოლო D_2 მდგომარეობის 40%-ის შემთხვევაში; დიაგნოსტიკური ნიშანი k_2 , D_1 მდგომარეობისათვის გვხვდება 30%-ის, ხოლო D_2 მდგომარეობისათვის 50%-ის შემთხვევაში. მოცემული მონაცემები და ამ მონაცემებით განსაზღვრული დიაგნოსტიკური ნიშნების ალბათობათა მაჩვნებლები შევიტანოთ დიაგნოსტიკურ მატრიცაში (ცხრილი 1.2).

თავდაპირველად ვიპოვოთ ძრავას მდგომარეობების ალბათობები, როდესაც ერთდროულად აღმოჩენილია ორივე, k_1 და k_2 , დიაგნოსტიკური ნიშანი. ამისათვის ჩავთვალოთ ეს ნიშნები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელად და 1.12 ფორმულის გამოყენებით ვიპოვოთ ძრავას ალბათური მდგომარეობა:

$$0,05 \cdot 0,2 \cdot 0,3$$

$$P(D_1/k_1 k_2) = \frac{0,05 \cdot 0,2 \cdot 0,3 + 0,15 \cdot 0,4 \cdot 0,5 + 0,8 \cdot 0 \cdot 0,05}{0,05 \cdot 0,2 \cdot 0,3 + 0,15 \cdot 0,4 \cdot 0,5 + 0,8 \cdot 0 \cdot 0,05} = 0,09.$$

$$\text{ანალოგურად } P(D_2/k_1 k_2) = 0,91; P(D_3/k_1 k_2) = 0.$$

განვსაზღვროთ ძრავას მდგომარეობის ალბათობა, თუ გამოკვლევებმა გვიჩვნა, რომ ტემპერატურის მომატებას არა აქვს ადგილი ($k_1 = 0$), მაგრამ აირრდილია გამოსვლის დრო ბრუნთა მაქსიმალური რიცხვისათვის (k_2 ნიშანი არსებობს). k_1 ნიშნის არ არსებობა არის k_1 ნიშნის არსებობის დადასტურება (საწინააღმდეგო ხდომილობა), ამასთან

$$P(\bar{k}_1/D_i) = 1 - P(k_1/D_i).$$

გაანგარიშებისათვის ასევე იყენებენ (1.12) ფორმულას. მაგრამ დიაგნოსტიკურ ცხრილში $P(k_1/D_i)$ მნიშვნელობას ცვლიან $P(\bar{k}_1/D_i)$ მნიშვნელობით. ამ შემთხვევაში

$$0,05 \cdot 0,8 \cdot 0,3$$

$$P(D_1/\bar{k}_1 k_2) = \frac{0,05 \cdot 0,8 \cdot 0,3 + 0,15 \cdot 0,6 \cdot 0,5 + 0,8 \cdot 1 \cdot 0,05}{0,05 \cdot 0,8 \cdot 0,3 + 0,15 \cdot 0,6 \cdot 0,5 + 0,8 \cdot 1 \cdot 0,05} = 0,12.$$

ანალოგიურად მივიღებთ $P(D_2/\bar{k}_1 k_2) = 0,46$; $P(D_3/\bar{k}_1 k_2) = 0,41$. გამოვითვალოთ ალბათური მდგომარეობა ორივე დიაგნოსტიკური ნიშანის არ გამოვლინების შემთხვევაში. გამოთვლას ჩავატარებთ წინა გამოთვლის ანალოგიურად, რის შედეგადაც მივიღებთ:

$$P(D_1/\bar{k}_1 \bar{k}_2) = \frac{0,05 \cdot 0,8 \cdot 0,7 + 0,15 \cdot 0,6 \cdot 0,5 + 0,8 \cdot 1 \cdot 0,15}{0,05 \cdot 0,8 \cdot 0,7 + 0,15 \cdot 0,6 \cdot 0,5 + 0,8 \cdot 1 \cdot 0,15} = 0,03.$$

$$\text{შესაბამისად } P(D_2/\bar{k}_1 \bar{k}_2) = 0,05 \quad \text{და } P(D_3/\bar{k}_1 \bar{k}_2) = 0,92.$$

ადსანიშნავია, რომ D_1 და D_2 ალბათური მდგომარეობები განსხვავებულია ნულისაგან, რადგან განსახილველი ნიშნები მათვების მაღეტერმინირებელი ნიშნები არ არის. ჩატარებული გამოთვლების საშუალებით შეიძლება დადგინდეს, რომ k_1 და k_2 ნიშნების არსებობისას ძრავში 0,91 ალბათობით გვაქვს D_1 მდგომარობა ანუ რადიალური ღრებოს გადიდება. ორივე ნიშნის არარსებობისას ყველაზე ალბათურია ნორმალური მდგომარეობა ალბათობით 0,92. k_1 ნიშნის არარსებობისას, როდესაც გვაქვს k_2 ნიშანი, D_2 და D_3 მდგომარეობა თითქმის თანაბარალბათურია 0,46 და 0,41 ამიტომ ძრავას მდგომარეობის უფრო ზუსტი სურათის მისაღებად აუცილებელია დამატებითი გამოკვლევების ჩატარება.

ცხრილი 2. დიაგნოსტიკური მატრიცა

D_i	$P(k_1/D_i)$	$P(k_2/D_i)$	$P(D_i)$
D_1	0,2	0,3	0,05
D_2	0,4	0,5	0,15

D₃	0,0	0,05	0,8
----------------------	------------	-------------	------------

1.6. დიაგნოსტირების გადამწყვეტი წესი

ბაიესის მეთოდისათვის გადამწყვეტი წესის მიხედვით მიიღება გადაწყვეტილება დიაგნოზის შესახებ. როგორც აღვნიშნეთ ამ მეთოდის მიხედვით K^* კომპლექსურნიშნებიანი ობიექტისათვის რომელიმე დიაგნოზის მიკუთვნების შესახებ შესახებ გადაწყვეტილება, მიიღება უდიდესი (აპოსტერიორული) ალბათობის მიხედვით.

$$K^* \in D_i, \text{თუ } P(D_i/K^*) > P(D_j/K^*) \quad (j = 1, 2, \dots, n; i \neq j) \quad (1.19)$$

ფუნქციურ ანალიზში გამოყენებული \in სიმბოლო აქაც ელემენტის სიმრავლესათვის მიკუთვნებაზე მიუთითებს. (1.19) პირობა გვაჩვენებს, რომ ობიექტს, რომელსაც გააჩნია მოცემული რეალიზაციის დიაგნოსტიკური ნიშნების კომპლექსი K^* , ან მოკლედ რომ ვთქათ K^* ეკუთვნის D_i მდგრმარეობას (დიაგნოზს). (1.19) წესი ჩვეულებრივ დაზუსტებულია დიაგნოზის ალბათობის ზღვრული მნიშვნელობით:

$$P(D_i/K^*) \geq P_i \quad (1.20)$$

სადაც P_i არის გარჩევადობის შერჩეული დონე D_i დიაგნოზისათვის. ამასთან მასთან კველაზე ახლოს მდგრმი სხვა დიაგნოზის ალბათობა არ აღემატება $1 - P_i$. ჩვეულებრივ, მიღებულია, $P_i \geq 0,9$ იმ პირობით, რომ:

$$P(D_i/K^*) < P_i \quad (1.21)$$

ამ შემთხვევაში დიაგნოზის შესახებ გადაწყვეტილება არ მიიღება (უარი გარჩევადობაზე) და აუცილებელი ხდება დამატებითი ინფორმაციის მოძიება. კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება ბაიესის მეთოდის გამოყენებისას მნიშვნელოვნად აჩქარებს სადიაგნოსტიკო პროცესს. მაგალითად, დიაგნოზის დასმას 24 მდგრმარეობისათვის 80 მრავალონანრიგიანი დიაგნოსტიკური ნიშნის შემთხვევაში თანამედროვე საყოფაცხოვრებო დონის კომპიუტერისათვის იკავებს 1 წამზე ნაკლებ დროს.

როგორც აღნიშნული იყო, ბაიესის მეთოდს გააჩნია გარკვეული სახის ნაკლოვანებები, მაგალითად იშვიათი დიაგნოზების გარჩევადობის კუთხით. პრაქტიკული გაანგარიშებისას მიზანშეწონილია დიაგნოსტიკა ჩავატაროთ თანაბარალბათური დიაგნოზების შემთხვევებისთვისაც თუ მივიღებთ, რომ

$$P(D_i) = 1/n \quad (1.22)$$

ამ დროს აპოსტერული ალბათობის კველაზე მაღალი მნიშვნელობა ექნება დიაგნოზს D_i , რომლისათვისაც $P(K^*/D_i)$ მაქსიმალურია:

$$K^* \in D_i, \text{თუ } P(K^*/D_i) > P(K^*/D_j) \quad (j = 1, 2, \dots, n; i \neq j) \quad (1.23)$$

სხვა სიტყვებით, რომ ვთქათ, დგინდება დიაგნოზი D_i თუ დიაგნოსტიკური ნიშნების მოცემული ერთობლიობა უფრო ხშირად გვხვდება D_i დიაგნოზის დროს ვიდრე სხვა სახის დიაგნოზისას. ასეთი სახით მოცემული გადამწყვეტი წესი შეესაბმება მაქსიმალური სიმართლის მსგავსების მეთოდს. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ “ხშირი” და “იშვიათი” დიგნოზები თანაბარმნიშვნელოვანია.

2. გიბროდიაგნოსტიკა

2.1. ზოგადი ცნობები გიბროდიაგნოსტიკის შესახებ

მანქანისა და მექანიზმის საიმედოობის აირრდის ერთ-ერთი ეფექტური მეთოდი ამ მოწყობილობებისა და მათი შემაღენელი კვანძების დაზიანების საფრთხის შეფასებაა ვიბრაციული კონტროლის მონაცემების მიხედვით.

საკვლევი ობიექტის ვიბრაციული დიაგნოსტიკა სამ ეტაპად სრულდება: ობიექტის პირველადი აღწერა, დიაგნოსტიკური ნიშნების გამოყოფა და გადაწყვეტილების მიღება.

სადიაგნოსტიკო ინფორმაციული ნიშნების მოძიების ეტაპზე ზუსტდება და განისაზღვრება ვიბრაციის, ხმაურისა და დარტყმის გასაზომი პარამეტრების რიცხვი. ამასთან იმ მრავალი პარამეტრიდან, რომლებიც ვიბრაციულ პროცესებს ახასიათებენ, გამოყოფენ მხოლოდ იმ პარამეტრებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ახასიათებს ობიექტის მდგომარეობას. ამ პარამეტრების მიხედვით ფორმირდება ინფორმაციული ნიშნების სისტემა, რომელსაც სადიაგნოსტიკო პროცესში იყენებენ.


ვიბრაციის დიაგნოსტიკური პარამეტრების არჩევა დამოკიდებულია გამოსაკვლევი მექანიზმის ტიპების, ასევე გასაზომი რხევების ამპლიტუდურ და სიხშირულ დიაპაზონზე.

ვიბრაცია სხეულის მექანიკური რხევაა წონასწორობის მდებარეობის ირგვლივ. წონასწორობა სხეულის ისეთ მდგომარეობაა, რომელსაც მასზე არ მოქმედებს გარე ძალები ან მათი ზემოქმედების ჯამური სიდიდე ნულის ტოლია.

მყარი სხეულის რხევითი მოძრაობა სულად აიწერება ექვსი მარტივი ტიპის მოძრაობის კომბინაციით: გადატანითი – სამი უთიერთმართობული (x,y,z) დერძების მიმართულებით და ამ დერძების მიმართ (Ox, Oy, Oz) ბრუნვითი მოძრაობით, რის გამოც ამბობენ, რომ მერხევ სხეულს გააჩნია ექვსი თავისუფლების ხარისხი.

სხეულის ვიბრაციის მიზეზი ყოველთვის აღმძვრებიც ძალებია, რომელიც სხეულზე შეიძლება მოქმედებდნენ როგორც გარედან, ასევე შეიძლება აღიძვრან სხეულის შიგნითაც. ამ ძალების მოქმედების მიმართულება, სიდიდე და სიხშირე მთლიანად განსაზღვრავს სხეულის ვიბრაციას. ამიტომაც ვიბრაციული ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ მანქანის მუშაობის პროცესში წარმოშობილი აღმძვრები ძალები, რომელთა სიდიდე მანქანის მდგომარეობაზეა დამოკიდებული, რაც, თავის მხრივ, მათი წარმოშობის მიზეზის დადგენასა და შესაბამისად დიაგნოსტიკაში გვეხმარება.

ბუნებაში არსებულ ვიბრაციულ პროცესებს შორის ყველაზე მარტივია სხეულის დრეკადი წრფივი გადაადგილებები, რომლის საილუსტრაციოდ შეიძლება ზამბარაზე დაკიდებული სხეულის რხევები გამოვიყენოთ.



სურ.2. უმარტივესი პარმონიული ერთი თავისუფლების ხარისხის მქონე მერხევი სისტემის მაგალითი

ნებისმიერი პარმონიული გადაადგილება აიწერება შემდეგი პარამეტრებით:

A – რხევის ამპლიტუდა, არის წონასწორობის მდგომარეობიდან სხეულის მაქსიმალური გადახრა;

F – რხევის სიხშირე. დროის ერთეულში შესრულებული რხევათა რიცხვი;

T – რხევის პერიოდი. დროის ინტერვალი, რომელშიც ერთი სრული რხევა სრულდება;

განმარტებებიდან გამომდინარე აშკარაა, რომ $F = 1/T$.

რხევის სიხშირის ერთეულია ჰერცი. ერცი ისეთი რხევის სიხშირეა, როდესაც ერთ წამში ერთ სრული რხევა სრულდება. თუ საუბარია ბრუნვითი მოძრაობის შესახებ მაშინ თვლიან, რომ ძირითადი რხევის სიხშირე შეესაბამება ბრუნვის სიხშირეს, რომელიც იზომება ერთეულით ბრუნვი/წუთში და განისაზღვრება $\omega = F \cdot 60$. ამ ტოლობაში 60 მიუთითებს წამების რაოდენობას წუთში.

თუ გრაფიკის ვერტიკალურ დერბზე გადავზომავთ პარმონიული რხევისას მოძრავი სხეულის გადადგილებას, ხოლო პორიზონტალურზე დროს შედეგად მივიღებთ სინუსოიდას (სურ.2.1), რომელიც აიწერება განტოლებით:

$$s = S \sin(\omega t)$$

სადაც s – მყისიერი გადადგილებაა;

S – მაქსიმალური გადადგილება;

ωt – კუთხური სიჩქარე;

$\omega = 2\pi F$ კუთხური სიხშირე.

როგორც მათემატიკის კურსიდანაა ცნობილი გადადგილების სიჩქარე არის გადადგილების დროითი წარმოებული, ამიტომ

$$v = ds/dt = \omega S \cos(\omega t),$$

სადაც v – მყისი სიჩქარეა. ფორმულიდან ჩანს, რომ პარმონიული რხევის დროს სიჩქარეც სინუსოიდური კანონით იცვლება.

აჩქარება სიჩქარის ცვლილების სიჩქარეა, შესაბამისად გვექნება

$$a = dv/dt = -\omega^2 S \sin(\omega t),$$

სადაც a მყისი აჩქარებაა.

ვიბრაციის დაბალსიხშირულ სპექტრში ირჩევენ ვიბროგადადგილების პარამეტრს, საშუალო სიხშირულ სპექტრში ვიბროსიჩქარეს, ხოლო მაღალ სიხშირულ სპექტრში ვიბროაჩქარებას.

ვიბროგადადგილება საშუალებას გვაძლევს დაგახასიათოთ ობიექტი იმ შემთხვევებში, როდესაც მნიშვნელოვანია ვიცოდეთ მისი ან მისი შემადგენელი კვანძების ფარდობითი გადადგილება ან დეფორმაცია.

ვიბრომანქანის ეფექტურობის კვლევისას ან ვიბრაციის ადამიანის ორგანიზმზე გავლენის შესწავლისას, მიზანშეწონილია ვიბროსიჩქარის შესწავლა, რადგან იგი განსაზღვრავს ძალის იმპულსის მნიშვნელობას და კინეტიკურ ენერგიას.

ობიექტების საიმედოობის კვლევისას მისი შესაფასებისათვის ძირითადი პარამეტრი ვიბროაჩქარებაა.

სპექტრული შემდგენების, ვიბრაციის დონის დროით და სიხშირულ განაწილებაზე დამოკიდებულებით, ასევე ნორმირებული დასაშვები დონის შემთხვევაში ზომავენ არჩეული ვიბრაციის პარამეტრების ამპლიტუდურ, საშუალო ან საშუალო კვადრატულ მნიშვნელობას. საშუალო კვადრატული მნიშვნელობის გაზომვის ძირითადი უპირატესობაა, გაზომვის შედეგის დამოუკიდებლობა ვიბრაციის სპექტრის ცალკეულ შემდგენებს შორის არსებული ფაზათა ძვრისაგან.

ვიბრაციის პარამეტრების გაზომვისას იყენებენ ორ მეთოდს: კინემატიკურს და დინამიკურს.

კინემატიკური მეთოდის გამოყენებისას ობიექტის ცალკეულ წერტილების კოორდინატებს ზომავენ რომელიმე უძრავ კოორდინატთა სისტემის მიმართ. გამზომი გარდამქმნელები, რომელთა მოქმედების პრინციპი დამყარებულია გაზომვის აღნიშნულ მეთოდზე იწოდებიან ფარდობითი ვიბრაციის გარდამქმნელებად.

დინამიკური მეთოდი დამყარებულია ვიბრაციის პარამეტრების გაზომვაზე პირობითად უძრავა კოორდინატთა სისტემის მიმართ, უმეტეს შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს ინერციული ელემენტი, რომელიც ობიექტთან დრეკადი ბმითაა დაკავშირებული. ასეთ ხელსაწყოებს აბსოლუტური ვიბრაციის გარდამქმნელები ეწოდებათ, ხშირად მათ სეისმურ სისტემებსაც უწოდებენ.

2.2. ვიბრაციული გარდამქმნელების ტიპები

ვიბრაციის გასაზომი გარდამქმნელის მუშაობა დამყარებულია სხვადასხვა ფიზიკური მოვლენის მოქმედების პრინციპზე, სადაც ხორციელება მექანიკური გადადგილების (რხევების) გარდაქმნა ელექტრულ სიგნალად. ფიზიკური სიდიდის გარდაქმნის პრინციპის მიხედვით ისინი შეიძლება იყოს:

გენერატორული ტიპის:

- პიეზოელექტრული;
- ინდუქციური;
- ჰოლის ეფექტზე მომუშავე;

პარამეტრული:

- რეზისტორული;
- პიეზორეზისტორული;
- ინდუქციური;
- ტრანსფორმატორული;
- მაგნიტოდრეკადი;
- ტევადური;
- ელექტრონულ - მექანიკური;
- ვიბრაციულ - სიხშრული;
- ზღვრული კონტაქტური;
- იმპედანსური.


ფარდობითი ვიბრაციის გასაზომი უკონტაქტო გარდამქმნელები:

- მაგნიტური;
- რადიოსიხშრული;
- ელექტრომაგნიტური;
- აკუსტიკური;
- რადიაციული;
- ოპტიკური.

უკონტაქტო გასაზომ გარდამქმნელებში გამოიყენება ფარდობითი ვიბრაციის პარამეტრების გაზომვის კინემატიკური მეთოდი ოპტიკურ, რადიოსიხშირულ, ელექტრომაგნიტურ და სხვა ეფექტებზე მომუშავე მოწყობილობებისათვის. ვიბროდიაგნოსტიკის უკონტაქტო გამზომ გარდამქმნელებში უველაზე ფართო გამოყენება მოიპოვეს ვიბრაციის პარამეტრების გაზომვის ოპტიკურმა მეთოდებმა და საშუალებებმა, რომლებიც გასაზომ ობიექტზე ინფორმაციის წარმოდგენის მიხედვით იყოფა ამპლიტუდურ და სიხშირულ ხერხებად. გაზომვის ამპლიტუდურ მეთოდებს მიეკუთვნება ფოტოელექტრონული, დიფრაქტიკული და ინტერფერენციული ხერხები, ასევე სხივური ნაკადის სივრცული მოღულაციის გამოყენების მეთოდები.

ობიექტიდან არეკლილი, ოპტიკურ კვანტური გენერატორის მიერ გამოსხივებული სიხშირის გაზომვაზე დამყარებული ვიბრაციის პარამეტრები იზომება საზომი მოწყობილობებით, რომელთა მოქმედების პრინციპი დამყარებულია დოპლერის ეფექტის გამოყენებაზე.

პრაქტიკაში დოპლერის ეფექტს შეიძლება დავაკვირდეთ, როდესაც დამკვირვებელს ჩაუვლის ერთ გარკვეულ ტონალობაზე სირენაჩართული ავტომობილი. სანამ მანქანა არ მოძრაობს დამკვირვებლის მიმართ, მაშინ მას ესმის იმ ტონის სიგნალი, რომელსაც სირენა გამოსცემს. დამკვირვებელთან მანქანის მოახლოებასთან ერთად სირენის ხმის სიხშირე გაიზრდება (შესაბამისად შემცირდება ტალღის სიგრძე) და დამკვირვებელი გაიგონებს რეალურთან შედარებით უფრო მაღალი ტონის სიგნალს. დამკვირვებელთან მიახლოებისას სიგნალის ტონი თანდათან მიუახლოვდება რეალურს, ხოლო დაცილებისას სიგნალის ტონი შემცირდება და ის გაიგონებს უფრო დაბალი ტონის სიგნალს. ანალოგიური ეფექტი შენარჩუნდება დამოუკიდებლად იმისაგან ტალღების წყარო გადადგილდება დამკვირვებლისაკენ თუ დამკვირვებელი ტალღების წყაროსკენ. სურ.2.2.



სურ.3. დოპლერის ეფექტის ილუსტრაცია

არსებობს ვიბრაციული სიგნალის ელექტრულ სიგნალად გარდამქმნელების ორი კლასი:

გენეატორული – მექანიკური რხევის ენერგიის ელექტრულ ენერგიად გარდამქმნელები;

პარამეტრული – მექანიკური რხევების ელექტრული წრედის პარამეტრების ცვლილებად გარდამქმნელები, მაგ. ინდუქციურობა, ტევადობა, აქტიური წინაღობა, სისშირე, ფაზათა ძვრა და სხვა.

მანქანისა და მექანიზმის ვიბროდიაგნოგისათვის ძირითადად გამოიყენება გენერატორული ტიპის პიეზოელექტრული და ელექტროდინამიკური გარდამქმნელები, აგრეთვე პარამეტრული ტიპის ინდუქციური, ტევადური და გრიგალურდენიანი გარდამქმნელები.

პიეზოელექტრული გარდამქმნელები გამოიყენება მექანიზმების აბსოლუტური რხევის ვიბრაციული პარამეტრების გასაზომად. პიეზოელექტრულ გარდამქმნელებს აქვთ კარგი მეტროლოგიური თვისებები, ფართო ამპლიტუდურ - სისშირული დიაპაზონი, მაღალი საიმედოობა და შედარებით დაბალი დირექციულება. მათი ძირითადი უარყოფითი მხარეა დიდი გამოსასვლელი წინაღობა და ხელშეშლებისადმი დაცულობის დაბალი დონე. პიეზოორეზისტორულ გარდამქმნელებს, რომლებიც პარამეტრული გარდამქმნელების კლასს განეკუთვნებიან, აღნიშნული უარყოფითი თვისებები შედარებით ნაკლები ხარისხით ახასიათებთ.

უმარტივესი პიეზოელექტრული გარდამქმნელება შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც კვარცის ან ხელვნური პიეზოკერამიკის ფირფიტა. პიეზოკერამიკის დასამზადებლად გამოიყენება ტევიატიტანის ცირკონატი, ბისმუტის ტიტანატი და სხვა. ფირფიტას ამაგრებენ გარე რხევების მიმღებ საფუძველზე, ხოლო მეორე მხრიდან განათავსებენ თ მასის ტვირთს. სეისმური სისტემის ასეთი გარდამქმნელის საკუთარი სისშირე

$$f_0 = (1/2\pi) (C_1/m)^{1/2}$$

სადაც: C_1 პიეზოელემენტის დრეკადობს კოეფიციენტია m მასის ტვირთის ინერციის ძალის მოდების მიმართულებით.

სისშირულ დიაპაზონში $f_i \ll f_0$ გარდამქმნელის გამოსასვლელზე წარმოშვება $q(t)$ მუხტი, რომელიც მიღებული $\alpha(t)$ ვიბროაჩქარების პროპორციულია.

$$q(t) = d_{11} k \alpha(t).$$

სადაც d_{11} და k - შესაბამისად პიეზომოდული და გარდაქმნის კოეფიციენტია. $q(t)$ სიდიდე გარდაიქმნება ელექტრულ დენად ან ძაბვად.

პიეზოელექტრული გარდამქმნელის შერჩევისას კონკრეტული გამოცდისათვის აუცილბლად გათვალისწინებული უნდა იქნას მათი ტემპერატურული, ამპლიტუდური და სისშირული დიაპაზონები, გარდაქმნის კოეფიციენტი, დამყარებული რეზონანსის სისშირე და სხვა.

ელექტროდინამიკური გარდამქმნელები გამოიყენება ვიბრაციის გასაზომად 1 ჰერც - 2 ჰერც სისშირულ დიაპაზონში.

ელექტროდინამიკური გარდამქმნელები შეიცავენ მაგნიტურ სისტემას, რომლის საპარავო ღრებოში მოთავსებულია გამტარიანი კოჭა. ჩვეულებრივ, მაგნიტური სისტემა დამაგრებულია გარდამქმნელის ფუძეზე, ხოლო კოჭაზე სისტადაა მიმაგრებული ინერციული (სეისმური) მასა. გარე ვიბრაციული ძალის მოქმედებისას და მის მიერ

გამოწვეული ფარდობითი $x(t)$ რხევების შედგად კოჭაში აღიძვრება ელექტრომამოძრავებელი ძალა (ემდ) $e(t)$.

$$e(t) = B W l_{\text{სა}}(d x(t)/dt),$$

სადაც: $B W l_{\text{სა}}$ არის დრეჩოს მაგნიტური ინდუქცია, ხვიათა რიცხვი და მოძრავი კოჭას ხვიათა საშუალო დიამეტრი შესაბამისად.

ელექტროდინამკური გარდამქმნელების მუშა სიხშირული დიაპაზონი რამდენიმეჯერ აღემატება ინერციული (სეისმური) სისტემის საკუთარ სიხშირეს.

ელექტროდინამკური გარდამქმნელის კოჭას გამოსასვლელზე ემდ ჰარმონიული რხევების ვიბროსიჩქარის პროპორციულია

$$e(t) = k \omega e_a \cos \omega t, \quad \text{სადაც: } k = B W l_{\text{სა}}.$$

ელექტროდინამკური გარდამქმნელების უპირატესობებს მიეკუთვნება ფართოდ ამპლიტუდური დიაპაზონი, დაბალი გამომავალი წინაღობა და გამომავალი სიგნალების კავშირის გრძელი ხაზით გადაცმის შესაძლებლობა.

2.3. ვიბროდიაგნოსტიკის მეთოდები

ვიბროდიაგნოსტიკის მეთოდის შერჩვა დამოკიდებულია ობიექტის სტრუქტურულ, ფუნქციურ და ვიბრაციულ მდგომარეობაზე.

სტრუქტურული მდგომარეობა განპირობებულია მანქანისა და მექანიზმის კონსტრუქციული თავისებურებით მათი ელემენტების გეომეტრიით და მათ შორის ურთიერთკავშირით. ობიექტის ეს მდგომარეობა, ჩვეულებრივ ხასიათდება, ძრითადი რხევითი პროცესებით. ამ შემთხვევაში ადეკვატურ მეთოდად შეიძლება ჩაითვალოს მეთვალყურე სპექტრული ანალიზის მეთოდი.

ვიბრაციის ჰარმონიკების განაწილების წესის მიხედვით შესაძლებელია მათი წარმოშობის წყაროების იდენტიფიცირება; ჰარმონიკების ამპლიტუდები ახასიათებს ენერგიის განაწილებას, რაც დამოკიდებულია ობიექტის ტექნიკურ მდგომარეობაზე დაფარების წარმოშობისა და განვითარებისას რხევის ენერგია იზრდება. მბრუნავებანებიან (როტორულ) და კბილანებიან მექანიზმებში მათი სტრუქტურული მდგომარეობა ხასიათდება დარტყმითი პროცესებით. ამ შემთხვევაში ადეკვატურია კონკრეტული დაფარების დაგროვების მეთოდი, როდესაც გამოყოფებ სადიაგნოსტიკო კბილანის თითოეული კბილის დარტყმით იმპულსებს. იმპულსების თანმიმდევრობის სიხშირე განსაზღვრავს წყაროს (კბილანს), სიგნალის დონეებს შორის სხვაობა - დაფარების მიზეზს (დაფარების კბილანი), ხოლო იმპულსების დონეების აბსოლუტური მნიშვნელობა - დაზიანების ხარისხს.

ობიექტის ვიბრაციული მდგომარეობა განისაზღვრება ვიბრაციული მახასიათებლების ერთობლიობით, რაც მისი დინამიკური თვისებების სტრუქტურული ფუნქციური მდგომარეობის შედეგია. ნორმალური სტრუქტურულ ფუნქციური მდგომარეობის შემთხვევაშიც კი ვიბრაციული მდგომარეობა შესაძლებელია არადამაკაცოფილებელი იყოს რეზონანსული და პარაზიტული რხევების ეფექტიდან გამომდინარე.

პერსპექტიულად ითვლება მეთოდი, რომელიც იყენებს ობიექტში დინამიკურ ცვლილებებს, მათ შორის უმარტივესია - სიჩქარისა და პროცესების ხასიათის ნიშნის ცვლა, რომლიც დაფარების დროში განვითარებაზე მიუთითებენ, რაც საშუალებას იძლევა გაკეთდეს მომავლის პროგნოზი არაგნოზის შემთხვევის შესახებ.

ვიბრაციული სიგნალის კორელაციურ - სპექტრული ალგორითმის ანალიზი აერთიანებს: ვიბროსიგნალის დისკრეტიზაციას, ციფრულ გაფილტვრას, საინფორმაციო პარამეტრების გამოთვლას და ობიექტის ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრას. ობიექტის მოდელირების პროგრამული უზრუნველყოფა საშუალებას

იძლევა იმიტირებულ იქნას სიგნალები, რომლებიც ახასიათებენ მექანიზმის როგორც გამართულ, ისე გაუმართავ მდგომარობას.

ვიბრაციული პროცესების კალევის ერთ-ერთი ეფექტური ინსტრუმენტია, ობიექტის მექანიკური კონსტრუქციის მოდელირება. მოდელის აგებისას განსაზღვრავენ ობიექტის ელემენტებს შორის ძირითად კავშირებსა და მათ კანონზომიერებას. კვლევისათვის მოსახერხებელია მათმატიკური, ელექტრომექანიკური და ვირტუალური მოდელების გამოყენება.

ვიბროაკუსტიკური სიგნალის სპექტრის ერთი ან რამდენიმე სიხშირით მოდულირების შემთხვევაში, რაც დამახსიათებელია კინემატიკური და კილანური წყვილების შემცველი ობიექტებისათვის, ეფექტურია ინფორმაციის შემჭიდროება გალოგარითმებისა და მისი ძალვანი სპექტრის ფურიეს გარდაქმნის განხორციელებით, რასაც კეპსტრო ეწოდება.

კეპსტრი – $Ln[S(\omega)]^2$ ენერგეტიკული ფუნქციის სპექტრია, რომელიც განისაზღვრება გამოსახულებით

$$C_s(q) = \frac{1}{2\pi} \int_{-\infty}^{\infty} Ln[S(\omega)]^2 e^{i\omega q} d\omega.$$

სხვაგვარად კეპსტრი განსაზღვრავს $Lg[\Phi(z)]$ ფუნქციის ხარისხოვან მწკრივად გაშლის კოეფიციენტების თანმიმდევრობას.

ასეთი მეთოდი საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ინფორმაცია სიგნალის შესახებ, მოდულაციის არაწრფივი, მრავალჯერადი გარდასახვის შედეგიდან. ამასთან, ვიბროაკუსტიკური სიგნალის მთლიანი ენერგია, რომელიც გაბნეულია მრავალ პარმონიკას შორის სპექტრულ მეთოდში, ლოპალიზებულია ერთ მდგენელში სიგნალის ანალიზის კეპსტრული მეთოდის გამოყენებისას.

კეპსტრული მეთოდი დიაგნოსტიკური ნიშნების ფორმირებისას გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც რხევით პროცესს გააჩნია პერიოდული მოდულირებული სპექტრი, რომელიც შეიმჩნევა მექანიზმების კვანძებისა და დეტალების არაწრფივი ურთირობოქმედების შედგად, ამპლიტუდური და სიხშირული მოდულაციის არსებობისას, ასევე მექანიზმის ფიზიკური პარამეტრების ცვლილებისას ცვეთის, სიხისტის ცვლილების და დარტყმითი ურთიერთ მოქმედებისას.

კეპსტრულმა მეთოდმა ყველაზე ფართო გამოყენება პოვა რედუქტორის მექანიზმებში კილანური თვლების დიაგნოსტიკას, რომელსაც ზედაპირის სხვადასხვაგვარი ცვეთა ახასიათებს.

ვიბროგამზომი აპარატურა მოიცავს:

1. სტაციონარული ლაბორატორიული ხელსაწყოების კომპლექსს, მათ შორის:

მრავალარხიანი ხელსაწყოები:

- მიმდევრობითი მოქმედების;
- პარალერული მოქმედების.

მრავალფუნქციური ხელსაწყოები:

- ვიბრაციული ანალიზატორი;
- მიკროპროცესორი.

2. გადასატანი ლაბორატორიული და სამრეწველო ხელსაწყოები.

3. ხელსაწყოების კომპლექსი საგამოცდო ტექნიკისათვის:

- ხელსაწყოები ვიბრაციული პროცესების მართვისათვის;
- მრავალკომპონენტიანი ხელსაწყოები;
- ხელსაწყოები ფართოზოლოვანი შემთხვევითი პროცესების ფორმირებისა და გაზომვისათვის.

სტაციონარული ლაბორატორიული ხელსაწყოების კომპლექსის დანიშნულებაა სხვადასხვა ობიექტისა და ელემენტის კვლვა და შესაბამის კონდიციამდე მიყვანა, დამუშავება მათზე მექანიკური ფაქტორების ზემოქმედებისას.

გადასატანი ლაბორატორიული და სამრეწველო ხელსაწყოების დანიშნულებაა ვიბრაციისა და ხმაურის დონის მიმდევრობითი და პარალერული კონტროლი ობიექტის ერთ ან რამდენიმე წერტილში, მანქანისა და მექანიზმის მბრუნავი ნაწილების ტექნიკური დიაგნოსტიკა და ბალანსირება, რაც

აერთიანებს საკონტროლო-სასიგნალო, ბალანსირებისა და ვიბროდიაგნოსტიკურ აპარატურას.

ხელსაწყოების კომპლექსი საგამოცდო ტექნიკისათვის გამოიყენება პროდუქტის გამოსაცდელად ვიბრაციულ, დარტემით და აკუსტიკურ ხმაურზე, რომელიც მოიცავს ხელსაწყოებისა და მექანიკური დატვირთვების შექმნისა და აღწარმოების საშუალებებს, საზომ-საკონტროლო და მართვის აპარატურას. ამ ხელსაწყოებმა უნდა უზრუნველყონ გამოცდის ჩატარების სანდობა, მათი შესაბამისობა ობიექტის ტექნიკურ რეგლამენტსა და ექსპლუატაციის პირობებთან.

მრავალარხიანი ვიბროგამზომი აპარატურა ფართოდ გამოიყენება ვიბროდიაგნოსტიკის სისტემებში, რომელიც კლასიფიცირებულია გაზომვის ძირითადი პრინციპების მიხედვით:

- ვიბრაციის პარამეტრების მიმდევრობითი გაზომვა ობიექტის ცალკულ წერტილებში;
- ვიბრაციის პარამეტრების პარალერული გაზომვა ობიექტის ყველა საკონტროლო წრტილში ერთდროულად;
- კომბინირებული ხელსაწყოები ვიბრაციის პარამეტრების პარალერული ჩაწერით ყველა გამოსაკვლევ წერტილში და ამ პარამეტრის მიმდევრობითი გაზომვით თითოეულ წერტილში.

ვიბრაციის პარამეტრების მიმდევრობითი გაზომვის აპარატურის გამოყენებისას ობიექტის საკონტროლო წერტილებში ამაგრებენ გადამწოდებს, ისინი წინასწარი გამაძლიერებლის გავლით მიერთებულია ელექტრომექანიკურ ან ელექტრონულ კომუტატორთან, რომლის საშუალებითაც მიმდევრობით ერთვებიან საზომ ხელსაწყოსთან.

ვიბრაციის პარამეტრების პარალელური გაზომვის აპარატურას გააჩნია იმდენი გამაძლიერებელი და გამზომი არხი, რამდენი გადამწოდიცაა დამაგრებული ობიექტზე. ასეთი აპარატურა წარმოადგენს ერთარხიანი ვიბროგამზომი ხელსაწყოების ნაკრებს.

კომბინირებული ხელსაწყოები გამოსაყენებლად უფრო პერსპექტიულია, რამდენადაც ისინი საშუალებას გვაძლევენ ვაკონტროლოთ ვიბრაციის პარამეტრები ობიექტის ყველა წერტილში, ოპერატიულად შევაფასოთ მათი ექსტრემალური მნიშვნელობა, მოვახდინოთ ვიბრაციის დასაშვებ დონესთან კომპარირება (შედარება), რითაც საშუალება გვეძლვა გამოვრიცხოთ ცალკეული, მაგრამ ობიექტისათვის დამახასიათებელი საკონტროლო წერტილები. ასეთი აპარატურა ფართოდ გამოიყენება როტული მექანიკური კონსტრუქციის ობიექტების დიაგნოსტიკათვის.

ვიბროდიაგნოსტიკის საკონტროლო მოწყობილობების განვითარების ძირითადი ტენდენციაა სიგნალების პარალერული სელექციის მრავალარხიანი სისტემების შექმნა.

კომბინირებული სელექტორები საშუალებას გვაძლევენ ვმართოთ გამოცდის რეჟიმები ვიბრაციის მინიმალური, საშუალო და მაღალი დონეების მიხედვით.

აპარატურის შერჩევისას პირველ რიგში აუცილებელია დავადგინოთ საკონტროლო წერტილების აუცილებელი და საკმარისი რაოდენობა, მათი ადგილმდებარობა, გაზომვის კომპონენტების რაოდენობა თითოეულ წერტილში, ვიბრაციის საკონტროლო პარამეტრი, სისშირული დიაპაზონი, რომელშიც დამახასიათებელ, მნიშვნელოვან და სახიფათო დეფექტს მიუვართ სპექტრის ცალკეული შემადგენელი პარმონიკების ამპლიტუდის ან მოლიანად ვიბრაციის დონის შეცვლისაკენ.

ვიბრაციული პალეოვის მასალების სტატისტიკური დამუშავება საშუალებას გვაძლევს შევადგინოთ დეფექტის გარჩევის რუკები. ამ მონაცემების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ დეფექტის ნიშნების შესახებ და შევარჩიოთ აპარატურის სისშირული დიაპაზონი, რომელიც აუცილებელი იქნება მანქანის დამახასიათებელი დეფექტის აღმოსაჩნად. ყველა შემთხვევაში სისშირული დიაპაზონის ზედა ზღვარი არ უნდა იყოს ნაკლები როტორის მუშა ბრუნთა რიცხვის გაორმაგებული მნიშვნელობაზე.

ანალოგური მეოთვით ვიბრაციის გაზომვისა და ანალიზისათვის მონაცემთა დამუშავების ციფრული ხერხის გამოყენებისას გამოსასვლელზე ვიბრაციის დონის

განაწილების პისტოგრამის, ფაზური დიაგრამების, ვიბრაციის ფაზის სიხშირისა და დროითი დამიკიდებულების მისაღებად გამოყენება მრავალფუნქციური სისტემები.

ავტომატიზებული სისტემები იყოფა სამ ძირითად ჯგუფად.

- პირველ ჯგუფში ინფორმაციულ საშუალებებს გამოიყენებენ სიგნალების ოპერატიული დამუშავებისათვის;
- მეორე ჯგუფში ინფორმაციული საშუალება დამუშავებს მიღებულ სიგნალს და გამოიმუშავებს კორელაციის შეტყობინებას გამოცდის რეჟიმის შეცვლისას.
- მესამე ჯგუფს განეკუთვნება მთლიანად ავტომატიზებული სისტემები, სადაც საინფორმაციო საშუალება ჩართულია სიგნალის დამუშავების, ანალიზისა და მართვის წრედში გამოცდისა და კვლევის პროგრამის სრული სამუშაო რეჟიმით. უმარტივესი ავტომატიზებული სისტემები ოპერატიულად ზომავენ და აანალიზებენ დამახასიათებელ ვიბრაციებს და ადარებენ ეტალონურ მნიშვნელობას.

შემთხვევითი ვიბრაცია. რეალურად ვიბრაციული პროცესები შემთხვევით ხასიათს ატარებს, ამიტომ სადიაგნოსტიკო ობიექტების ანალიზისათვის საჭიროა გაიზომოს ფართო ზოლოვანი შემთხვევითი ვიბრაციის პარამეტრები. შემთხვევითი ვიბრაციის პარამეტრების საზომი აპარატურის თავისებურებაა მათში სიხშირულ-ამორჩევითი სქემების არსებობა.

დეფექტის წარმოშობისას სიხშირის Δω ზოლში ადგილი აქვს ვიბრაციის დონის ცვლილებას. ვობროსაზომ ხლასაწყოებში ვიბრაციის პარამეტრების ინფორმაციულობის გაზრდის მიზნით გამოიყენება ფილტრები, რომლებიც ატარებენ სპეციალური შესაბამის მდგენელებს და ზღვრებში. ამ შემთხვევაში ფილტრის გამოსასვლელზე სიგნალი შედგება ისეთი პარმონიული სიგნალების ჯამისაგან, რომელთა ამპლიტუდაა **A₀** და ხმაური **P(t)**.

ვიბროდიაგნოსტიკურ აპარატურაში მრავალი სახვადასხვა ფილტრი გამოიყენება მათ შორის:

- აქტიური ანალოგური ფილტრები;
- მამრავლებელ- ამორჩევითი მოწყობილობები;
- ციფრული ფილტრები;
- მექანიკური ფილტრები და სხვა.

სადიაგნოსტიკო ობიექტის შემთხვევითი ვიბრაციის ანალიზი მიზანშეწონილია ჩატარდეს ორარხიანი ანალიზატორების გამოყენებით დროის რეალურ მასშტაბში. ანალიზატორის ყოველ არხში ჩამონეტაჟებულია მიკროპროცესორი მონაცემთა ოპერატიული დამუშავებისა და ფურიეს სწრაფი გარდაქმნის განსახორციელებლად. ორი არხის არსებობა უზრუნველყოფს ობიექტის სპეციულ-კორელაცური და კეპსტრული მდგომარეობების შეფასებას, ანალიზის შედგების დისპლეის საშუალებით ასახვის შესაძლებლობით.

3. ულტრაბეგერითი კონტროლი. ზოგადი ცნობები

აკუსტიკური ეწოდება მეთოდს, რომელიც დამყარებულია ნებისმიერი სიხშირის დრეკადი რხევებისა და ტალღების გამოყენებაზე. მეთოდები, სადაც გამოყენებულია სიხშირები 20 kHz-დან 100 MHz-მდე იწოდება ულტრაბეგერით მეთოდებად.

დრეკადი ტალღა წარმოადგენს გარემოში მექანიკური ძალების აღმდებრის გავრცელების პროცესს, რომელიც განპირობებულია გარემოს ნაწილაკების დრეკადი ურთიერთობის მეთოდით. გარემოს მნიშვნელოვანი პარამეტრია მისი მახასიათებელი იმპედანსა ან კუთრი ტალღური წინაღობა.

რხევითი სიჩქარე. არის p ბგერითი წნევით განპირობებული ნაწილაკების რხევის სიჩქარე, რომელიც p_a მყისიერ და p_0 სტატიკურ წნევებს შორის წნევათა სხვაობით $\mathbf{p} = \mathbf{p}_a - \mathbf{p}_0$ წარმოიშობა გარემოს მოცემულ წერტილში. წონასწორობის მდგრმარეობიდან ნაწილაკის გადახრას ξ წანაცვლება ეწოდება, ხოლო სიდიდეს $v = d\xi/dt$ - რხევითი სიჩქარე.

დრეკადი ტალღა წარმოადგენს გარემოში მექანიკური ძალების აღმდებრის გავრცელების პროცესს, რომელიც განპირობებულია გარემოს ნაწილაკების დრეკადი ურთიერთობის მეთოდით.

გარემოს მნიშვნელოვანი პარამეტრია მისი მახასიათებელი იმპედანსა ან კუთრი ტალღური წინაღობა. იგი განისაზღვრება, როგორც ბგერითი წნევის კომპლექსური ამპლიტუდის p ფარდობა რხევის სიჩქარესთან v პარმონიულ მორბენალ ტალღაში:

$$\mathbf{z} = \mathbf{p}/v.$$

ჩვეულებრივ, ის გამოისახება p გარემოს სიმკვრივის ნამრავლით ტალღის გავრცელების სიჩქარეზე:

$$\mathbf{z} = \mathbf{pc}$$

იმ გარემოსათვის, სადაც z მნიშვნელობის დანაკარგი დიდი არ არის, ის შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილ სიდიდე.

ნებისმიერ პარმონიულ ტალღაში კომპლექსური ამპლიტუდების p/v ფარდობას აკუსტიკურ იმპედანსას \mathbf{z}_a -ს უწოდებენ.

$$\mathbf{z}_a = \mathbf{p}/v.$$

ზოგადად \mathbf{z}_a კომპლექსური სიდიდეა.

არარღვევადი კონტროლის პრაქტიკაში გვხვდება მექანიკური იმპედანსის ცნებაც, რაც გულისხმობს აღმძღვრელი პარმონიული ძალის კომპლექსური ამპლიტუდების ფარდობას ამ ძალის მიმართულების მქონე რხევის v სიჩქარესთან.

$$z=F/v.$$

განსხვავებით \mathbf{pc} ნამრავლისაგან, რომელიც ახასიათებს გარემოს, მექანიკური იმპედანსი კონსტრუქციის პარამეტრია.

დრეკადი ტალღის ენერგეტიკული მახასიათებელი არის ინტენსივობა. მორბენალი პარმონიული ტალღისათვის ინტენსივობა გამოისახება ფორმულით:

$$j = \rho c(v_m)^2 / 2 = (p_m)^2 / 2\rho c.$$

სადაც v_m და p_m შესაბამისად რხევითი სიჩქარისა და ბგერითი წნევის ამპლიტუდებია.

განსახილვები სიდიდეების ერთეულები SI ერთეულთა სისტემაში შემდეგია: წანაცვლება - m , რხევითი სიჩქარე - m/s , ბგერითი წნევა - Pa , ინტენსივობა - V_T/m^2 , მახასიათებელი და აკუსტიკური იმპენდანსები $Pa \cdot s/m$, მექანიკური იმპედანსა - $H \cdot s/m$.


სითხეებსა და აირებში ვრცელდება მხოლოდ გრძივი ტალღები. უსაზღვროდ მკვრივ სხეულებში შესაძლებელია მხოლოდ გრძივი და განივი (გადამაადგილებელი) ტალღების არსებობა. გრძივ ტალღებში გარემოს ნაწილაკების რხევითი მოძრაობის მიმართულება ემთხვევა (ან საწინააღმდეგოა) ტალღის გავრცელების მიმართულებისა, განივ ტალღებში კი გავრცელების მიმართულების მართობულია.

ნაკლებად მკვრივ სხეულებში შესაძლებელია სხვა ტიპის ტალღების გავრცელებაც. მათ შორის მნიშვნელოვანია: ზედაპირული ტალღები (რელეის

ტალღები), ნორმალური ტალღები ფენებში (ლემბის ტალღები), დუნგადი ტალღები, ნორმალური დეროვანი ტალღები (პონამერის ტალღები).

ზედაპირული ტალღა ვრცელება მყარი სხეულის თავისუფალ ზედაპირულ ფენაში, რომლის სისქე ტალღის სიგრძის რიგისია. გარემოს ნაწილაკები მოძრაობები ეკლიპტიკურ ტრაექტორიაზე.

ლემბის ტალღები ადისტრება ფურცლოვან, ღრუ კედლებისა და სხვა ფენებში და გააჩნიათ ტალღგამტარი გავრცელების მექანიზმი. ამ ტალღების გავრცელების სიჩქარე არ არის დამოკიდებული ფენის სისქეზე და სისშირეზე. სიმეტრიული და არასიმეტრიული ტალღის მოდები (რევებს ტალღური ვექტორს გარკვეული მნიშვნელობით ეწოდება ტალღის მოდა, რომელიც მაგალითად დაჭიმული სიმის რხევის შემთხვევაში გარკვეული მნიშვნელობით განსაზღვრავს მის ძირითად ტონს და ობერტონებს) განსხვავდებიან ტალღის შუაკვეთის ფენის მიმართ სიმეტრიული და არასიმეტრიული მოძრაობით (სურ.4). ტლღის სხვადასხვა მოდა ვრცელდბა სხვადასხვა სიჩქარით. დუნგადი ტალღები ლემბის ნულოვანი რიგის α_0 არასიმეტრიული ტალღების კერძო შემთხვევას წარმოადგენს, როდესაც ტალღების ამპლიტუდა ბევრად აღემატება გავრცელების ფენის სისქეს.



სურ.4. ფენების დეფორმაცია სიმეტრიული და არასიმეტრიული ტალღების გავრცელებისას


დეროვანი ტალღები ბევრი რამით ჰგავს ლემბის ტალღებს. ისინიც იყოფიან სიმეტრიულ და არასიმეტრიულ ტალღებად და გააჩნიათ მრავალგვარი სახის მოდა.

გრძივი, განივი და ზედაპირული ტალღების სიჩქარეები მასალათა უმრავლესობაში არ არის დამოკიდებული სისშირეზე. ტალღის სიჩქარე ფირფიტებსა და დეროებში დამოკიდებულია ნაკეთობის სისქისა და სისშირის ნამრავლზე. ამ მოვლენას სიჩქარის დისპერსიას უწოდებენ.

ნებისმიერი ტალღა გავრცელების სიჩქარე განისაზღვრება გარემოს სიმკვრიფით და მისი დრეკადობის შემდგენის არსებობით.


დრეკადი ტალღები გარემოში გავრცელებისას სუსტდება სივრცში ენერგიის გაბნევის და ამ გარემოში მიღევადობის გამო. ულტრაბეგერით დეფექტოსკოპიაში გამოიყენება მაღალი სისშირეები ($f > 0,5 \text{ MHz}$). როდესაც გარდამქმნელის განივი ზომის ფარდობა 2α მეტია ტალღის სიგრძეზე ($2\alpha > \lambda$, λ - ტალღის სიგრძე). ამ შემთხვევაში გამოსხივება ხასიათდება მიმართულებით, ანუ ძირითადი ენერგია თავმოყრილია შედარებით ვიწრო ზოლის ფარგლებში. გამომსხივებლის აკუსტიკურ გელს გააჩნია ახლო და შორეული ზონები. ა რადიუსის წრიული გარდამქმნელისათვის ახლო ზონის საზღვარი არის $r_b = a^2/\lambda$ მანძილი. ახლო ზონაში $r < r_b$ ბგერითი წნევა იცვლება არამონტონურად, ხოლო შორეულ ზონაში მონოტონურად მცირდება. $r \gg r_b$ მანძილებზე ბგერითი წნევის დამოკიდებულება გამოსხივების დერძის ზეუთხეზე წარმოდგენილია მიმართულების დიაგრამაზე (სურ.5), რომელსაც გააჩნია ძირითადი და რამდენიმე გვერდითი ფურცელი. ამ დიაგრამის ძირითადი ფურცლის გაშლის კუთხე

$$\theta = \arcsin 0,6 (\lambda/a).$$



სურ.5. ბადროს ფორმის გარდამქმნელის გამოსხივების ველის
მიმართულების დიაგრამა $2a/\lambda = 5$ პოლარულ კოორდინატებით.

დრეკადი რხევების ადგვრისა და მიღებისათვის იყენებენ ელექტროაკუსტიკურ გარდამქმნელებს. მათ შორის ყველაზე უფრო გავრცელებულია პიეზოელექტრული გარდამქმნელები. ისინი სხვადასხვაგვარია და განსხვავდებიან დანიშნულების, შესრულების, მუშა სიხშირით და სხვა პარამეტრებით.



სურ.6. პიეზოგარდაძქმნელების კონსტრუქციები:

ა) - პირდაპირი შეთავსების; ბ) - დახრილი შეთავსების; გ) გაყოფილ-შეთავსებული.

1 - პიეზოელემენტი; 2 - დემპფერი; 3 - პროტექტორი; 4 - საკონტაქტო სითხის ფენა; 5 - საკონტროლო ობიექტი; 6 - კორპუსი; 7 - გამომყვანი; 8 - პრიზმა; 9 - აკუსტიკური ეკრანი.

პირდაპირი შეთავსების გარდამქმნელების (სურ.6.ა) დანიშნულებაა გრძივი ტალღების გამოსხივება და მიღება. ამ ორივე ფუნქციას ასრულებს ერთი პიეზოელემენტი.

დახრილი გარდამქმნელები (სურ.6.ბ) გამოიყენება განივ და ლემბის ზედაპირულ ტალღებთან სამუშაოდ. საკონტროლო ნაკეთობაში ყველა ეს ტალღა აღიძვრება გრძივი ტალღების ტრანსფორმაციის შედეგად, რომელიც მიეწოდება გარდამქმნელი-ნაკეთობის გაყოფის საზღვარზე სხვადასხვა კუთხით. მიღებისას ხორციელდება უპუ ტრანსფორმაცია.

გაყოფლ-შეთავსებული (სურ.6.გ) გარდამქმნელები გრძივი ტალღების მიღებისა და გამოსხივებსათვის იყენებენ სხვადასხვა პიეზოელემენტს, რომლებიც ერთ

კორპუსშია დამონტაჟებული. გამოიყენება ასევე გრძივი ტალღების ცალკე გამომსხვებელი და ცალკე მიმღები გარდამქმნელები.

გამოიყენება სხვა სახის გარდამქმნელბიც - ფართოლზოლოვანი, დახრის სარეგულირებელი კუთხეებით, ფოკუსირებადი, მრავალელემენტიანი (მატრიცული) და სხვ. დრეგადი ტალღების გადაცემისათვის გარდამქმნელის ელმენტებსა და საკონტროლო ობიექტს შორის აუცილებელია აკუსტიკური კონტაქტის შესაქმნელი მატერიალური გარემოს არსებობა. ასეთი კონტაქტი შეიძლება განხორციელდეს შემდეგი მასალების გამოყენებით:

- სითხის თხელი ფენა (კონტაქტური მეთოდი);
- h სისქის სითხის ფნით, როდესაც h არის λ ტალღის სიგრძის რიგის (დრეგის მეთოდი);
- სითხის სქელი ფენა (შრე) h>λ (იმერსიული მეთოდი);
- ელასტიკური პლასტიკის ფენით (მშრალი მეთოდი).

დაბალ სიხშირეებზე (60 – 100 kHz), გამოიყენება წერტილოვანი მშრალი კონტაქტი გარდამქმნელის გამოსასვლელის დაბოლოების ამოზნექილი ზედაპირიდან.

სპეციალური ამოცანის გადაწყვეტისას დრეგადი რხევების გამოსხივებისა და მიღებისათვის იყენებენ არასაკონტაქტო (უკონტაქტო) გარდამქმნელებს მათ შორის:

- ელექტრომაგნიტური ველის ეფექტზე დამყარებულ - ელექტრომაგნიტურაკუსტიკურს (ემა);
- ოპტიკურს, ლაზერული აღგზებითა და დრეგადი რხევების ინტერფერენციული მიღებით;
- პიეზოელექტრულს, ჰაერის სქელი ფენის (h>λ) საშუალებით დრეგადი ტალღების გამოსხივებითა და მიღებით.

მგრძნობიარობის მიხედვით არაკონტაქტური გარდამქმნელები ჩამორჩებიან გამოსაბატონი ტბილქმნით შითხითი აგშირის მქონე პიეზოელექტრულ გარდამქმნელებს.

3.1 აკუსტიკური მეთოდების კლასიფიკაცია

არარღვევადი კონტროლის აკუსტიკური მეთოდები იყოფა ორ დიდ ჯგუფად - აქტიურ და პასიურ მეთოდებად.


აქტიური მეთოდები იყოფა გავლის, არეკვლის, კომბინირებულ (გავლისა და არეკვლის გამოყენებით), იმპედანსურ და საკუთარი სიხშირეების მეთოდებად.

გავლის მეთოდები გამოიყენებენ გამომსხვებელ და მიმღებ გარდამქმნელებს, რომლებიც გამოსაკვლევი ობიექტის სხვადასხვა ან ერთ მხარესაა განლაგებული. გამოიყენებენ იმპულსურ ან უწყვეტ (იშვიათად) გამოსხვებას და ობექტში გავლილ სიგნალს აანალიზებენ.

3.1.1. აკუსტიკური დიაგნოსტიკის აქტიური მეთოდები. გავლის მეთოდი

აკუსტიკური სადიაგნოსტიკოსა და კონტროლის მეთოდებიდან ყველაზე ფართოდ გამოიყენება აკუსტიკური სიგნალის საკვლევ ობიექტში გავლის მეთოდი, აღნიშნული მეთოდი აკუსტიკური სიგნალის ობიექტში გავლისას მისი ფიზიკური მახასიათებლების ცვლილებისა და რეგისტრაციის ხასიათის მიხედვით არსებობს შემდეგი სახის:

ა) ამპლიტუდურ ჩრდილოვანი მეთოდი, დაფუძნებულია კონტროლირებად ობიექტში დეფექტის არსებობით გამოწვეული გავლილი ტალღის ამპლიტუდის ცვლილების რეგისტრაციაზე (სურ.7.ა)



სურ. 7. გავლის მეთოდები


- ა) ჩრდილოვანი; ბ) დროებით ჩრდილოვანი; გ) ველოსიმეტრული;
 1. გენერატორი; 2. გამომსხივებელი; 3. საკონტროლო ობიექტი; 4. მიღები; 5. გამაძლიერებელი; 6. ამპლიტუდის გამზომი; 7. გავლის დროის მრიცხველი; 8. ფაზის გამზომი.

დროებით ჩრდილოვანი მეთოდი, დაფუძნებულია იმპულსის მიერ საკონტროლო ობიექტში დეფექტის გარშემოვლის გამო, გავლილი გზის გაზრდით გამოწვეული დაგვიანების ცვლილების რეგისტრაციაზე, ამასთან ტალღის ტიპი არ იცვლდა (სურ.7.ბ).

ველოსიმეტრული მეთოდი, დაფუძნებულია დეფექტის ზონაში დრეკადი ტალღების დისპერსიული მოდების სიჩქარის ცვლილების რეგისტრაციაზე და გამოიყენება საკონტროლო ობიექტთან ცალმხრივი და ორმხრივი მიღებობის დროს (სურ.7.გ). ამ მეთოდის რეალიზაციისას, წვეულებრივ, გამოიყენება წერტილოვან მშრალკონტაქტიანი გარდამქმნელები. ცალმხრივი მიღებობის ვარიანტში (სურ.7. გ, ზედა) გამომსხივებლის მიერ აღმრული ნულოვანი რიგის a_0 არასიმეტრული ტალღების სიჩქარე ცალკეულ დეფექტურ შრეში ნაკლებია, ვიდრე არადეფექტურ ზონაში. ორმხრივი მიღებობის დროს ((სურ.7.გ, ქვედა) არადეფექტურ ზონაში ენერგია გადაეცემა გრძივი ტალღის საშუალებით, დეფექტის ზონაში - a_0 ტალღით, რომელიც გაივლის მეტ მანძილს და კრცელდება ნაკლები სიჩქარით, ვიდრე გრძივი ტალღა. საკონტროლო ობიექტის დეფექტის დაფიქსირება ხდება ფაზის ცვლილებით ან გავლის დროის აირრდის ხარჯზე (მხოლოდ იმპულსური რეჟიმისათვის).

3.1.2. აკუსტიკური სიგნალის არეკვლის მეთოდები.

ულტრაბეჭდითი დიაგნოსტიკურების აკუსტიკური არეკვლის მეთოდების რეალიზაციისას გამოიყენებენ, როგორც ერთ, ასევე ორ გარდამქმნელს.



სურ.8. არეკვლის მეთოდები

ა. ექო; ბ. ექო-სარკისებური; გ. დელტა მეთოდი; დ. დიფრაქტიულ-დროითი; ე. რევერბერაციული;

1 - გენერატორი; 2 - გამომსხივებელი; 3 - საკონტროლო ობიექტი; 4 - მიმღები; 5 - გამაძლიერებელი; 6 - სინქრონიზატორი; 7 - ინდიკატორი.

ამ მეთოდებში გამოიყენება იმპულსური გამოსხივება და ისინი იყოფიან დეფექტოსკოპიის მეთოდების შემდეგ ქვეჯგუფებად:

• ექო-მეთოდი (სურ.8.ა) დაფუძნებულია დეფექტიდან ექოსიგნალების რეგისტრაციაზე. ინდიკატორის ეკრანზე ჩვეულებრივ აისახება ზონდირებული (გაგზავნილი) სიგნალი I, საწინააღმდეგო ზედაპირიდან (ფსკერიდან) არეკლილი სიგნალი იმპულსი III, და დეფექტიდან არეკლილი ექო - სიგნალი II. II და III სიგნალების მოსვლის დრო პროპორციულია დეფექტის განლაგების სიდრმისა და ნაკვეთობის სისქისა. კონტროლის შეთავსებული რეჟიმის სქემით (სურ.8.ა) ერთი და იმავე გარდამქმნელი ასრულებს გამომსხივებლისა და მიმღების როლს. თუ ამ ფუნქციებს ასრულებს სხვადასხვა გარდამახი მაშინ მას გაყოფილ სქემას უწოდებენ.

• ექო-სარკისებური მეთოდი (სურ.8.ბ) დაფუძნებულია ნაკონისა და დეფექტიდან სარკისებურად არეკლილი სიგნალების ანალიზზე, ე.ი. ისეთი სიგნალის ანალიზზე, რომელმაც გაიარა A,B,C, მანძილი. ამ მეთოდის ვარიანტი, რომელიც გათვლილია ვერტიკალური დეფექტების გამოვლინებაზე EF სიბრტყეში, ცნობილია ტანდემის მეთოდის სახელწოდებით. მისი რეალიზაციისათვის და გარდამქმნელის გადადგილებისას მუდმივად ტოვებენ მნიშვნელობას $I_A + I_B = 2H \operatorname{tg} \alpha$, ხოლო ვერტიკალური დეფექტების სარკისებური ანარეკლის მისაღებად ახდენენ $I_A + I_B$ მნიშვნლობის ვარირებას. მეთოდის ერთ-ერთი ვარიანტი, რომელიც "მრუდე ტანდემის" სახელითაა ცნობილი, გულისხმობს გამომსხივებლისა და მიმღების არა ერთ, არამედ

სხვადასხვა სიბრტყეში განლაგებას (სურ.3.5.ბ, სქემატური ხედი ქვევით), მაგრამ ისე, რომ მიიღოს სარკისებრი ანარეკლი დეფექტიდან. კიდევ ერთი ვარიანტი, რომელიც K-მეთოდის სახელითაა ცნობილი, გულისხმობს მათ განლაგებას ნაკეთობის სხვადასხვა მხარეს, მაგალითად მიმღებს ათავსებენ C წერტილში.


- დელტა-მეორდი (სურ..8.გ) დაფუძნებულია დეფექტის თავზე განლაგებული გრძივი ტალღების (4) გარდამქნელით, გარდამქნელიდან გამოსხივებული და დეფექტიდან გაფანტული განივი ტალღების (2) მიღებაზე.

• დიფრაქციულ-დროითი მეთოდი (სურ.8.დ), რომელშიც გამომსხივებლებს (2) და (2'), მიმღებებს (4) და (4') შეუძლიათ გამოასხივონ ან მიიღონ გრძივი ან განივი ტალღები, ამასთან შეუძლიათ გამოოასხივონ და მიიღონ სხვადასხვა ტიპის ტალღები. გარდამქმნელები ისეა განლაგებული, რომ ტალღების ექო-სიგნალების მაქსიმალური მნიშვნელობა მიიღონ, რომლებიც დეფექტის ბოლოებშია თავმოყრილი. ზომავე დეფექტის თავსა და ბოლოდან სიგნალების მოსვლის დროსა და ამპლიტუდას.

- რევერბერაციული მეოთხში (სურ.8.ე) იყენებენ დეფექტის გავლენას საკონტროლო ობიექტში მრავალჯერ არეკლილი ულტრაბგერითი იმპულსებს მიღევის დროზე. მაგალითად, გარე მეტალური შრისა და შიგა პოლიმერული შრის შეწებებული კონსტრუქციისათვის შეერთების დეფექტი ხელს უშლის ენერგიის გადაცემას შიგა შრეში, რაც ზრდის მრავალჯერადი ექო-სიგნალების მიღევის ხანგრძლივობას გარეთა შრეში. ულტრაბგერის დიდი მიღევადობის გამო პოლიმერულ შრეში არეკლილი იმპულსები, ჩვეულებრივ, არ არის.

3.1.3. აკუსტიკური კონტროლის კომბინირებული მეთოდები.

ეს მეთოდი უკვე განხილული წინა ორი მეთოდის ერთგვარ კომბინაციას წარმოადგენს, რომლის რეალიზაციისასაც იყენებენ, ულტრაბგერითი ტალღის, როგორც გაფლის ისე არეკვლის პრინციპებს.



სურ.9. კომბინირებული მეთოდები, გავლისა და არეალების გამოყენებით:

ა) სარკისებურ - ჩრდილოვანი; ბ) გქო-ჩრდილოვანი; გ) გქო-გამჭოლი;

1- დეკლარაცია; 2- გამომსხივებელი; 3 - საკონტროლო ობიექტი; 4 - მიმღები

ა) სარკისებურ – ჩრდილოვანი მეთოდი დაფუძნებულია ფსკერული სიგნალის ამპლიტუდის გაზომვაზე. არეკლილი სიგნალი სურ.3.9 -ზე პირობითად წანაცვლებულია. შესრულების ტექნიკის მიხედვით (ექო - სიგნალის დაფიქსირება) მას შემდეგ როდენის არეკლილის მეთოდებს, ხოლო კონტროლის ფიზიკური არსის მიხედვით


(იზომება სიგნალის შესუსტება, რომელმაც ორჯერ გაიარა დეფექტის ზონა) ის უახლოვდება ჩრდილოვან მეთოდს.

ბ) ექო-ჩრდილოვანი მეთოდი დამყარებულია როგორც გამავალი, ისე არეკლილი სიგნალის ანალიზზე. (სურ.3.6.ბ).

გ) ექო-გამჭოლ მეთოდში ფიქსირდება ნაკეთობაში ორჯერ არეკლილი გამჭოლი სიგნალი, ხოლო ნახევრად გამჭვირვალე დეფექტის აღმოჩენისას - დეფექტიდან არეკლილი სიგნალიც, რომელიც ასევე აირეკლა შესაბამისად ნაკეთობის ზედა და ქვედა ზედაპირიებდან. დიდი გაუმჭვირვალე დეფექტის აღმოჩენა ხდება სიგნალის გაქრობის (დაკარგვის) ან მკვეთრი შემცირების დაფიქსირებით, ე.წ. ჩრდილოვანი მეთოდით.

3.1.4. აკუსტიკური კონტროლის საკუთარი სიხშირეების მეთოდი

საკონტროლო ობიექტის რხევის საკუთარი სიხშირის გაზომვა წარმოადგენს აკუსტიკური კონტროლის საკუთარი სიხშირეების მეთოდის საფუძველს. ნაკეთობაში საკუთარ სიხშირეებს ზომავენ როგორც იძულებითი, ისე თავისუფალი რხევების აღძვრისას. თავისუფალი რხევები, ჩვეულებრივ, აღიძვრება მექანიკური დარტყმის შედეგად, იძულებითი - ცვლადსიხშირიანი ჰალის მოქმედებით.



სურ.10. საკუთარი სიხშირეების მეთოდები:

იძულებითი რხევების გამოყენებით ა) -ინტეგრალური; ბ) - ლოკალური; თავისუფალი რხევების გამოყენებით გ) - ინტეგრალური; დ) - ლოკალური.

1. ცვლადსიხშირიანი უწყვეტი მოქმედების გენერატორი; 2. გამომსხივებელი; 3. კონტროლის ობიექტი; 4. მიმღები; 5. გამაძლიერებელი; 6. რეზონანსული ინდიკატორი; 7. სიხშირის მოდულატორი; 8. ინდიკატორი; 9. საექტრული ანალიზატორი. 10. დარტყმითი ვიბრატორი; 11. ინფორმაციის დამუშავების ბლოკი. განასხვავებენ ინტეგრალურ და ლოკალურ მეთოდებს. ინტეგრალურ მეთოდებში აანალიზებენ ისეთი ნაკეთობის რხევის საკუთარ სიხშირეებს, რომელიც ირხევა

როგორც ერთი მთლიანი, ლოკალურში ანალიზს ექვემდებარება ნაკეთობის ცალკეული მონაკვეთების (ნაწილების) რხევები.

საკუთარი სიხშირეების მეთოდი ხორციელდება იძულებითი რხევების გამოყენებით. ინტეგრალურ მეთოდში რეგულირებადსიხშირიანი, ჩვეულებრივ საკონტროლო ობიექტზე (3) მოქმედი, გრძივი ან დრეკადი ტალღების აღმძრელი გენერატორი (1) (სურ.10.ა) მიერთებულია გამომსხივებელთან (2). მიმღები (4) გარდაქმნის მიღებულ რხევებს ელექტრულ სიგნალში, რომელიც ძლიერდება გამაძლიერებლით (5) და მიეწოდება რეზონანსის ინდიკატორზე (6). გენერატორი (1)-ის სიხშირის რეგულირებით, ზომავენ ნაკეთობა (3)-ის საკუთარ სიხშირეს. გამოყენებული სიხშირის დიაპაზონი შეადგენს 500 kHz.

ლოკალური მეთოდს იძულებითი რხევების გამოყენებით (ულტრაბგერით რეზონანსულ მეთოდს) ძირითადად იყენებენ ნაკეთობის სისქის გასაზომად. ნაკეთობაში (3) (სურ.10.ბ) გარდამქმნელი (2) და მიმღები (4), ჩვეულებრივ, ადრავენ უწყვეტ ცვლადსიხშირიან გრძივ დრეკად ტალღებს, აფიქსირებენ სიხშირეებს, რომლებზედაც აღინიშნება “გარდამქმნელი-ნაკეთობის” სისტემის რეზონანსი. რეზონანსული სიხშირეების მიხედვით განსაზღვრავენ ნაკეთობის კედლის სისქეს და მასში დეფექტის არსებობას. ზედაპირის პარალერულ დეფექტებს გააჩნიათ გაზომვადი სისქე, ხოლო ზედაპირის მიმართ კუთხით განლაგებული დეფექტები იწვევენ რეზონანსის გაქრობას. ლოკალურ მეთოდში გამოყენებული სიხშირის დიაპაზონი რამდენიმე მეგაჰერცს (MHz) აღწევს.

საკუთარი სიხშირის მეთოდები თავისუფალი რხევების გამოყენებით, ასევე იყოფა ინტეგრალურ და ლოკალურ მეთოდებად.

ინტეგრალური მეთოდის გამოყენებისას ნაკეთობაში (3) (სურ.10.გ) ჩაქუჩის (1) დარტყმით აღიძვრება თავისუფალი მიღევადი რხევები. ამ რხევებს აღიქვამს მიეროვონი, სიგნალს გააძლიერებენ და გაფილტრავენ ზოლური ფილტრის გამოყენებით, რომლებიც გამოყოფენ სიგნალს იმ სიხშირეებით, რომლებიც შეესაბამება რხევების ამორჩეულ მოდას, რომელსაც ზომავენ მოდულატორი (7) საშუალებით. დეფექტის არსებობის ნიშანი სიხშირის ცვლილებაა (ჩვეულებრივ, შემცირება), როგორც წესი, მეთოდს გამოიყენებენ საკუთარი სიხშირეებისათვის რომლებიც არ აღემატება 15 კილოჰერცს (kHz).

ლოკალურ მეთოდში (სურ.10.დ) გენერატორით (1) აღგზნებული ვიბრატორი (10) ახორციელებს საკონტროლო ობიექტზე პერიოდულ დარტყმებს. მიმღები მიკროფონდან (4) გამაძლიერებელის (5) გავლით ელექტრული სიგნალები მიეწოდება სპექტრულ ანალიზატორს (9). სიგნალის გამოყოფილი სპექტრი გადაეცემა ინფორმაციის დამუშავების ბლოკს (11), ინდიკატორზე ხდება დამუშავების შედეგების წარმოდგენა. მიმღებ მოწყობილობად მიკროფონებში გამოიყენებენ პიეზომიმღებებს. დეფექტის დაფიქსირება ხდება მიღებული იმპულსური სიგნალის სპექტრის ცვლილების მიხედვით. ინტეგრალური მეთოდისაგან განსხვავებით კონტროლი ხორციელდება ნაკეთობის სკანირების გზით. მუშა სიხშირეების დიაპაზონი, ჩვეულებრივ, შეადგნს 0,3-დან 20 kHz-მდე სიხშირეს.


აკუსტიკურ-ტოპოგრაფიულ მეთოდს გააჩნია ლოკალური და ინტეგრალური მეთოდების ნიშნები. იგი დაფუძნებულია ნაკეთობაში ინტენსიური სიხშირის უწყვეტი ცვლილების დუნგადი ტალღების აღძრაზე და რხევის ამპლიტუდების განაწილების რეგისტრაციაზე, ზედაპირზე დატანილი ფხვნილის საშუალებით. დრეკადი ტალღები აღიძვრება მშრალ ნაკეთობაზე მიჭრილი გარდამქმნელით. გარდამქმნელი იკვებება მძლავრი (0,4 kW) სიხშირის უწყვეტი ცვლილების გენერატორიდან. თუ დეფექტით (განშრევება, შეერთების დარღვევა) გამოწვეული ზონის საკუთარი სიხშირე მოხვდება აღძრული სიხშირეების დიაპაზონში, მაშინ ამ ზონის რხევები ძლიერდება, ნაკეთობის ზედაპირის დამფარავი ფხვნილი წაინაცვლებს დეფექტის საზღვრებისაკენ, რაც მას თვალსაჩინოს ხდის. გამოყენებული რხევების სიხშირის დიაპაზონი 40 - 150 kHz შეადგენს.

3.1.5. აკუსტიკური დიაგნოსტიკის იმპედანსური მეთოდი


ნაკეთობაში დეფექტების არსებობისას მეთოდის რეალიზაციისათვის დრეკადი რხევებისას იყენებენ ნაკეთობის იმპედანსების დამოკიდებულებას ამ ნაკეთობის პარამეტრებზე. ჩვეულებრივ, აფასებენ მექანიკურ იმპედანს $Z=EV$,

სადაც F და V - აღმდევლი ძალის და სიჩქარის კომპლექსური ამპლიტუდებია შესაბამისად. იმპედანსურ მეთოდებში გამოიყენება დუნვადი და გრძივი ტალღები.

დუნვადი ტალღების გამოყენებისას დეროვანი გარდამქმნელი (სურ.11.ა) შეიცავს გენერატორთან (1) მიერთებულ გამომსხივებელს (2) და მიმღებ (4) პიეზოელემენტებს. გარდამქმნელი (3) წერტილოვანი მშრალი კონტაქტით ნაკეთობაში აღძრავს დუნვად ჰარმონიულ რხევებს. შეერთების დეფექტის ზონაში მექანიკური იმპედანსის $Z = |Z|e^{j\varphi}$ მოდული $|Z|$ მცირდება და იცვლება მისი არგუმენტი φ . ეს ცვლილებები რეგისტრირდება ელექტრონული აპარატურის საშუალებით. ამ მეთოდის იმპულსურ ვარიანტში სისტემაში ნაკეთობა-გარდამქმნელი აღძრავენ თავისუფალი რხევის მიღევად იმპულსებს. დეფექტის არსებობის ნიშანი იქნება ამ რხევების მზიდი სიხშირის ამპლიტუდის შემცირება.



ა



ბ

სურ.11. კონტროლის მეთოდები:

ა - იმპედანსური; ბ - აკუსტიკურ - ემისიური;

1 - გენერატორი; 2 - გამომსხივებელი; 3 - კონტროლის ობიექტი; 4 - მიმღები; 5 - გამაძლიერებელი; 6 - მონაცემთა დამუშავების ბლოკი ინდიკატორით.

შეთავსებული გარდამქმნელების გარდა იყენებენ საერთო კორპუსში ცალ-ცალკე შეთავსებულ, დამოუკიდებელ გამომსხივებული და მიმდები ვიბრატორებით აღჭურვილ გარდამქმნელებსაც, ეს გარდამქმნელები იმპულსურ რეჟიმში მუშაობენ. შეთავსებულ გარდამქმნელებთან მუშაობისას იყენებენ 8 kHz-მდე სისტირეს, ცალ-ცალკე შეთავსებული გარდამქმნელების შემთხვევაში იმპულსებს მზიდი სისტირით 15 -35 kHz.

სხვა შემთხვევაში მრავალშრიან საკონტროლო კონსტრუქციაში ბრტყელი ფირფიტისებური პიეზოგარდამქმნელით აღძრავენ ფიქსირებული სისტირის გრძივ დრეკად ტალღებს. დეფექტების დაფიქსირება ხდება გარდამქმნელის შესასვლელი ელექტრული იმპედანსის Z_e ცვლილების მიხედვით. Z_e იმპედანსის ცვლილებებს გამოსახავენ წერტილის სახით კომპლექსურ სიბრტყეზე, რომლის მდებარეობა დამოკიდებულია დეფექტის ხასიათზე. იმ მეთოდებისაგან განსხვავებით, სადაც ლუნგად ტალღებს იყენებენ, ამ მეთოდის გამოყენებისას, გარდამქმნელის კონტაქტი ნაკეთობასთან ხორციელდება საკონტაქტო საცხის საშუალებით.

კონტაქტური იმპედანსის მეთოდი, გამოიყენება სიმტკიცის კონტროლისათვის და დამყარებულია საკონტროლო ობიექტთან მუდმივი ძალით მიჭრილი ლეროვანი გარდამქმნელის ალმასის ინდენტორის კონტაქტის ზონის მექანიკური იმპედანსის შეფასებაზე. სიმტკიცის შემცირება ზრდის საკონტაქტო ზონის ფართობს, იწვევს მისი დრეკადი მექანიკური იმპედანსის ზრდას, რაც აღინიშნება გრძივად მერხევი გარდამქმნელის საკუთარი სისტირის ზრდით, რაც ცალსახადაა დაკავშირებული გასაზომ სიმტკიცესთან.

სიმტკიცის საზომების მუშა სისტირებია 25 – 80 kHz, სიმტკიცის გაზომვის დიაპაზონი 20—68 HRC,(50—990 HV). ულტრაბგერითი სიმტკიცის საზომები პორტატიული ხელსაწყოებია (1,5 – 3 kg), რაც საშუალებას იძლევა გაიზომოს სიმტკიცე ძნელად მისადგომ ადგილებში (კბილანის კბილები).

3.2. დიაგნოსტიკის პასიური აკუსტიკური მეთოდები

დიაგნოსტიკის პასიური კონტროლის მეთოდი დაფუძნებულია საკონტროლო ობიექტში აღძრული ტალღების დრეკადი რხევების ანალიზზე.

პასიური მეთოდებიდან ყველაზე დამახასიათებელია აკუსტიკური - ემისიური მეთოდი (სურ.3.8.ბ). აკუსტიკური - ემისიური მოვლენის არსი დრეკადი ტალღების თვით საკონტროლო მასალის გამოსხივების შედეგია სტრუქტურის მიერ შინაგანი ლოკალური დინამიკური გადაწყობის გამო. ისეთი მოვლენები, როგორიცაა ბზარის წარმოქმნა და განვითარება გარეგანი დატვირთვის ზემოქმედებით, ალოტროპიული გარდაქმნა გაცხელებისას ან გაცივებისას, დისლოკაციური გროვების მოძრაობა, - აკუსტიკური ემისიის ყველაზე დამახასიათებელი წყაროებია. ნაკეთობასთან კონტაქტში პიეზოგარდამქმნელები იღებენ დრეკად ტალღებს, რითაც საშუალებას გვაძლევენ დავადგინოთ მათი (დეფექტის) წარმოშობის ადგილი და წყარო.

ვიბრაციულ-დიაგნოსტიკური და ბგერით-დიადნოსტიკური მეთოდებიც დიაგნოსტიკის პასიურ აკუსტიკურ მეთოდებს განეკუთვნება. პირველ შემთხვევაში აანალიზებენ რომელიმე ცალკეული დეტალის ან კვანძის (როტორი, საკისრების, ტურბინის ფრთების) ვიბრაციულ პარამეტრებს კონტაქტური ტიპის მიმღებების საშუალებით, მეორე შემთხვევაში სწავლობენ ხმაურის სპექტრს მექანიზმის მუშაობისას, ჩვეულებრივ, მიკროფონული მიმღებების საშუალებით.

აკუსტიკური მეთოდები სისტირული ნიშნების მიხედვით იყოფა დაბალსიხშირულად და მაღალსიხშირულად. პირველ მათგანს მიაგუთვნებენ რხევებს ბგერით და დაბალსიხშირულ (რამდენიმე ათეულ kHz - მდე) სისტირის ულტრაბგერით დიაპაზონში. მეორეს - მაღალსიხშირულ ულტრაბგერით სისტირულ დიაპაზონში: ჩვეულებრივ რამდენიმე ასეული kHz - დან 20 MHz -მდე. მაღალსიხშირულ მეთოდებს, ჩვეულებრივ, ულტრაბგერით მეთოდებს უწოდებენ.

3.3. აკუსტიკური მეთოდების გამოყენების სფეროები

განხილული აკუსტიკური კონტროლის მეთოდებიდან პრაქტიკული მიზნით ყველაზე ხშირად გამოიყენება **ექო-მეთოდი**, რომელსაც ობიექტების 90% ემორჩილება. სხვადასხვა ტიპის ტალღების გამოყენებით დეფექტოსკოპის სხვადასხვა ამოცანის გადაჭრაა შესაძლებელი მათ შორის: ნაჭერობის, სხმულების, შედუღების შეერთების და სხვა მეტალური და არამეტალური მასალებისათვის. ექო - მეთოდი ასევე გამოიყენება ნაკეთობის ზომებისდასადგენად, ამისათვის ზომავენ ფსკერული სიგნალის მოსვლის დროს, ულტრაბეგერის გავრცელების ცნობილი სიჩქარის პირობებში (მოცემული მასალისათვის) და გამოიანგარიშებენ ნაბერობის (მასალის) სისქეს მასთან ცალმხრივად მიღების შესაძლებლობისას. შესაძლებელია ასევე მასალის უცნობი სისქის შესაფასებლად განისაზღვროს ულტრაბეგერის მიღების დრო და მისი საშუალებით განისაზღვროს მასალის ფიზიკურ-მქანიკური თვისებები.

სარკულ-ჩრდილოვანი მეთოდი გამოიყენება ექო-მეთოდის ნაცვლად ან დამატებით იმ დეფექტების აღმოსაჩენად, რომლებიც არეკვლის სუსტ სიგნალს იძლევიან გაყოფილ - შეთავსებული გარდამქმნელის მიმართულებით.

ექო-სარკისებული მეთოდი ასევე გამოიყენება შესასვლელი მიმართულების მართობულად ორიენტირებული დეფექტების აღმოსაჩენად. ამ მეთოდის "ტანდემის" ვარიანტი გამოიყენება ვერტიკალური ბზარების და შედუღებელი ადგილების აღმოსაჩენად შედუღების შეერთების კონტროლისას. ზოგიერთი სახეობის შედუღების დეფექტებს, მაგალითად, ელექტრონულ-სხივური შედუღების დეფექტებს გააჩნიათ გლუვი არეკვლის ზედაპირი, რომელიც ძალიან მცირედ გააბნევს ულტრაბეგერით ტალღებს, მაგრამ ასეთი დეფექტი ექო-სარკისებული მეთოდით კარგად გამოვლინდება. მომრგვალებული ფორმის დეფექტები (წილოვანი ჩანართები, ჰაერის ბუშტუკები) იძლევიან ძლიერ გაბნევის სიგნალს და კარგად რეგისტრირდება შეთავსებული გარდამქმნელებით.

დელტა და დიფრაქციულ-დროითი მეთოდები ასევე გამოიყენება დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შედუღებული შეერთების დეფექტების კონტროლისათვის.

კარგი ხარისხის კონტაქტის მისაღებად მიმღებ პირდაპირ გარდამქმნელსა და შედუღების შეერთების ზედაპირს შორის გამადლიერებლის თავაკს ასუფთავებენ. ამ მეთოდის გამოყენებით საკმაოდ ზუსტად განისაზღვრავენ შედუღების შეერთების დეფექტის მდებარეობას, რაც მნიშვნელოვანია მისი ავტომატური რეგისტრირებისათვის.

ექო-ჩრდილოვანი მეთოდი ასევე გამოიყენება შედუღების შეერთების კონტროლისათვის. მაგალითად, შედუღების შეერთების ავტომატური კონტროლისათვის დეფექტის მაძიებლებს განალაგებენ შეერთების ნაწილურის ორივე მხარეს და გამოიყენებენ როგორც არეალილ, ისე გამავალ სიგნალს. ეს უკანასკნელი გამოიყენება აკუსტიკური კონტაქტის კონტროლისა და ძალიან სუსტი გამომავალი ექო - სიგნალების მქონე განისაკუთებული ორიენტაციის მქონე დეფექტების აღმოსაჩენად.

ჩრდილოვანი ექო-გამჭოლი მეთოდს იყენებენ ნაკეთობასთან ორმხრივი მისაღგომის არსებობისას, მარტივი ფორმის ნაკეთობის ავტომატური კონტროლისათვის, მაგალითად, იმერსიულ აბაზანაში ფურცლების კონტროლისას. ამ მეთოდის დეფექტებისადმი მგრძნობიარობა 10 -100 -ჯერ ნაკლებია, ვიდრე ექო მეთოდებისა, რაც ხელშეშლების დიდი გავლენითაა გამოწვეული. ექო-გამჭოლი მეთოდის გამოყენება ამ ნაკლს მნიშვნელოვნად ამცირებს.

ჩრდილოვანი მეთოდებს იყენებენ აგეთვე სტრუქტურული რევერბაციების ე.ი. ხმაურის მაღალი დონის შემთხვევაში, რომელიც არაერთგაროვანი ზედაპირიდან ულტრაბეგერის არეკვლის არაეთგაროვნებით, დეფექტის მსხვილმარცვლოვანი სტუქტურის და ნაკეთობის მრავალშრიანი კონსტრუქციების ფენოვანი პლასტიკების არსებობითაა გამოწვეული. თხელი ნაკეთობების კონტროლისას სტრუქტურული ხმაურის ძალიან მაღალი დონით ჩრდილოვანი და დროითი მეთოდები უზუნველყოფენ უფრო მაღალ მგრძნობიარობას. ეს მეთოდები საშუალებას გვაძლევენ გამოვლინოთ მსხვილი დეფექტები მასაღებში, სადაც სხვა აკუსტიკური მეთოდებით კონტროლი აირნელებული ან შეუძლებელია ასეთებია: მსხვილმარცვლოვანი აუსტენიტური ფოლადი, რუხი თუჯი, ბეტონი, ცეცხლგამძლე აგური.

ჩრდილოვანი მეთოდს იყენებენ ექო-მეთოდის სანაცვლოდ მასაღების ფიზიკურ-მქანიკური თვისებების გამოკვლევისას აკუსტიკური ტალღების დიდი მიღევადობისა

და გაბნევის შემთხვევაში, მაგალითად, ბეტონის სიმტკიცის განსაზღვრისას ულტრაბგერის სიჩქარის მიხედვით. ამ მიზნისათვის გამოიყენება არა მხოლოდ ჩრდილოვანი მეთოდი, არამედ (უფო ზოგადი სახით) გავლის მეთოდიც. მაგალითად, გამომსხივებელსა და მიმღებს მოათავსებენ ნაკეთობის ერთ მხარეს, ერთ ზედაპირზე ზომავენ მთავარი ტალღის გამჭვილი სიგნალის დროსა და ამპლიტუდას.

იძულებითი რხევების ლოკალურ მთოდს იყენებენ საკონტროლო ობიექტთან ცალმხრივი მიდგომის შესაძლებლობისას მცირე სისქეების გასაზომად. დღეს დღეობით, საკონტროლოდ გამოიყენება ხელის იმპულსური სისქმზომები. თხელკედლიანი მიღის კედლის სისქის გასაზომად აგტომატურ რეჟიმში საუკეთსო შედეგებს იძლევა იმერსიული რეზონანსული სისქმზომი.

იძულებითი რხევების ინტეგრალურ მეთოდს იყენებენ ნაკეთობის მასალისაგან ამოჭრილი მარტივი ფორმის ნიმუშების დრეკადობის მოდულის გასაზომად გრძივი, ღუნვის და ბრუნვის რეზონანსული სისშირეების მიხედვით, ე.ი. რდგვევითი გამოცდების ჩატარებისას.

თავისუფალი რხევების ინტეგრალური მეთოდი გამოიყენება ვაგონის ბორბლების სალტეების ან მინის ჭურჭლის შემოწმებისას „ხმის სისუფთავის“ მიხედვით სმენით სუბიექტური შეფასებით.


რევერბერაციულ, იმპედანსურ, ველო-სიმეტრულ, აკუსტიკურ-ტოპოგრაფიულ მეთოდებს და თავისუფალი რხევების ლოკალურ მეთოდებს ძირითადად იყენებენ მრავალშრიანი კონსტრუქციების კონტროლისას. აკუსტიკურ-ტოპოგრაფიულ მეთოდს იყენებენ უპირატესად ლითონის მრავალშრიან კონსტრუქციებში (ფიჭური პანელები, ბიმეტალური კონსტრუქციები და სხვ.) დაფაქტის აღმოსაჩენად.

ვიბრაციულ-დიაგნოსტიკურ და ბგერით-დიაგნოსტიკური მეთოდები ემსახურება მექანიზმებში მუშაობის დროს დაფაქტის აღმოჩენას. აკუსტიკური ემისიის მეთოდს იყენებენ, როგორც სადიაგნოსტიკო საშუალებას მასალების, კონსტრუქციების, ნაკეთობების კონტროლის (მაგალითად ჰიდროგამოცდების ჩატარებისას) და ექსპლუატაციის დროს. მეთოდის მნიშვნელოვანი უპირატესობა კონტროლის სხვა მეთოდებთან შედარებით არის მისი რეაგირების უნარი მხოლოდ განვითარებად, ნამდვილად საშიშ დეფექტებზე, ასევე შესაძლებლობა იმისა, რომ დიდი მონაკვეთები ან მთლიანად ნაკეთობა შეამოწმოს გარდამქმნელით სკანირების გარეშე.

4. გამა-დეფექტოსკოპია

გამა-დეფექტოსკოპია რადიაციული კონტროლის განხორციელების საშუალებაა, რომელსაც იყენებენ მაღალი სამედოობის, ტექნიკური, ეკონომიკური და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი პროექტების ცალკეული კვანძებისა და ელემენტების კონტროლისა და დიაგნოსტირებისას.

რადიაციული კონტროლის ზოგად სქემაში (სურ.12.) გამოიყენება, როგორც მინიმუმ, სამი ელემენტი: რადიაციის წყარო, საკონტროლო ობიექტი და დეტექტორი.



სურ.12. დასხივების ზოგადი სქემა:

1 - რადიაციის წყარო; 2 - საკონტროლო ობიექტი; 3 - დეტექტორი

ნაკეთობაში გავლისას მაიონიზებელი გამოსხივება სუსტდება, შთაინთქმება და გაიძნევა. შესუსტების ხარისხი დამოკიდებულია საკონტროლო ობიექტის (2) სისქეზე, სიმკვრივეზე (ρ) და საკონტროლო ობიექტის მასალის ატომურ ნომერზე (z), ასევე გამოსხივების ინტენსივობაზე (M) და გამოსხივების ენერგიაზე (E). ნივთიერებაში $\Delta\rho$ ზომის შინაგანი დეფექტების არსებობისას იცვლება გამოსხივების სხივთა კონის ინტენსივობა და ენერგია.

რადიაციული კონტროლის მეთოდი დეფექტოსკოპიური ინფორმაციის დეტექტირების ხერხების მიხედვით არსებობს რადიოგრაფიული, რადიოსკოპიური და რადიომეტრიული.

ნაკეთობების დასხივება ხდება სხვადასხვა სახის მაიონიზებელი გამოსხივებით, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია მაღალი სიმკვრივის ნივთიერებების მათ შორის 1-დან 70 mm-მდე სისქის ფოლადის ნაკეთობის გაშუქება.

2.4. რადიოგრაფიული მეთოდები

რადიოგრაფიული მეთოდები არის არარდვენადი რადიაციული კონტროლის მეთოდები, რომელებიც დაფუძნებულია საკონტროლო ობიექტის რადიაციული გამოსახულების გარდაქმნაზე რადიოგრაფულ სურათად, ან ამ გამოსახულების ჩაწერაზე დამახსოვრებელი მოწყობილობის გამოყენებით, შემდგომ მისი ხილულ გამოსახულებად გარდაქმნის შესაძლებლობით. ეს მეთოდი პრაქტიკაში ყველაზე უფრო გავრცელებულია მისი სიმარტივისა და მიღებული შედეგების დოკუმენტურად დადასტურების შესაძლებლობის გამო. გამოყენებული დეტექტორების მიხედვით განასხვავებენ ფოტორადიოგრაფიას და ქსერორადიოგრაფიას (ელექტრორადიოგრაფია). პირველ შემთხვევაში დაფარული გამოსახულების დეტექტორის როლს ასრულებს ფოტომეტრისარენტორის ფირი შემთხვევაში – ნახევარგამტარული ფირფიტა, ხოლო რეგისტრაციისათვის იყენებენ ჩვეულებრივ ქაღალდს.

გამოყენებულ გამოსხივებისაზე დამოკიდებულებით არსებობს რამდენიმე სახეობის სამრეწველო რადიოგრაფია: რეტგენოგრაფია, გამაგრაფია, ამაჩქარებლური

და ნეიტრონული რადიოგრაფია. თითოეულ ჩამოთვლილ მეთოდს გააჩნია თავისი გამოყენების სფერო.

რადიაციული ინგროსკოპია არის რადიაციული არარღვევადი კონტროლის მეთოდი, რომელიც დამყარებულია საკონტროლო ობიექტის რადიაციული გამოსახულების გარდაქმნაზე სინათლის გამოსახულებად რადიაციულ - ოპტიკური გარდამქმნელის გამოსახვლელ ეკრანზე, ამასთან მიღებული გამოსახულების ანალიზი ხორციელდება კონტროლის პროცესში.

ამ მეთოდის მგრძნობიარობა რამდენადმე მცირეა, ვიდრე რადიოგრაფიისა, მაგრამ მისი უპირატესობაა მიღებული შედეგების მაღალი სანდოობა, რაც დაუმატის სტერეოსკოპიული ხედვისა და ნაკეთობის სხვადასხვა კუთხით დათვალიერების შესაძლებლობით, ასევე მეთოდის ექსპრესს შესაძლებლობითა და კონტროლის უწყვეტობით არის განპირობებული.

რადიომეტრული დაფექტოსკოპია არის მაიონიზებელი გამოსხივების საშუალებით საკონტროლო ნაკეთობის შინაგანი მდგრმარეობის შესახებ ინფორმაციის ელექტრული სიგნალების სახით (სხვადასხვა სიდიდის, სანგრძლივობის ან რაოდენობის) მიღების მეთოდი.

რადიომეტრიული დაფექტოსკოპიის მეთოდი უზრუნველყოფს კონტროლისა და ნაკეთობის დამზადების ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციისა და ავტომატური უპუკავშირის განხორცილების საუკეთესო შესაძლებლობას. მეთოდის უპირატესობაა ის, რომ მისი გამოყენებისას შესაძლებელია უწყვეტ რაჟიმში განახორციელდეს ნაკეთობის ხარისხის მაღალმწარმოებლური კონტროლი, რაც გამოყენებული აპარატურის სწრაფქმედებითა განპირობებული. მგრძნობიარობის მიხედვით ეს მეთოდი ჩამორჩება რადიოგრაფიულ მეთოდს.

4.2 კონტროლის მეთოდიკა და ტექნიკა

ვიზუალური კონტროლისათვის ნაკეთობის დეტალები და კვანძები დასასხივებლად მიეწოდება ზეთის, წილის და სხვა ჭუჭყისაგან გასუფთავების შემდეგ. საკონტროლო ნაკეთობის კვანძებისათვის მუშავდება კონტროლის ტექნოლოგიური რუკები, რომლებიც განსაზღვრავენ მაიონიზებელი გამოსხივების გამოყენებით კონტროლის ტექნიკასა და წესს.

ახალი ობიექტების დასხივების წინ სრულდება შემდეგი ოპერაციები:

- კონსტრუქციის განალიზებით განისაზღვრება დასხივების მონაცემები და სქემა;
- ირჩევენ დასხივების წყაროს, რენტგენოგრაფიული ფირის ტიპს, გამაძლიერებელ ეკრანს;
- ირჩევენ დასხივების რეჟიმს (რენტგენული მილაკის ძაბვა და დენის ძალა, რადიოაქტივური წყაროს ტიპი, ამაჩქარბლის ტიპსა და დასხივების ენერგიას, ფოკუსურ მანძილს, დასხივების დროს);
- ტარდება დონისძიება ადამიანების დასაცავად მაიონიზებელი დასხივებისაგან, ასევე ელექტრო და სახანძრო უსაფრთხოების სხვა ღონისძიებები.
- იტენება კასეტები;
- აყენებენ მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებებს, დასხივების წყაროებს და საკონტროლო ობიექტებს დასხივების მდგრმარეობაში, ასევე კასეტებს, მარკირების ეკრანებს, მგრძნობიარობის ეტალონებს და კომპუნისატორებს.
- ხორციელდება კასეტის დაცვა გაბრევის გამოსხივებისაგან;
- ჩასართავად ამზადებენ რენტგენის აპარატებს, ბეტატრონებს, გამა - დაფექტოსკოპებს.

დასხივებით კონტროლს დაქვემდებარებული ნაკეთობის დეტალებსა და კვანძებზე ფერადი ფანქრებით ან ცარცით მონიშნავენ სურათის ზომის ცალკეულ უბნებს, რომლებსაც უკეთებენ მარკირებას პირობითი ნიშნებით. მარკირების ნიშნებს (ციფრები, ასოები, ისრები) ამზადებენ შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტაციის მიხედვით. ამჟამად საქართვლოში მოქმდებს ГОСТ 1843-70). მეორეული

კონტროლისას სადიაგნოსტიკო უბანზე სურათის მარკირებას უმატებენ ასო "R" (Repeat - გამეორება).

დასხივბის ჩატარებისას აუცილებელია ფირის კასეტის დაცვა გარეშე გაბნევის გამოსხივებისა და მეორეული დასხივებისაგან, ამისათვის კასეტის უკანა მხარეს მოთავსებულია (1-3) მმ სისქის ფურცლოვანი ტყვიის ფირფიტა. ან შესაბამისი სისქის ექვივალენტური მასალის ფირფიტა. დატენილი კასეტა ტყვიის ფირფიტასთან ერთად საკონტროლო ობიექტზე მაგრდება სპეციალური სამარჯვების საშუალებით, რაც უზრუნველყოფს კასეტის მჭიდრო კონტაქტს დასასხივებელ უბანთან. სტაციონარულ პირობებში ბრტყელი დეტალების დასხივებისას კასეტას შედებილი ტყვიის ფირფიტის სპეციალურ მაგიდაზე ან ისეთ ტყვიის ფირფიტაზე ათავსებენ, რომლის ზომებიც დასასხივებელი ველის ზომებზე მეტია. დასხივებისას კასეტებს მჭიდროდ აკრავენ საკონტროლო ობიექტის დასასხივებელ უბანს, ამასთან მთელი დასხივების პერიოდის განმავლობაში ობიექტიც და კასეტაც დაცული უნდა იყოს ნჯღრევისა და ვიბრაციისაგან.

რადიოგრაფიული კონტროლი აუცილებელია ტარდებოდეს ძირითადი და მოსამზადებელი ოპერაციების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებების ოპტიმალური გამოყენებით, რენტგენული ფირფიტის ფოტო დამუშავების, ასევე ძირითადი აღჭურვილობის საექსპლუატაციო მასასიათებლების ასამაღლებელი სამარჯვებისა და მოწყობილობების გამოყენებით.

რადიოგრაფიული კონტროლის ოპერაციების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ჩასატარებელი მოწყობილობების შექმნა და არჩევა, კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე - საკონტროლო ობიექტის კონსტრუქციის, მათი დანერგვის ტექნიკურ - ეკონომიკური ეფექტურობისა და საკონტროლო ოპერაციების შრომის ნაყოფიერების აირდისა და თვითდიორებულების შემცირების, წარმოების კულტურისა და პირობების გაუმჯობესების, საწარმოო ფართის რაციონალური გამოყენების პირობების გათვალისწინებით უნდა ჩატარდეს.

პრაქტიკულ საქმიანობაში რადიოგრაფები მუდმივად დგანან კონკრეტული ნაკეთობის კონტროლის ახალი ამოცანების წინაშე, როდესაც დასხივების გამოყენება ჩვეულებრივი ფორმით ამოცანას ვერ გადაჭრის. მაგალითად, რადიოგრაფიული სურათით მთლიანად მირჩილული შეერთება ზოგჯერ ძნელი გასარჩევია მთლიანად არამთლიანად მირჩილულისაგან. ამ შემთხვევაში უურადღება უნდა მიექცეს ფენების (შრეები) განლაგებას, მათი არსებობა სურათზე შეიძლება მირჩილული უბის არსებობის ნიშანი იყოს.

ალუმინის შენადნობის შედუღებული ნაწილურის ხარისხის რადიოგრაფიული კონტროლის დროს სურათებზე ხანდახან შეიმჩნევა ზოლები შედუღების ნაწილურის გასწვრივ, რომელიც ე.წ. "ცრუ დევექტის" სახელითაა ცნობილი. მათი გამოჩენის ძირითადი მიზეზი - რენტგენის გამოსხივების დიფრაქცია ლითონს ნაწილურის მარცვლოვან სტრუქტურაზე.

ცნობილია, რომ სიბრტყითი ფორმის დეფექტი დეფექტის მართობული მდგომარეობიდან დასხივებისას ძნელად გამოვლინდებან. ეს ეხება წერტილოვანი შედუღებით შეერთებულ უბის, წებოვან, წებოშედუღებით და წებომექანიკურ შეერთებების შემთხვევაში წებოს არ არსებობას. ასეთ შემთხვევებში შესაერთებელ ზედაპირებს შორის (ან წებოში) შეყავთ გამოსხივების კარგად შთამნთქმელი კონტრასტული მასალა (მაგალითად ლითონური პუდრა), რომლის გადანაწილება თვალსაჩინოდ გამოვლინდება რადიოგრაფიული სურათების მიხედვით.


დეფექტების განლაგების სიღრმე შეიძლება განისაზღვროს, სტერეოსკოპიის პრინციპების გამოყენებით. ამ მიზნით გამოსხივების წყაროს ერთმანეთისაგან დაძრული ორი მდგომარეობისას იღებენ სურათებს ან ერთ სურათს ერთ ფირფიტაზე ორჯერადი დასხივებით სხვადასხვა მდგომარეობაში. ნაკეთობის ზედაპირზე განლაგებენ ტყვიის ნიშულებს. დეფექტის განლაგების სიღრმეს განსაზღვრავენ გამოთვლის საშუალებით ან სურათების სტერეოსკოპული წყვილის სპეციალური სტერეოსკოპიული ლინზების სისტემით დათვალიერებისას.

არარღვევითი კონტროლის სპეციალისტები უნდა მუშაობდნენ ნაკეთობის კონსტრუქტორებთან, მასალათმცოდნებთან და ტექნოლოგებთან კონტაქტში. აუცილებლად ითვლება მეტალოგრაფიული ანალიზისას მიღებული შედეგების

გამოყენებული ხერხების სამედოობის შემოწმება, დამზადების ტექნოლოგიაში შეტანილი ცვლილებების შეფასება ნაკეთობის სიმტკიცის თვისებაზე. თვისებების ცვლილებას შეიძლება აღილი პქონდეს, შეერთებაში კონტრასტული მასალების შეტანის გამო. რადიოგრაფიული კონტროლის სამედოობა იზრდება არარდვევადი კონტროლის მეთოდების სპეციალისტების მოწვევით, ახლად შექმნილი კონსტრუქციების დეფექტოსკოპიური ტექნოლოგიურობის ანალიზისათვის, პროექტირების ადრეულ ეტაპებზე.


4.3. დასხივების სქემები

ნაკეთობის კონტროლისა და დიაგნოსტიკათვის მისი გეომეტრიული ზომების, შემაღენელი მასალის, კონსტრუქციის, საკონტროლო პარამეტრის სახეობისა და მისი ადგილმდებარეობის გათვალისწინებით გამოიყენებენ დასხივების სხვადასხვა სქემას.




სურ.13. საკონტროლო ობიექტის შედევების ნაწილურის დასხივების სქემა:
ა. შესაერთებელი გვერდების ირიბი ჩაჭრის გარეშე; ბ. შესაერთებელი გვერდების X-ის მაგვარი ჩაჭრით;

1. დასხივების წყარო; 2. საკონტროლო ობიექტი; 3. ფირი.




ა)




ბ)

სურ.14. T-სებრი შეერთების ნაწილურის კონტროლი კუთხის არასრული შედევებისას: ა) სწორი; ბ) არასწორი;
1. დასხივების წყარო; 2. საკონტროლო ობიექტი; 3. ფირი




სურ.15. T-სებრი შეერთების ნაწილურის კონტროლი კუთხის სრული შედევებისას:
1. დასხივების წყარო; 2. საკონტროლო ობიექტი; 3. ფირი




სურ.16. რგოლური შეპირაპირების და შედუღებული შეერთების ერთი გეფლიდან დასხივების სქემა:


1. ენერგიის წყარო; 2. მუშა სხივთა კონის ღერძი.საკონტროლო ობიექტის, რადიაციული გამოსახულების დიდი დისტორსის გამომწვევი, სხივთა კონის აპერტურა; 4. გამოსხივების მუშა სხივთა კონის აპარატურა; 5. საკონტროლო ობიექტი; 6. ტყვიისეკრანიიანი ფირი, უკუგაბნევის გამოსხივებისაგან დასაცავად; 7. კონტროლის ექსპოზიციის უბნები (არანაკლებ 6)



სურ.17. რგოლური შეპირაპირების, შედუღებული შეერთების, დასხივების სქემა, გარე დიამეტრით 32...64 მმ, ორი კედლის გავლით: 1. გამოსხივების წყარო; 2. საკონტროლო ობიექტი; 3. ფირი; 4. მგრძნობიარობის ეტალონური ფირფიტა, რომლის სისქეა კედლის გაორმაგებული სისქის 2%. 5. მგრძნობიარობის ეტალონური ფირფიტა, რომლის სისქეა კედლის ერთმაგი სისქის 2%. 6. კონტროლის ექსპოზიციის უბნები (არანაკლებ 6).



სურ.18. დიდი დიამეტრის მილების დასხივების სქემა
1. დასხივების წყარო; 2. საკონტროლო ობიექტი; 3. ფირი



სურ.19. ერთნაირი (მსგავსი) საკონტროლო ობიექტების დასხივების სქემა
1. დასხივების წყარო; 2. საკონტროლო ობიექტი; 3. ფირი

4. რადიოგრაფიული სურათების გაშიფვრა

გაშიფვრის პროცესის სირთულე შეიძლება შეფასდეს არა პროცესზე ზემოქმედების ფაქტორების ჩამონათვალით, არამედ მათი მახასიათებლების მიხედვით, რომლებიც წარმოშობის წყაროს მიხედვით შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას შემდეგი სახით:

- საკონტროლო ობიექტი: ფორმა, სისქე, მასალა, ორიენტაცია, ყველაზე აღბათური დაფაქტების ტიპები;
- კონტროლის საშუალება: გამოსხივების წყარო, რეგისტრაციის საშუალებები და მათი დამუშავების მეთოდები;
- სურათები: ფონის განათებულობა, დაბრკოლებების და ცრუ განგაშის სიმკვრივე;

• ოპერატორის: თვალის სიმახვილე, გაწაფულობა, მოქმედების მოტივაცია, დაღლილობა, წინასწარი ინსტრუქტაჟის მიღება, ასაკი, ინტელექტი, ინდივიდუალური შესაძლებლობები, სამუშაო დარგირთვა, ძიების მეთოდი;

• სხვადასხვა ფაქტორი: სათავსის განათებულობა, ხმაური და ვიბრაცია გაშიფვრისას.

უნდა აღინიშნოს, რომ ოპერატორი აღმოჩენს დეფექტებს ალბათური სახით. რადიოგრაფიული სურათების გაშიფვრის შედეგების გაბნევა ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობიდან შეადგენს 30%. ნათელია, რომ სწავლების საუკეთესო პირობების და გამოცდილების შემთხვევაშიც კი ფირებზე გამოსახულების გამშიფვრელები 90 – 95%-იან თანხმობას იშვიათად თუ მიაღწევენ. ამიტომ ყველა შემთხვევაში, როდესაც მზა პროდუქციის უსაფრთხოების ფაქტორის ხარისხი მნიშვნელოვანია, მინიმუმ ორმა კვალიფიცირებულმა ოპერატორმა უნდა შეაფასოს საკონტროლო ობიექტის ხარისხი და რადიოგრაფიული სურათების მიხედვით მოამზადოს დასკვნა.

საკონტროლო რადიოგრაფიული სურათები ფასეული სახელმძღვანელო სწავლებისა და გაშიფვრისათვის. ამას გარდა, რეკომენდებულია რადიოგრაფიული სურათების და საკონტროლო ობიექტის დეფექტის უბნების-მიკრომიხევების საკუთარი ბიბლიოთეკის შექმნაც.

მახვილი მხედველობა გაშიფვრის სამეტაპიანი პროცესის (აღმოჩნდა, ამოცნობა, შეფასება) პირველი ეტაპის, მნიშვნელოვანი პარამეტრია. ადამიანის მხედველობის სიმახვილე შეიძლება შეიცვალოს ყოველდღიურად ფიზიოლოგიურ ფაქტორებზე დამოკიდებულებით, რაც მნიშვნელოვანი სტიმულაციონი უნდა იყოს მხედველობის სიმახვილის ყოველდღიური შემოწმებისათვის. მაგალითად წრფივი დეფექტების გამოსახულებით მკვეთრი და ბუნდოვანი საზღვრების მონაცემებით. გაშიფვრის პროცესისათვის მნიშვნელოვანია სურათების დათვალიერების პირობებიც.

ნებატოსკოპები რეგულირებადი განათებულობითა და განათების ველის ზომებით იყოფა ოთხ ჯგუფად:

• სურათის ლოკალური დათვალიერებისათვის განკუთვნილი (განათებული ველის დიამეტრი 7 – 10 cm);

- დიდი ფართობის დასათვალიერებლელი (35x45 cm);
- ლენტისებრი რენტგენის ფირის დასათვალიერებელი;
- კომბინირებული (დიდი ფართობის ლოკალური დათვალიერებისათვის).

გამოსახულება რენტგენულ ფირზე შეიძლება ეფექტურად შეფასდეს გამადიდებელი მოწყობილობების საშუალებით: ლუპით (დანაყოფის ფასით 18მ. და ნაკლები), შტატივზე დამაგრებული გამადიდებელი ობიექტივით და სხვა.

რადიოგრაფიული ფირის დათვალიერების პირველ ეტაპზე ხდება რადიოგრაფიული გამოსახულების ხარისხის შეფასება, რაც შემდგენ ფაქტორების განსაზღვრას გულისხმობს:


• არის თუ არა სურათის ემულსიურ შრეზე ლაქები, ზოლები, გაჭუჭყიანებული და დაზიანებული უბნები;

• არის თუ არა სურათზე შემზღვედველი ნიშნების, მარკირებისა და მგრძნობიარობის ეტალონის გამოსახულებები;

- დასაშვებ ნორმებშია თუ არა ოპტიკური სიშავის სიმკვრივე.

რადიაციული კონტროლის მგრძნობიარობა. სურათების ხარისხის შესაფასებლად იყენებენ მგრძნობიარობის ეტალონს, რომელიც ნორმატიული დოკუმენტებით მოცემული ზომის, ფორმის, შედგენილობისა და გამოყენების წესით დადგენილი საგამოცდო - ნიმუშებია (ტესტ-ნიმუშები). ქიმიური შედგენლობისა და სიმკვრივის მიხედვით ეტალონები იდენტური უნდა იყოს საკონტროლო ობიექტის. მე-20 სურათზე გამოსახულია მგრძნობიარობის ეტალონები.

მგრძნობიარობის ეტალონები კონსტრუქციული შესრულების, ფორმის, ზომისა და დანიშნულების მიხედვით შეიძლება იყოს: საფეხუროვანი, საფეხუროვან - ხვრელური, მავრულიანი და ფირფიტული.



შურ.20. რადიაციული კონტროლის ეტალონები

1. საფეხუროვანი; 2. საფეხუროვან - ხვრელური; 3. მავთულიანი; 4. ფირფიტული

მგრძნობიარობის საფეხუროვან ეტალონებს არ გააჩნიათ სტანდარტული კონსტრუქცია, მაგრამ ტიპური შეიძლება ეწოდოს კონსტრუქციას, რომელსაც გააჩნია კვადრატული ფორმის ხუთი საფეხური ზომით: მაგალითად $10 \times 10\text{მმ}$. თითოეული საფეხურების სისქე 0,2; 0,5; 1,0; და 1,25 მმ.

მგრძნობიარობის დარებიანი ეტალონი წარმოადგენს ფირფიტას, რომელსაც აქვს დადგენილი ფორმისა და ზომის დარები.

მავთულიანი ეტალონი - არის მავთულის დადგენილი ზომის სწორი ნაჭრების ნაკრები, რომლებიც სტანდარტიზირებულია საქართველოში მოქმედი სტანდარტის გოც 7512-82 მიხედვით, დიდბრიტანეთში BS3971.1980, გერმანიაში DIN 54109, სკანდინავიის ქვეყნებში UCO ISO/R-1027, 1969 და შედევების საერთაშორისო ინსტიტუტის მიხედვით - IIS/IW - 62-60. ეტალონებს შორის კონსტრუქციული უმნიშვნელო სხვაობებია.

საფეხუროვან-ხვრელური ეტალონი შეიცავს ფირფიტების ნაკრებს, რომელთაგან თითოეულს აქვს ზედაპირისადმი მართი კუთხით გამჭოლი ერთი ან ორი ნახვრები. ნახვრების დიამეტრი ფირფიტის სისქის ტოლია.

რადიაციული კონტროლის მგრძნობიარობის ფირფიტული ეტალონი წარმოადგენს განსაზღვრული ზომისა და ფორმის ცილინდრულ ხვრელებიან ფირფიტას, რომელიც საქართველოში სტანდარტიზებულია გოც 7512-82 და მასალების გამოცდის ამერიკული საზოგადოების (ASTM) სტანდარტით E 142.

მრავალი საერთასორისო მათ შორის აშშ-ის ნორმები ისეა ფორმულირებული, რომ ფირფიტის სისქე შეადგენს საკონტროლო ობიექტის სისქის 2%-ს, რათა რადიოგრაფიულ სურათზე ჩანდეს ხვრელი, რომლის დიამეტრი ორჯერ მეტია ფირფიტის სიგანეზე (2T). ეტალონს სტანდარტით E 142 გარდა 2T დიამეტრიანი ხვრელისა, გააჩნია ასევე ხვრელები დიამეტრით 1T და 4T.

რადიაციული კონტროლის აბსოლიტური მგრძნობიარობა, რომლის მიხედვითაც დარული ეტალონის მიერ სურათზე გამოვლენილი დარის უმცირესი სიღრმე, მავთულის ეტალონის მიერ სურათზე გამოვლენილი მავთულის უმცირესი დიმეტრი, ფირფიტული ეტალონის უმცირესი სისქე, რომლის დროსაც სურათზე გამოვლინდება ხვრელი ეტალონის გაორმაგებული სისქის დიამეტრით, უნდა შეესაბამებოდეს საკონტროლო ობიექტის ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნებს.

საკონტროლო ობიექტზე ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნები შეიძლება მოცემული იყოს აგრეთვე კონტროლის ფარდობითი მგრძნობიარობის სახით K (%)

$$K = 100 \delta/x,$$

სადაც - კონტროლიის აბსოლუტური მგრძნობიარობაა; ხ- საკონტროლო ობიექტის რადიაციული სისქე.

ჩვეულებრივ, მგრძნობიარობის ეტალონებს აყენებენ საკონტროლო ობიექტის მხარეს და მიმართავენ გამოსხივების წყაროსაკენ. როგორც ცნობილია, საკონტროლო ობიექტის შინაგანი სტრუქტურის სურათის ფორმირებისას ყველაზე მეტად დეგრადირდება სტრუქტურები, რომლებიც გამოსხივების წყაროსთან ახლოსაა განლაგებული, ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად შემოტანილია შემდეგი მოთხოვნა. თუ საკონტროლო ობიექტს არაერთგვაროვანი სისქე გააჩნია, მაშინ ეტალონებს აყენებენ უფრო მნიშვნელოვან უბნებზე ან საკონტროლო ობიექტზე განათავსებენ რამოდენიმე ეტალონს. საკონტროლო ობიექტზე, შედევლების გაძლიერებული ნაწილურით, მავთულისა და ფირფიტული ეტალონები შეიძლება განვალაგოთ ისეთი სისქის დამატებით ფირფიტებზე, რომ გაძლიერების რადიაციული სისქე ტოლი იყოს დამატებითი ფირფიტისა და საკონტროლო ობიექტის ეპივალენტური რადიაციული სისქისა, ეტალონის განლაგების ადგილას.

უნდა აღინიშნოს, რომ ეტალონების მგრძნობიარობის კონტროლსა და გამოვლენილი რეალური დეფექტების მგრძნობიარობას შორის არ არის მარტივი დამოკიდებულება. მაგრამ მგრძნობიარობის ეტალონების გამოყენება საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ ზოგიერთი ტიპის დეფექტების გამოვლენის შესაძლებლობა. ასე მაგალითად, აირით სავსე ფორას, რომლის მოცულობა ფირფიტული ეტალონის 2T დიამეტრის ხერელის მოცულობის ტოლია 1,8-ჯერ მეტი მოცულობა აქვს ვიდრე ეტალონის სისქეა, ამიტომ ამ ეტალონის მგრძნობიარობის 2% შეესაბამება ფორიანობის 3,6%. სხმულებში გაციებისას წარმოშობილი შეკლების (ჩაჯდომის) ნიუარები წარმოადგენს თითქმის ცილინდრული კვეთის სიცარიელეს. შესაბამისად მგრძნობიარობა მავთულიანი ეტალონების მიხედვით შეესაბამება შეკლების ნიუარების მგრძნობიარობას.

4.5. საკონტროლო ობიექტის ხარისხის შეფასება სურათის მიხედვით

დამკვირვებელი ოპერატორის გამოცდილებას, მხედველობის სიმახვილეს და სურათის მიღების პროცესის ცოდნას ამ ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ადამიანის თვალი უპყო აღიქვამს გამოსახულების მოძრავ ელემენტებს, ამიტომ სურათის მცირე გადაადგილება დამკვირვებელს ეხმარება გაარჩიოს გამოსახულების მცირე დეტალები. ფირის მხედველობის არესთან კუთხით განლაგება ან ხედვის კუთხის ცვლა გამოსახულების კონტრასტულობას ზრდის და საშუალებას იძლევა წარმოჩნდეს გამოსახულების მიკრომარცვლოვანი ელემენტები. განათებულობის ველის კუთხური ზომების შემცირება და გამადიდებული ხელსაწყოების გამოყენება ხელს უწყობს საკონტროლო ობიექტის ხარისხის შეფასების ობიექტურობის ზრდას. სხვა მხრივ, განათებული ველის დიდი კუთხური ზომები საშუალებას იძლევა გაიზარდოს კვანძებისა და მექანიზმების დიაგნოსტირების სიზუსტე.

სურათის გამოსახულების ელემენტების ჩაშავების სიმკვრივის დონე არსებით გავლენას ახდენს საკონტროლო ობიექტის ხარისხის შეფასებაზე. ჩაშავების სიმკვრივის დონეს ზომავენ დენსიტომეტრით, რომლიც საშუალებას იძლევა შევაფასოთ გამოსახულების ოპტიკური სიმკვრივე ზომით 1 – 3 მმ, ხოლო მიკროდენსიტომეტრისა და მიკროფოტომეტრების საშუალებით 3 mkm-დე.

დენსიტომეტრი – ოპტიკური სიმკვრივის საზომი ხელსაწყოა. ის წარმოადგენს ინფორმაციული კავშირის მქონე სინათლის მგრძნობიარე გარდამქმნელისა და ციფრული ბლოკის ერთიანობას. საკმაოდ მნიშვნელოვანი ჩაშავების სიმკვრივის მქონე რენტგენის სურათის მოთავსებისას სინათლის წყაროსა და სინათლის მგრძნობიარე გარდამქმნელს შორის ამ უკანასკნელზე იმოქმედებს სინათლის სხივების გარკვეული რაოდენობა რომელიც ციფრული ბლოკით აღიქმება და გამონათდება ინდიკატორზე ოპტიკური სიმკვრივის შესაბამისი (მაღალი)

მნიშვნელობა, რომელიც დამოკიდებულია გამოსაკვლევი რენტგენის სურათის გამჭვირვალობაზე.

ხელსაწყოს კალიბრება. ოპტიკური სიმკვრივის საზომი ხელსაწყოს კალიბრება ხორციელდება ბრტყელი ფოტომასალის ოპტიკური სიმკვრივის, ეტალონური მნიშვნელობების ნაკრების საშუალებით. დენსიტომეტრის სწორი ექსპლუატაციის პირობებში შესაძლებელია გაზომვის ჩატარება $0,02$ კლასის სიზუსტით. დენსიტომეტრებისა და სიმკვრივის ოპტიკური ნაკრების დამოწმება ხორციელდება წელიწადში ერთხელ მაინც.

რენტგენის სურათის სპეციალიზებული დენსიტომეტრული კვლევისას (არასიმკვეთრის, გამომსხივებლის ფოტუსური მანძილის გაზომვა) იყენებენ სკანირების მიკროდენსიტომეტრს. სკანირების ტრაექტორიაზე გაზომვით მათ შეუძლიათ სურათის მოცემული უბნის ავტომატური სკანირება და ჩაშავების სიმკვრივის შესაბამისი გრაფიკული გამოსახულების შექმნა.

არტფაქტები (ლათ. artefactum – ხელოვნურად შექმნილი) არის ცრუ, საკონტროლო ობიექტთან ინფორმაციული კავშირის არმქონე, რადიოგრაფიულ სურათებზე აღმოჩენილი ელემენტები ზოლების, ჩრდილების, ხაზების და სხვათა სახით. მათი წარმოშობა შესაძლებელია სარეგისტრაციო საშუალებების ფირების, ეკრანების, არასწორი დამზადების, შენახვის, მოპყრობის და დამუშავების შედეგი იყოს. მრავალი ტიპის არტეფაქტები შეიძლება რეალურ დეფექტში აგვერიოს, ამიტომ მნიშვნელოვანია ოპერატორს შეეძლოს ამ ცრუ ელემენტების იდენტიფიცირება და კონტროლის შედეგების დოკუმენტირებისას მათი არსებობის აღნიშვნა.

5. კაპილარული დეფექტოსკოპია. ძირითადი ცნობები

კონტროლის კაპილარული მეთოდები დამყარებულია ინდიკატორული სითხის (პენტრანტების) კაპილარულ შეღწევაზე საკონტროლო ობიექტის მასალის ზედაპირულ და გამჭოლ არამთლიანობაში, ინდიკატორული კვალის ვიზუალური და გარდამქმნელით რეგისტრაციისათვის.

კაპილარული კონტროლი განკუთვნილია საკონტროლო ობიექტის ზედაპირული და გამჭოლი, შეუიარაღებელი თვალისათვის შეუმჩნეველი ან ოდნავ შესამჩნევი დფექტების კონტროლის, მათი ადგილმდებარეობის განსაზღვრის, გავრცელების (ბზარის ტიპის დეფექტი) და ზედაპირზე მათი ორიენტაციის აღმოჩენისათვის. ამ სახის კონტროლი საშუალებას იძლევა მოვახდინოთ, ნებისმიერი ზომისა და ფორმის, ფერადი და შავი ლითონისა და შენადნობებისაგან, პლასტმასის, შუშის, კერამიკის, ასევე სხვა მყარი არაფერომაგნიტური მასალებისაგან დამზადებული ნაკეთობების, დიაგნოსტიკა.

კაპილარულ მეთოდებს იყენებენ ფერომაგნიტური მასალის ნაკეთობების სადიაგნოსტიკოთ, თუ მათი მაგნიტური თვისებები, ფორმა დეფექტების სახე და ადგილმდებარეობა არ იძლევა საშუალებას მიღწეულ იქნას შესაბამისი მგრძნობიარობა მაგნიტური ფხვნილის მეთოდის გამოყენებით ან ამ მეთოდის გამოყენება დაუშვებელია ობიექტის ექსპლუატაციის პირობებიდან გამომდინარე.

კაპილარს, რომელიც ობიექტის ზედაპირზე მხოლოდ ერთი მხრიდან გამოდის ზედაპირული არამთლიანობა, ეწოდება ხოლო რომელიც ზედაპირის მოპირდაპირე გვერდებს აერთებს გამჭოლი. თუ ზედაპირული და გამჭოლი არამთლიანობები დეფექტებია მაშინ დასაშვებია ტერმინების „ზედაპირული დეფექტისა“ და „გამჭოლი დეფექტის“ გამოყენება.

საკონტროლო ობიექტის არამთლიანობის ადგილას პანეტრატით შექმნილ მსგავსი ფორმის გამოსახულებას ინდიკატორული სურათი (კვალი) ეწოდება. ბზარის ტიპის ურთეულოვანი არამთლიანობისათვის დასაშვებია ტერმინი „ინდიკატორული კვალის“ გამოყენება.

არამთლიანობის სიღრმე –საკონტროლო ობიექტის ზედაპირიდან სიღრმისკენ მიმართული არამთლიანობის ზომაა. არამთლიანობის სიგრძე–საკონტროლო ობიექტის ზედაპირზე არამთლიანობის გრძივი ზომაა. არამთლიანობის ლიობი - საკონტროლო ობიექტის ზედაპირზე გამომავალი არამთლიანობის განივი ზომაა.

ღრუ კაპილარული კონტროლისას, მასალის მთლიანობის დარღვევის გამოვლინების აუცილებელ პირობად, რომელთაც გააჩნიათ გამოსასვლელი ზედაპირზე მნიშვნელოვნად მეტი გავრცელების სიღრმე ვიდრე ლიობის სიგანე, უცხო ნივთიერებებით მათი დანაგვიანების შესაძლებლობის შედარებითი სიმცირეა.

არამთლიანობებისათვის განასხვავებენ სიგრძის, სიღრმის და ლიობის სამ კატეგორიას – მაქსიმალურს, მინიმალურს და საშუალოს. თუ არ არსებობს აუცილებლობა წინასწარ განისაზღვროს, რომელ ზომაზეა საუბარი, მაშინ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად იყენებენ ტერმინს „ფპრატესი ზომა“. ფორების მომრგვალებული ფორმის მქონე არამთლიანობებისათვის ობიექტის ზედაპირზე ლიობი არამთლიანობის დიამეტრის ტოლია.

არარღვევადი კაპილარული კონტროლის ყველა მეთოდი საკონტროლო ობიექტთან შემდგევი პენტრანტების ურთიერთმოქმედების ხასიათის მიხედვით განიხილება როგორც მოღეკულური.

კაპილარული მეთოდები იყოფა ძირითად და კომბინირებულ მეთოდებად.

კონტროლის ძირითადი კაპილარული მეთოდები შემდგევი ნივთიერებაზე დამოკიდებულების მიხედვით არსებობს შემდეგი სახის:

1. შემდგევი ხსნარის მეთოდი არის კაპილარული არარღვევადი კონტროლის შითხითი მეთოდი, სადაც შემდგევ ნივთიერებად ინდიკატორული სითხე გამოიყენება.

2. ფილტვრადი სუსპენზიის მეთოდი არის კაპილარული არარღვევადი შითხითი კონტროლის მეთოდი, სადაც შემდგევი ნივთიერება ინდიკატორული სუსპენზია, რომელიც ინდიკატორულ სურათს ქმნის გაფილტრული ნაწილაკების დისპერსიული ფაზისაგან.

კაპილარული მეთოდები გამოვლინების მეთოდების მიხედვით იყოფა შემდეგ სახეობებად:

- ლუმინესცენციური, დამყარებულია კონტროლის ობიექტის ფონზე გრძელტალღვანი ულტრაიისფერი გამოსხივების ზონაში ლუმინესცენცირებული ხილული ინდიკატორული სურათის კონტრასტის რეგისტრაციაზე;
- ფერადი, დამყარებულია ფერადი კონტრასტის რეგისტრაციაზე ინდიკატორული სურათის ხილულ გამოსხივებაში საკონტროლო ობიექტის ფონზე;
- ლუმინესცენტრული - ფერადი, დამყარებულია ფერადი კონტრასტული ან ლუმინესცენციური ინდიკატორული სურათის გამოსხივების ხილულ ან გრძელტალღვანი ულტრაიისფერი გამოსხივების, საკონტროლო ობიექტის ზედაპირის ფონზე, რეგისტრაციაზე;
- სიკაშკაშის, დამყარებულია, საკონტროლო ობიექტის ფონზე ხილული გამოსხივების აქრომატული (არაქრომატული) კონტრასტის რეგისტრაციაზე.

კაპილარული კონტროლის კომბინირებული მეთოდები აერთიანებენ კონტროლის სხვადასხვა ფიზიკური არსის ორ ან მეტ მეთოდს, რომელთაგან ერთი აუცილებლად სითხითი მეთოდია, ეს მეთოდები ფიზიკური ველის (გამოსხივების) ხასიათის და საკონტროლო ობიექტზე მათი ზემოქმედების თავისებურებების მიხედვით არსებობს ხუთი სახის.

კაპილარულ-ელექტროსტატიკური მეთოდები დამყარებულია არაელექტროგამტარი საკონტროლო ობიექტის ზედაპირზე ან გამჭოლი არამთლიანობის ზონებში, იოგენური პენეტრანტით შევსებული, დამუხტებული ელექტრული ნაწილაკების თავმოყრის ინდიკატორული სურათის აღმოჩენაზე.

კაპილარულ-ელექტროინდუქციური მეთოდი დამყარებულია არაელექტროგამტარი საკონტროლო ობიექტის ზედაპირზე ან გამჭოლი არამთლიანობის ზონებში ელექტროგამტარი ინდიკატორული პენეტრანტის აღმოჩენაზე ელექტროინდუქციური მეთოდით.

კაპილარულ-მაგნიტურფენილური მეთოდი დამყარებულია დამაგნიტური ტექნიკის კონტროლისას პენეტრანტით ან მაგნიტური ფენილით შექმნილი კომპლექსური ინდიკატორული სურათის აღმოჩენაზე.

სითხითი კაპილარულ-რადიაციული მეთოდი დამყარებულია მაიონიზებელი პენეტრანტის გამოსხივების რეგისტრაციაზე არაელექტროგამტარი საკონტროლო ობიექტის ზედაპირზე ან გამჭოლი არამთლიანობის ზონებში.

კაპილარულ - რადიაციული შთანთქმის მეთოდი – მაიონიზებელი გამოსხივების შთანთქმაზე საკონტროლო ობიექტის ზედაპირზე ან გამჭოლი არამთლიანობის ზონებში.

5.1. დეფექტოსკოპიური მასალები

დეფექტოსკოპიურ მასალებს იყენებენ კაპილარული კონტროლისას საკონტროლო ობიექტის ზედაპირის არამთლიანობის შესახებ პირველადი მონაცემების მიღების მიზნით გავდენთის, ნეიტრალიზაციის ან ზედაპირიდან ზედმეტი შემდწევი ნივთიერების გამოვლინის და მისი ნარჩენის აღმოსაჩენად.

დეფექტოსკოპიურ მასალებს ირჩევენ საკონტროლო ობიექტისადმი წაყენებული მოთხოვნების, მისი მდგომარეობისა და კონტროლის პირობების მიხედვით. მასალების დაკომპლექტებენ მიზნობრივი ნაკრებებად, თითოეულში შედის ნაწილობრივ ან მთლიანად ურთიერთგანპირობებული დეფექტოსკოპიური მასალები, რომელთა ჩამონათვალი მოცემულია ქვემოთ.

დეფექტოსკოპიური მასალების ნაკრები შედგება ურთიერთდამოკიდებული მიზნობრივად შეთანხმებული დეფექტოსკოპიური მასალებისაგან, ესენია ინდიკატორული პენეტრანტი, გასამჟღავნებელი, გამასუფთავებელი და ჩამქრობი.

ინდიკატორული პენეტრანტი არის კაპილარული დეფექტოსკოპიური მასალა, რომელსაც გააჩნია ობიექტის არამთლიანობაში შედწევისა და მისი ინდიცირების უნარი.

პენეტრაციისაგან გამასუფთავებელი M არის კაპილარული დეფექტოსკოპიური მასალა, ორგანულ გამსხველობა ან წყალთან ერთად საკონტროლო ობიექტის ზედაპირიდან ინდიკატორული პენეტრაციის დამოუკიდებლად მოსაცილებლად.

პენეტრაციის დამაცხოველი Γ არის კაპილარული დეფექტოსკოპიური მასალა, საკონტროლო ობიექტის ზედაპირიდან შესაბამისი ინდიკატორული პენეტრაციის ლუმინესცენტური ფერის ნარჩენების მოსაცილებლად.

პენეტრაციის სამუდავნი II არის კაპილარული სამუდავნი დეფექტოსკოპიური მასალა, რომელიც გამოიყენება საკონტროლო ობიექტის ზედაპირის არამთლიანობის კაპილარული დრენოდან ინდიკატორული პენეტრაციის ამოსაღებად მკვეთრი ინდიკატორული სურათის და მისთვის კონტრასტული ფონის შექმნის მიზნით.

ქვემოთ მოცემულია კაპილარული დეფექტოსკოპის მეთოდების გამოყენებით, ზედაპირული დეფექტების გამოვლენის სპეციალიზებული შემაღებელობების დანიშნულებების ჯგუფური აღნიშვნები: (აღნიშვნები მოცემულია <http://lnktd-opz.narod.ru/vd.htmlhttp://lnktd-opz.narod.ru/pribor.html> მიხედვით).

• И1—ფერადი პენეტრაციი, რომელსაც აქვს დამახასიათებელი ფერის ტონი სილული სინათლით დაკვირვებისას;

• И2—გრძელტალღოვანი ულტრაიისფერი გამოსხივების გავლენით სინათლის გამოსხივების ლუმინესცენციური პენეტრაციი.

• И3—ლუმინესცენციური - ფერადი პენეტრაციი, რომელსაც აქვს დამახასიათებელი ფერადი ტონი სილულ გამოსხივებაზე დაკვირვებისას და ლუმინესცენციური ნათება გრძელტალღოვანი ულტრაიისფერი გამოსხივებისას.

• И4—ქიმიურად აქტიური პინეტრაციი, რომლის დანიშნულებაა არამთლიანობის შესახებ ინფორმაციის მოწოდება სპეციფიკური ინდიკატორული ცვლადი ფერების, ლუმინესცენციორების ან რეაქციის პროდუქტის შექმნის შესაძლებლობის გარემოს შექმნა შესაბამის სამუდავნებთან ურთიერთმოქმედებისას.

• И5—აქრომატული პენეტრაციი, რომლიც სილული გამოსხივების ზემოქმედებისას იძლევა შავ ან რუხი ფერის ჩვენებას.

• И6—სხვა პენეტრაციები;

• М1—ორგანული საწმენდელი;

• М2—წყლიანი საწმენდელი;

• М3— სხვა საწმენდელები;

• Г – პენეტრაციის დამაცხოველი;

• П1—სორბციული (შთამთქმელი) ფხვნილოვანი სამუდავნი, რომელიც წარმოადგენს მშრალ, უპირატესად თეთრი ფერის წვრილდისაერთიულ სორბენტს (შთამთქმელს), პენეტრაციის შთანთქმის შესაძლებლობით;

• П2 –სორბციული სუსპენზიური სამუდავნი რომელიც წარმოადგენს თეთრი ფერის აქროლად გამსხველში, წყალში ან ადგილადშრობად ნარევებში დისპერგირებულ სორბენტს, პენეტრაციის შთანთქმის შესაძლებლობით;

• П3 – შესაღები დიფუზიური სამუდავნი (ლაქი), რომლიც შედგება პიგმენტიანი ან უფერო სწრაფადშრობადი შითხითი გამსხველებისაგან.

• П4 – პენეტრაციის შთამთქმელი, დიფუზიური სამუდავნი ფირი, რომელიც წარმოადგენს თხელ სამუდავნებელ წებვადი ფენით დაფარულ თეთრი ფერის ან უფერო საღებ ფირს.

• П5—სხვა სამუდავნები.

ინდიკატორულ პენეტრაციონულ ურთიერთ მოქმედების ხასიათის მიხედვით საწმენდელები და დამაცხოველები გარე ზემოქმედებისას იყოფიან გამსხველებად, თვითებულებირებადებად და ემულგირებადებად. ინდიკატორულ პენეტრაციებს განასხვავებენ ფიზიკური მდგომარეობისა და სინათლის ფერთა ნიშნების მიხედვით.

ფიზიკური თვისებების მიხედვით პენეტრაციი შეიძლება იყოს: მაგნიტური, ელექტროგამტარული, მაიონიზებელი, კომბინირებული.

მაგნიტური პენეტრაციი სუსპენზია, რომლის მყარი ფაზის ნაწილაკებს ფერომაგნიტური თვისებები აქვთ, ხოლო შითხითი შემავსებელი წარმოადგენს ლუმინოფორის, საღებავის ან სხვა ინდიკატორის მოლეკულურ ან კოლოიდურ დისპერსიას,

ელექტროგამტარ პენიტრანტს აქვს ნორმირებული ელექტრული გამტარობა.

მაიონიზებული პენიტრანტი წარმოშობს მაიონიზებულ გამოსხივებას, ჩამხმობი პენიტრანტი კი შთანთქავს.

კომბინირებულ პენიტრანტს ახასიათებს ორი ან მეტი ინდიკატორული პენიტრატის თვისებები.

ტექნოლოგიური ნიშნების მიხედვით პენიტრანტები შეიძლება შემდგნაირად დაჯგუფდეს:

ორგანული ჩამოსარეცხვი პენიტრანტი საკონტროლო ობიექტის ზედაპირიდან ჩამოირეცხება უწყლო ანგიკოროზიული შედეგებიდობის გამსხველებით, ზეთებით და მათი შენარევებით. წყლით ჩამოსარეცხვი პენიტრანტი წყლით ან წყლის შემცველი შენაერთებით ჩამოირეცხება.

შემდგომ ემულგირებადი პენიტრატი წყალში ქმნის ემულსიას, რომელიც ასფუფთავებს საკონტროლო ობიექტის ზედაპირს, მისი წინასწარი ურთიერთქმედებისას პენიტრატის საწმენდელთან.

უზრუნველყოფის პენიტრანტის თავისებურება მისი ლუმინესცენციის ან ფერის გაქრობას სპეციალურად შერჩეული დამაცხრობელით.

სამჟღავნები იყოფა მდგომარეობისა და ინდიკატორულ პენიტრანტთან ურთიერთობისას ხასიათის მიხედვით.

ქიმიურად პასიური სამჟღავნი ინდიკატორული პენიტრანტის კოლორისტულ (ფერად) თვისებებს არ ცვლის, ხოლო აქტიური სამჟღავნის დანიშნულებაა ინდიკატორულ პენიტრატთან ქიმიური ურთიერთობის ფერის ცვლისა და ლუმინესცირების, ან რეაქციის პროცესების შექმნის შესაძლებლობის მქონე სპეციფიკური ინდიკატორული სურათით (კვალით) საკონტროლო ობიექტის ზედაპირის არამთლიანობის ინდუცირება.

მაგნიტური სამჟღავნი, ჩვეულებრივ, სორბციული ან დიფუზიური, შეიცავს ფერომაგნიტურ ფხვნილს, რომელიც გამოავლენს დამაგნიტებული საკონტროლო ობიექტის არამთლიანობებს ინდიკატორული პენიტრანტიდან მაგნიტური ფხვნილის ამოდებითა და მაგნიტურ ველში მისი დაფენით.

5.2. კაპილარული კონტროლის ჩატარების ორგანიზაცია

მირითადი ოპერაციები.

არარღვევადი კაპილარული კონტროლის მირითადი ოპერაციები იყოფა შემდეგ ეტაპებად:

- ობიექტის მომზადება კონტროლისათვის;
- საკონტროლო ობიექტის დამუშავება დეფექტოსკოპიური მასალით;
- დეფექტების გამოვლენა;
- დეფექტების აღმოჩენა და კონტროლის შედეგების გაშიფვრა;
- საკონტროლო ობიექტის საბოლოო გაწმენდა.

კონტროლის ოპერაციის რეჟიმებს (ხანგრძლივობა, ტემპერატურა, წნევა) ადგენენ გამოყენებული დეფექტოსკოპიური ნაკრების, კონტროლის ობიექტის თავისებურებების და საძიებელი დეფექტების ტიპების, ასევე გამოყენებული აპარატურის კონტროლის პირობების მიხედვით.

ობიექტის მომზადება კონტროლისათვის გულისხმობს საკონტროლო ზედაპირის გასუფთავებას წინა კონტროლიდან დარჩენილი ლაქ-საღებავის ფენის, სარეცხის სხნარების და დეფექტოსკოპიური მასალების მოცილებას, ასევე საკონტროლო ობიექტის შრობას.

საკონტროლო ობიექტის ზედაპირს წინასწარ ასუფთავებენ მექანიკური წესით; ქვიშის ჭავლის, საფანტის, კურკის ნამსხვრევის და სხვა გამწმენდი მასალების გამოყენებით ან ჭრით, მათ შორის ზედაპირის ხეხვით დამუშავებას, პოლირების და ჯაგრისით მოხეხვით.

საკონტროლო ობიექტის საბოლოო გაწმენდისათვის იყენებენ გასუფთავების შემდეგ ხერხებს:

- ორგანული გამხსნელის ორთქლით;

• საკონტროლო ობიექტზე მოქმედი გამხსნელის გაწმენდას წყლისა და ორგანული გამხსნელების მოსაცილებლად, მათ შორის ჭავლური რეცხვით, ჩაძირვით, გაუდენოვთვით;

• ნარჩენებისა და დაბინძურების მოცილება ქიმიური რეაგენტების წყალსნარების საშუალებით, საკონტროლო ობიექტის დაუზიანებლად;

• ელექტროქიმიური გაწმენდა ნარჩენებისა და დაბინძურების მოსაცილებლად ქიმიური რეაგენტების წყალსნარებითა და ელექტრული დენის ერთდროული მოქმედებით;

• ულტრაბეგრითი გაწმენდა ორგანული გამხსნელებით, წყლით ან ქიმიური ნაერთების წყალსნარებით ულტრაბეგრის ზემოქმედებისას ულტრაბეგრითი კაპილარული ეფექტით. ულტრაბეგრითი კაპილარული ეფექტი არის სითხის სიმაღლის დონისა და ნაწილაკების მოძრაობის სიჩქარის ანომალური ზრდა ულტრაბეგრის მოქმედების კაპილარულ სივრცეში;

• ანოდურ-ულტრაბეგრითი გაწმენდა ქიმიური რეაგენტების წყალსნარებით ულტრაბეგრისა და ელექტრული დენის ერთდროული მოქმედებისას;

• თბური გაწმენდა ტემპერატურაზე, რომელიც არ იწვევს საკონტროლო ობიექტის მასალის დაუშვებელ ცვლილებებს;

• სორბციული გაწმენდა სორბენტისა და ორგანული გამხსნელების ნარევის საშუალებით, გამშრალ და გაწმენდილ ზედაპირზე წასმით.

გაწმენდის აუცილებელ მეთოდებს, მათ შეთანხმებას საკონტროლო ობიექტის ზედაპირის სისუფთავის მოთხოვნებთან განსაზღვრავენ კონტროლის ტექნიკურ დოკუმენტაციაში. კონტროლის მგრძნობიარობის მაღალი კლასის შემთხვევაში უპირატესობა ეძლევა არა მექანიკურ, არამედ გასუფთავების ქიმიურ მეოდებს, მათ შორის ობიექტზე ულტრაბეგრით და ელექტრული დენის ეფექტით ზემოქმედებას. ამ მეთოდების ეფექტურობა განპირობებულია გამწმენდი საშუალებების შედგენილობის, გაწმენდის რეჟიმების, მათი ურთიერთშეთანხმებისა და თანმიმდევრობის განსაზღვრის (შრობის ჩათვლით), ოპტიმალური არჩევით. მიღსადენი სისტემის კედლებში, ბალონებში, აგრეგატებში და ანალოგიურ დრუ სივრციან შინაგანი წევის მქონე, აირით ან სითხით სავსე ობიექტებში გამჭოლი დეფექტების ძიებისას შინაგან სიცარიელეს წინასწარ ათავისუფლებენ შიგთავსისაგან, ხოლო წევის ატმოსფერულს უტოლებენ.

დეფექტოსკოპიური მასალით დამუშავების ეტაპი გულისხმობს დეფექტის ღრმულების ინდიკატორული პენეტრანტით დაფარვას, მისი ჭარბი რაოდენობის მოცილებას და გამამჯელავნებლით დაფარვას.

ინდიკატორული პენეტრანტით დაფარვისათვის გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

• კაპილარული - ინდიკატორული პენეტრანტით არამთლიანობის ღრუების შევსება, საკონტროლო ზედაპირის დასველებით, ჩაძირვით, ჭავლით, შეკუმშული პაერის, ან ინერტული აირის გაფრქვევით;

• ინდიკატორული პენეტრანტით არამთლიანობის ღრუების ვაკუუმური შევსება მათზე ატმოსფერულზე ნაკლები წევით ზემოქმედებისას;

• ინდიკატორული პენეტრანტით არამთლიანობის ღრუების კომპრესორული შევსება მათზე ატმოსფერულზე მეტი წევით ზემოქმედებისას;

• ინდიკატორული პენეტრანტით არამთლიანობის ღრუების ულტრაბეგრითი შევსება, ულტრაბეგრითი კაპილარული ეფექტის გამოყენებით;

• ინდიკატორული პენეტრანტით არამთლიანობის ღრუების დეფორმაციული შევსება საკონტროლო ობიექტზე დრეკადი, ბგერითი სიხშირის, ტალღების ზემოქმედებისას;

გამჭოლი არამთლიანობის გამოვლენისათვის დასაშვებია პენეტრანტით დაიფაროს საკონტროლო ზედაპირის მოპირდაპირ ზედაპირი.

საკონტროლო ობიექტისა და ინდიკატორული პენეტრანტის ტემპერატურა, ასევე დეფექტების დაფარვის ხანგრძლივობა მოცემულია დეფექტოსკოპიური მასალისა და კონტროლის ობიექტის ტექნიკურ დოკუმენტაციაში.

ჭარბი რაოდენობის ინდიკატორულ პენეტრანტს საკონტროლო ობიექტის ზედაპირიდან მოაცლიან ან დააცხოვებენ ერთი ერთი აქ მოყვანილი მეთოდით:

- აუცილებელ შემთხვევაში საწმენდი შედგენილობის ან გამხსნელის დახმარებით ხელსაწმენდით გასუფთავებით;
 - წყლის ნაკადით ჩამორეცხვით, სპეციალური სამწმენდი შედგენილობის ან მათი ნარევის საშუალებით; ჩაძირვით, ჭავლით ან გაფრქვევით;
 - ქვიშის, საფანტის, კურკის ნამსხვრევის, ნახერხის ან სხვა ფხვიერი აბრაზიული მასალის ჰაერით დაბერვის საშუალებით;
 - პენეტრანტზე ლუმინესცენციური ან ფერის დამაცხოვებლის ზემოქმედებით.
- ქვემოთ მოყვანილი მეთოდებით ახდენენ სამუდავნის საკონტროლო ზედაპირზე დატანას:
- ჰაერით, უპაეროდ ან ინერტული აირის ნაკადის მეთოდით სამუდავნის გაფრქვევა;
 - ელექტროსაფრქვეველით ელექტრულ ველში ჰაერის ნაკადით ან მექანიკურად;
 - ფხვნილის მსგავსი გამამუდარებლისაგან საჰაერო დრუბელის შექმნით კამერაში მოთავსებული საკონტროლო ობიექტისათვის;
 - საკონტროლო ობიექტის თხევად სამუდავნში ჩაძირვით;
 - შითხითი სამუდავნის დასხურებით;
 - სამუდავნის ელექტრული დაფენით მასში საკონტროლო ობიექტის ჩაძირვით ელექტრული დენის ერთდროული მოქმედებისას;
 - საკონტროლო ობიექტის ფხვნილის მსგავსი სამუდავნის მოფრქვევით, გაპუდვრით ან მოყრით;
 - მწებარე ზედაპირით საკონტროლო ობიექტზე მიკრული სამუდავნიანი ლენტური ფირის გახურებით.

თვითგამუდავნებადი, ფილტვრადი და სხვა მსგავსი ინდიკატორული პენეტრანტების გამოყენებისას საკონტროლო ობიექტის ზედაპირზე სამუდავნი არ დაიტანება.

დეფექტის კვალის გამუდავნება წარმოადგენს დეფექტის არსებობის ადგილებში ნახატის წარმოშობის პროცესს, რისთვისაც ინდიკატორული კვალის გამუდავნების ერთ - ერთ მეთოდს იყენებენ:

- საკონტროლო ობიექტის დაყოვნება ჰაერზე ინდიკატორული სურათის გამოჩენამდე;
- ობიექტის გაცხელების ტემპერატურისა და დაყოვნების დროის ნორმირება ნორმალური ატმოსფერული წნევის პირობებში;
- საკონტროლო ობიექტის ზედაპირზე ვაკუუმის ნორმირებული მნიშვნელობის შექმნა და დაყოვნება;
- ვიბრაციის საშუალებით ობიექტზე დრეკადდეფორმაციული ზემოქმედება, ციკლური ან განმეორებადი სტატიკური დატვირთვით.

დეფექტების აღმოჩენა ინდიკატორულ კვალზე დაკვირვებისა და რეგისტრაციის მეთოდების შერწყმით ან მათი დამოუკიდებელი გამოყენებით მიიღწევა.

ინდიკატორული კვალის აღმოჩენის მეთოდები:

- ვიზუალური აღმოჩენა, მათ შორის არამთლიანობის აღმომჩენი ოპერატორის ოპტიკური და ფოტოგრაფიული საშუალებების, ლუმინესცენციური, ფერადი, ლუმინესცენციურ - ფერადი და სიკაშაშის მეთოდების გამოყენებით;
- ფოტოელექტრული აღმოჩენა და გარდაქმნა ინდიკაციის სხვადასხვა ლუმინესცენციურ, ფერად, ლუმინესცენციურ - ფერად და სიკაშაშის მეთოდებით, ასევე რეგისტრაციის ორიბი საშუალებების გამოყენებით არამთლიანობის ხილულ ინდიკატორულ კვალში.
- სატელევიზიო აღმოჩენა, გარდაქმნა ანალოგურ ან დისკრეტულ ფორმად ინდიკაციის სხვადასხვა ლუმინესცენციურ, ფერად, ლუმინესცენციურ - ფერად და სიკაშაშის მეთოდებით, არამთლიანობის ხილული ინდიკატორული კვალის შესაბამისი წარმოდგენით ეკრანზე, დისპლეიზე ან მაგნიტურ ფირზე.
- ორიბი ხერხებით სიგნალის ინსტრუმენტული აღმოჩენა თვალისათვის უხილავი არამთლიანობის ინდიკატორული კვალის ან არამთლიანობის შიგა სივრციდან ინდიკატორული პენეტრანტის სიგნალით;

- საკონტროლო ობიექტების საბოლოო გაწმენდას ახორციელებენ სამუდაგნებლის ერთი ან რამდენიმე ტექნოლოგიური ოპერაციით, აუცილებლობის შემთხვევაში ასევე იქცევიან ინდიკატორული პენეტრაციის ნარჩენების მოსაცილებლად;
 - აუცილებლობის შემთხვევაში წყლით ან ორგანული გამსხველებით გაუდენთილი რბილი ხელსაწმენდების გამოყენებით.
 - საკონტროლო ობიექტიდან წყლით ან ორგანული გამსხველების აუცილებელი დანამატების და დამხმარე საშუალებების გამოყენებით მათ შორის ჯაგრისების, ფლანჯლის, სარეცხი ღრუბლების გამოყენებით გასუფთავება;
 - ობიექტის ულტრაბაგერითი დამუშავება წყლით ან ორგანული გამსხველებით აუცილებელი დანამატების გამოყენებით;
 - ობიექტის ანოდურ ელექტროქიმიური დამუშავება ქიმიური რეაგენტების ხსნარებით ელექტრული დენის ერთდროული ზემოქმედებისას;
 - სამუდავნით დაფარული ობიექტის ფხვიერი აბრაზიული მასალის მაგ. ქვიშით, ფხვიერი მასალის ნამსხვრევებიანი ჰაერის ან ჰიდროკავლის ნარევით გაწმენდა;
 - საკონტროლო ობიექტის გახურებით სამუდავნის გამოწვა;
 - საკონტროლო ზედაპირიდან სამუდავნიანი წებოვანი ფირის ლენტის აძრობა არამთლიანობის ინდიკატორული კვალის სურათით;
- ობიექტები, რომლებმაც გაიარეს კაპილარული კონტროლი ანტიკოროზიულ, დაცვას ექვემდებარებიან.

5.3. კონტროლის შედეგების მგრძნობიარობა და შეფასება.

კაპილარული არარღვევადი კონტროლის მგრძნობიარობა ეწოდება კაპილარული კონტროლის ხარისხს, რომელიც ხასიათდება კონტროლის საშუალებების ზღურბლური, კლასით და დიფერენციული მგრძნობიარობით ცალ-ცალკე ან მათი გონივრული შეთანხმებით.

კაპილარული არარღვევადი კონტროლის მგრძნობიარობის ზღურბლი არის განსაზღვრული სიგრძის ერთეულოვანი, მოცემული გეომეტრიული ან ოპტიკური პარამეტრების მქონე, ბზარის ტიპის კვალის არამთლიანობის გამოვლენა მოცემული ალბათობით. მგრძნობიარობის ზედა ზღვარს შეესაბამება გამოვლენის უმცირესი გაბნევა (განშლა), ხოლო ქვედას-უდიდესი.

ინდიკატორული სურათის გეომეტრიული პარამეტრი არის ინდიკატორული კვალის სიგაშაშის საშუალო მნიშვნელობის ფარდობა გამოვლენილი არამთლიანობის გაშლასთან.

ინდიკატორული სურათის ოპტიკური პარამეტრი არის ინდიკატორული კვალის სიკაშაშის ცალკეული მნიშვნელობის ფარდობა ფონის სიკაშაშის საშუალო მნიშვნელობასთან.

ზედაპირის ფონი არის დეფექტოსკოპიური მასალებით დამუშავებული საკონტროლო ობიექტის ზედაპირის უდევექტო ზონაა.

კაპილარული არარღვევადი კონტროლის საშუალების დიფერენციული მგრძნობიარობა – ინდიკატორული კვალის ოპტიკური ან გეომეტრიული პარამეტრის ცვლილების ფარდობაა მისი არამთლიანობის გამომწვევ სიგრძისა და სიღრმის ცვლილებასთან ერთეულოვანი ტიპის ბზარის გაშლასთან.

კაპილარული არარღვევადი კონტროლის მგრძნობიარობის კლასი – განსაზღვრული სიგრძის ერთეულოვანი ბზარის უპირატესი გაშლის მნიშვნელობის დიაპაზონია კვალის გეომეტრიული და ოპტიკური პარამეტრების გამოვლენის მოცემული ალბათობით.

კონტროლის მგრძნობიარობის კლასს განსაზღვრავენ გამოვლენილი დეფექტების მინიმალური ზომების მიხედვით. აუცილებლობის შემთხვევაში მიღწევად მგრძნობიარობას განსაზღვრავენ ნატურალურ ობიექტებზე ან ხელოვნურ ნიმუშებზე ბუნებრივი ან იმიტირებული დეფექტებით, რომლის ზომებსაც მეტალოგრაფიული ან ანალიზის სხვა მეთოდებით აზუსტებენ.

6. სპექტრული ანალიზი

თანამედროვე მეცნიერება და ტექნიკა წარმოუდგენელია ნივთიერებათა ქიმიური შედგენილობის ცოდნის გარეშე, რაც ადამიანის შემოქმედების ობიექტია. ბუნებაში არსებული მინერალები, სხვა ბუნებრივი ნივთიერებები თუ ხელოვნურად მიღებული ახალი ნივთიერებები თუ მასალები, უპირველესად ხასიათდება ქიმური შედგენილობის მიხედვით. სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში ტექნოლოგიური პროცესის სწორად წარმართვისათვის აუცილებელია საწყისი ნედლეულის, შუალედური და მზა პროდუქციის ზუსტი ქიმიური შედგენილობის ცოდნა.

ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარების ტემპები ახალ ახალ მოთხოვნებს უქნებს ნივთიერების ანალიზის მეთოდებს. ჯერ კოდვე სულ მცირე ხნის წინ შესაძლებელი იყო შევგუებოდით ნივთიერებაში მინარევების $10^{-2} - 10^{-3}$ % არსებობას. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ატომური მასალების გამოჩენამ და მისი წარმოების სწრაფმა ზრდამ, მათ შორის მტკიცე, ტემპერატურამედეგი და სხვა სპეციალური დანიშნულების ფოლადებისა და სხვა შენადნობების შექმნის აუცილებლობამ მოითხოვა ახალიზური მეთოდების სიზუსტის გაზრდა $10^{-4} \div 10^{-6}$ % - მდგ, რადგან დადგინდა, რომ მინარევების ასეთი მცირე კონცენტრაციით არსებობაც კი, არსებითად ცვლის მასალის თვისებებს და ზოგიერთი ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობას. ბოლო დროს განვითარებული ნახევარგამტარული მასალების წარმოებამ, მიკრო და ნანო ტექნოლოგიების საწარმო მასშტაბების განვითარების არნახულმა ტემპებმა მასალის სისუფთავეს და შესაბამისად ახალიზური მეთოდების მგრძნობიარობას კიდევ უფრო მაღალი მოთხოვნა წაუქნა, ახლა უკვე სისუფთავის სიზუსტის მოთხოვნა განისაზღვრება $10^{-7} - 10^{-9}$ % - ით. მართალია მასალის სისუფთავისადმი ასეთი ზემადალი მოთხოვნა ცალკეულ შემთხვევებშია სავალდებულო, მაგრამ ახალიზის სიზუსტისადმი მოთხოვნა აუცილებელი გახდა მეცნიერებისა და ტექნიკის თითქმის ყველა სფეროში.

ადსანიშნავია, რომ ტექნოლოგიური პროცესებისათვის პოლიმერული მასალების ნარევის დასაშვები კონცენტრაციის დონე საწყის ნივთიერებაში - მონომერებში საკმაოდ მაღალი იყო, ხშირად პროცენტის მეათედი და პროცენტის მთელი ნაწილიც. ბოლო დროს ჩატარებული კელუვებით დადგინდა, რომ მრავალი მზა პოლიმერის ხარისხი მკვეთრად იცვლება მათი სისუფთავის მიხედვით. ამიტომ დღესდღეობით საწყის გაუჯერებელ ნაერთებსა და ზოგიერთ მონომერს ამოწმებენ მინარევების არსებობაზე, რომლის შემცველობა $10^{-2} - 10^{-4}$ % - ს არ უნდა აჭარბებდეს. გეოლოგიაში სულ უფრო ხშირად იყენებენ საბადოს დაზვერვის ჰიდროქიმიურ მეთოდებს. მისი წარმატებით გამოყენებისათვის აუცილებელია განისაზღვროს ბუნებრივ წყალში ლითონს მარილების კონცენტრაცია $10^{-4} - 10^{-5}$ % (გრ/ლ)-ით და უფრო ნაკლებითაც.


ახალიზის სიზუსტის, მგრძნობიარობისა და მისი ჩატარების სისწრაფისადმი, ბოლო დროს, აირრდილი მოთხოვნები, რაც ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგითაა გამოწვეული, ანალიზური მეთოდებისაგან მოითხოვს მაღალ მწარმოებლურობას და ცალკეული ოპერაციებისა თუ მთელი ანალიზის პროცესის ჩატარების ავტომატიზაციის შესაძლებლობას. მეცნიერებისა და ტექნიკის დღვენდელი მოთხოვნის დონეს ქიმიური ანალიზის მეთოდები ყოველთვის ვერ პასუხობს. ამიტომ პრაქტიკაში სულ უფრო ხშირად იყენებენ ქიმიური შედგენილობის განსაზღვრის ფიზიკურ - ქიმიურ და ფიზიკურ მეთოდებს, რომელთაც გააჩნიათ მთელი რიგი დადგებითი მახასიათებლი. ამ მეთოდთა შორის ერთ - ერთი მთავარი ადგილი უჭირავს სპექტრულ ანალიზს.

სპექტრული ანალიზის მაღალი გარჩევადობის გამო შესაძლებელია ერთი და იმავე პრინციპული სქემით, ერთ და იმავე ხელსაწყოებით ჩატარაროთ სხვადასხვა ნივთიერების ანალიზი, ამასთან ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შევარჩიოთ ხელშემწყობი პირობები მაქსიმალური სიჩქარის, მგრძნობიარობისა და სიზუსტის მისაღებად. ამიტომ, სხვადასხვა ობიექტის ანალიზისათვის საჭირო ანალიზური, მეთოდების სიმრავლის მიუხედავად, ყველა დაფუძნებულია ერთი საერთო პრინციპული სქემის გამოყენებაზე.

სპექტრული ანალიზის ჩატარების სქემა. სპექტრული ანალიზის ჩატარებას საფუძვლად უდევს საანალიზო ნივთიერების მიერ გამოსხივებული ან შთანთქმული

სინათლის აგებულების შესწავლა, ამიტომ სპექტრული ანალიზის მეთოდები იყოფა ორ ემისიურ (ემისია - გამოშვება) და აბსორბციული (აბსორბცია - შთანთქმა) მეთოდებად.

თავდაპირველად განვიხილოთ ემისიური სპექტრული ანალიზის პრინციპული სქემა (ნახ 21.ა).



სურ.21. სპექტრული ანალიზის პრინციპული სქემა:

ა - ემისიური; ბ - აბსორბციული;

1 - სინათლის წყარო; 2 - გამანათებელი კონდენსორი (სინათლის გამაძლიერებელი); 3 - ლრმული საანალიზო ნიმუშისათვის; 4 - სპექტრული ანალიზის აპარატი; 5 - სპექტრის რეგისტრაცია; 6 - სპექტრული ხაზების ან ზოლების ტილდის სიგრძის განსაზღვრა; 7 - ნიმუშის ხარისხობრივი ანალიზი ცხრილებისა და ატლასების საშუალებით; 8 - ხაზების ან ზოლების ინტენსივობის განსაზღვრა; 9 - ნიმუშის რაოდენობრივი ანალიზი დასაგრადუირებელი გრაფიკის საშუალებით.

იმისათვის, რომ საკვლევი ნივთიერება ასხივებდეს სინათლეს, აუცილებელია მას გადავცეთ დამატებითი ენერგია. ამ შემთხვევაში მისი ატომები და მოლეკულები გადადიან აღგზნებულ მდგომარეობაში. საწყის მდგომარეობაში დაბრუნებისას ისინი გასცემენ ჭარბ ენერგიას სინათლის სახით. მყარი სეცულებისა და სითხეების სინათლის ხასიათი ნაკლებადაა დამოკიდებული ქიმიურ შედგენილობაზე, ამიტომ მათი გამოყენება ანალიზისათვის შეუძლებელია. განსხვავებული მახასიათებლები გააჩნია აირების გამოსხივებას, ისინი საანალიზო ნიმუშის შედგენილობითაა განპირობებული. ამიტომ ემისიური ანალიზასათვის ნივთიერების აღმკრის წინ საჭიროა მისი აორთქლება.


ემისიური სქემის გამოყენებისას აორთქლება და აღგზნება ხორციელდება სინათლის წყაროში, რომელშიც მოთავსებულია საანალიზო ნიმუში. სინათლის წყაროდ გამოიყენება მაღალტემპერატურული ალი ან აირებში სხვადასხვა სახის ელექტრული განმუხტვა: რკალური, ნაპერწკლური და სხვა. საჭირო პარამეტრების მქონე ელექტრული განმუხტვის მიღებას ემსახურება გენერატორი.

სინათლის წყაროში რამდენიმე ათასი და ათეულიათასი გრადუსი ტემპერატურა იწვევს ნიმუშის შემადგენელი უმეტესი ნივთიერებების მოლეკულების დაშლას ატომებად. ამიტომ ემისიური მეთოდები ძირითადად გამოიყენება ატომური ანალიზისათვის და მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში მოლეკულური ანალიზის ჩასატარებლად.

სინათლის წყაროს გამოსხივების სპექტრი ნიმუშის შედგენილობაში შემავალი უგელა ელემენტის ატომების გამოსხივების ჯამია. ანალიზის ჩასატარებლად აუცილებელია თითოეული ელემენტის გამოსხივება. ამის განხორციელება შესაძლებელია ოპტიკური ხელსაწყოს-სპექტრული აპარატის გამოყენებით, რომელშიც სხვადასხვა ტალღის სიგრძის სინათლის სხივები ერთმანეთისაგან გამოიყოფა. სინათლის ტალღის სიგრძის მიხედვით დალაგებულ გამოსხივებას, სინათლის სპექტრი ეწოდება.

სპექტრული აპარატები ისეა მოწყობილი, რომ ხელსაწყოში შემავალი თითოეული ტალღის სიგრძის სინათლის რხევა, ქმნის ერთ ხაზს. რამდენი განსხვავებული ტალღაც მონაწილეობდა სინათლის წყაროს გამოსხივებაში, იმდენი ხაზი მიიღება

სპექტრულ აპარატში. ყოველი ზოლი შექმნილია ახლოს განლაგებული ხაზების მიერ. (სურ.22.)




სურ.22. სპექტრის ტიპები

ა. ხაზოვანი; ბ. ზოლოვანი (ჩანს ზოლის შემადგენელი ცალკეული ხაზები); გ. მთლიანი

სპექტრულ აპარატში სპექტრად დაშლილი სინათლის სხივზე შესაძლებელია როგორც ვიზუალური დაკვირვება ისე მისი ფოტოგრაფირება და რეგისტრაცია. შესაბამისად დანიშნულების მიხედვით გამოყოფენ სპექტრულ აპარატებს სპექტროსკოპებს და სტილოსკოპებს – ვიზუალური დაკვირვებისათვის, სპექტროგრაფებს – სპექტრის ფოტოგრაფირებისათვის, მონოქრომატორებს – სპექტრიდან ერთი ტლის სიგრძის სინათლის სხივის მდგრენებლების გამოყოფისათვის შემდგომში მისი ელექტრონული წესით დაფიქსირების შესაძლებლობით.

ხარისხობრივი ანალიზის ჩატარებისას აუცილებელია განისაზღვროს საანალიზო ნიმუშის რომელ ელემენტს შეესაბამება სპექტრის ესა თუ ის ხაზი, რისთვისაც განსაზღვრავენ მის ტალღის სიგრძეს და სპეციალური ცხრილების საშუალებით აღგენენ საკვლევი ნიმუშის სახეს.

აბსორბციული სპექტრული ანალიზის ჩატარებისას ნივთიერების სპექტრი შედგება იმ სიგრძის ტალღებისგან, რომლის ინტენსივობა შემცირდა მასში სინათლის სხივის გავლისას გარკვეული სიგრძის სინათლის ტალღების შთანთქმის გამო.



სურ.23. შთანთქმის სპექტრის გამოსახულება:

ა- ფოტოგრაფიული; ბ - გრაფიკული.

I - სინათლის წყაროს შთანთქმის სპექტრი; II - იმავე გამოსხივების სპექტრი საანალიზო ნიმუშის გავლის შემდეგ.

შთანთქმის სპექტრი სპექტრული აპარატების–სპექტროფოტომეტრების საშუალებით მიიღება, მის შედგენილობაში შედის მთლიანი სინათლის წყარო, მონოქრომატორი და სარეგისტრაციო ხელსაწყო.

დანარჩენ შემთხვევაში აბსორბციული და ემისიური ანალიზის ჩატარების სქემები ერთმანეთს ემთხვევა.

ამგვარად, სპექტრული ანალიზი გამოსხივებისა და შთანთქმის სპექტრების მიხედვით შეიცავს შემდეგ ეტაპებს:

საანალიზო ნიმუშის სპექტრის მიღება;

სპექტრული ხაზების ან ზოლების ტალღის სიგრძის განსაზღვრა ხორციელდება მიღებული სპექტრის შედარებით ცხრილების ან ატლასის საშუალებით მოცემულ მონაცემებთან, რითაც ადგენენ რომელი ელემენტიან ნაერთია საანალიზო ნიმუში კ.ი. განსაზღვრავენ ნიმუშის ხარისხობრივ შედგენილობას.

შემდეგ ეტაზზე ცალკეული ელემენტებისა და ნაერთების სპექტრული ხაზების ან ზოლების ინტენსივობის გაზომვით, განისაზღვრება მათი კონცენტრაცია საანალიზო ნიმუშში ეტალონური ნიმუშების მიხედვით წინასწარ აგებული დასაგრადუირებელი გრაფიკების საშუალებით, კ.ი. განისაზღვრება ნიმუშის რაოდენობრივი შედგენილობა.

სპექტრული ანალიზის მთელი პროცესი შედგება, რამდენიმე ეტაპისაგან. ისინი შეიძლება შევისწავლოთ თანმიმდევრობით, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ხოლო შემდეგ განისაზღვროს მათ შორის ურთიერთკავშირი.

6.1. სპექტრული ანალიზის ძირითადი მახასიათებლები და მისი გამოყენების სფერო

სპექტრული ანალიზის საშუალებით, როგორც ვნახეთ, შესაძლებელია დადგინდეს ნივთიერების როგორც ატომური (ელემენტები), ასევე მოლეკულური შედგენილობა. სპექტრული ანალიზი საშუალებას იძლევა განისაზღვროს საანალიზო ნიმუშის ცალკეული კომპონენტების კონცენტრაციის თვისებრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები.

ქიმიური შედგენილობით ერთმანეთთან ახლოს მდგომი ნივთიერებები, რომლთა განსხვავება ძნელია ან საერთოდ შეუძლებელი ქიმიური ანალიზით, ადვილად შეიძლება განვასხვავოთ სპექტრული ანალიზით.

ამჟამად ატომური სპექტრული ანალიზის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები, რომლთაც ფართო პრაქტიკული გამოყენება აქვთ, მნიშვნელოვნად უკეთაა დამუშავებული, ვიდრე მოლეკულური. ატომური სპექტრული ანალიზი გამოიყენება სხვადასხვა განსხვავებული ობიექტების ანალიზისათვის. მისი გამოყენების სფერო ძალიან ფართოა: შავი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, გეოლოგია, ქიმია, ბიოლოგია, ასტროფიზიკა და მეცნიერებისა და ტექნიკის სხვა მრავალი დარგი.

ადსანიშნავია, რომ უკანასხელ პერიოდში მკვეთრად გაიზარდა მოლეკულური სპექტრული ანალიზის მოცულობა და პრაქტიკული გამოყენების სფერო, რაც უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია ამ მეთოდისათვის აუცილებელ სპექტრულ - ანალიზური აპარატურის გამოშვებასთან. მოლეკულურ - სპექტრული ანალიზის მეთოდის გამოყენების სფერო ძირითადად მოიცავს ორგანულ ნივთიერებებს, თუმცა მისი გამოყენება ასეთივე წარმატებით შეიძლება არაორგანული ნივთიერებების სპექტრული ანალიზის ჩასატარებლადაც ისეთ სფეროებში როგორიცაა ნავთობგადასამუშავებელი, ქიმიური და ქიმიურ -ფარმაცევტული წარმოებები.

სპექტრული ანალიზის მგრძნობიარობა, როგორც წესი, ძალიან მაღალია. სპექტრული მეთოდებით აღმოსაჩენი და გასაზომი ნივთიერების მინიმალური კონცენტრაცია, მერყეობს ფართო დიაპაზონში, იგი დამოკიდებულია საანალიზო ნიმუშის თვისებებსა და შედგენილობაზე. ანალიზის პირდაპირი მეთოდით, შედარებით ადვილად მიიღევა ლითონების უმეტესობისა და მრავალი სხვა ელემენტის 10^{-3} - 10^{-4} % მგრძნობიარობა, ხოლო ზოგიერთი ნივთიერებისათვის 10^{-5} - 10^{-6} %. მხოლოდ განსხვავულობით არახელსაყრელი პირობების არსებობისას მგრძნობიარობა შეიძლება შემცირდეს 10^{-1} - 10^{-2} %-მდე. ნიმუშის წინასწარ გასუფთავება მინარევებისაგან საშუალებას იძლევა მკვეთრად გაიზარდოს (ხშირად ათასჯერ) ანალიზის მგრძნობიარობა.

ატომური სპექტრული ანალიზის მაღალი მგრძნობიარობის გამო იგი ხშირად გამოიყენება სუფთა და განსაკუთრებით სუფთა ლითონების, გეოქიმიასა და ნიადაგმცოდნებაში სხვადასხვა ელემენტის მათ შორის იშვიათი ელემენტების, ატომური და ნახევარგამტარულ მასალების მიკროკონცენტრაციის განსაზღვრისათვის.

სხვადასხვა ნივთიერების მოლეკულური სპექტრული ანალიზის მგრძნობიარობა იცვლება კიდევ უფრო ფართო ზღვრებში. ხშირ შემთხვევაში საკმაოდ ძნელია ამოცნობა ნივთიერების რომელის შემცველობა საანალიზო ნიმუშში შეადგენს

პროცენტს ან პროცენტის მეათედ ნაწილებს, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევებში მოლეკულური სპექტრული ანალიზის მგრძნობიარობა 10^{-7} – 10^{-8} %-ს აღწევს.

ატომური სპექტრული ანალიზის სიზუსტე ძირითადად დამოკიდებულია საანალიზო ობიექტის შედგენილობისა და სტრუქტურაზე. სტრუქტურისა და შედგენილობის მიხედვით ახლოს მდგომი ნიმუშებისათვის შეიძლება ადვილად იქნეს მიღწეული ანალიზის მაღალი სიზუსტე. განსასაზღვრავ სიდიდესთან მიმართებაში ცდომილება არ გადააჭარბებს 1-3%-ს. ამიტომ ლითონებისა და შენადნობებისათვის სერიული სპექტრული ანალიზი საკმაოდ ზუსტია. მეტალურგიასა და მანქანომშენებლობაში სპექტრული ანალიზი გახდა ძირითადი ანალიზური მეთოდი.

მნიშვნელოვნად ნაკლებია იმ ნივთიერების ანალიზის სიზუსტე, რომლის შედგენილობა და სტრუქტურა მკვეთრად იცვლება ნიმუშიდან ნიმუშამდე, მაგრამ ამ მიმართულებით ბოლო დროს მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდა. შესაძლებელი გახდა რაოდენობრივი სპექტრული ანალიზის ჩატარება მაღნის, მინერალების, წიაღისეულის, შლაკების და მსგავსი ობიექტებისათვის. თუმცა ამოცანა ბოლომდე ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი, არალითონური ნიმუშების რაოდენობრივი ანალიზი ამჟამად ფართოდ გამოიყენება მრეწველობის მრავალ დარგში: მეტალურგიაში, გეოლოგიაში, ცეცხლგამძლე მასალების, შუშისა და სხვა სახის პროდუქციის წარმოებაში.

ატომურ სპექტრულ ანალიზში ნივთიერების შედგენილობის განსაზღვრის ფარდობითი ცდომილება ნაკლებადაა დამოკიდებული კონცენტრაციაზე. ის თითქმის მუდმივი რჩება მცირე მინარევების თუ მათი მაღალი კონცენტრაციის დროს ნიმუშის ძირითადი კომპონენტების განსაზღვრისას. ქიმიური ანალიზის შეთოდების სიზუსტე მკვეთრად მცირდება მინარევების განსაზღვრისას. ამიტომ დაბალი კონცენტრაციის დროს ატომური სპექტრული ანალიზი ბევრად ზუსტია ქიმიურ ანალიზთან შედარებით. განსასაზღვრავი ნივთიერების საშუალო კონცენტრაციის დროს ($0,1$ – 1%) ორივე მეთოდის სიზუსტე დაახლოებით თანაბარია, მაგრამ მაღალი კონცენტრაციის პირობებში ქიმიური ანალიზის სიზუსტე, როგორც წესი, უფრო მაღალია. მოლეკულური სპექტრული ანალიზი უფრო მაღალი სიზუსტის შედეგებს იძლევა, ვიდრე ატომური და სიზუსტით არ ჩამოუვარდება ქიმიურ ანალიზს მაღალი კონცენტრაციის დროს.

სპექტრული ანალიზის სიჩქარე საგრძნობლად აჭარბებს სხვა მეთოდებით ჩატარებული ანალიზის სიჩქარეს, რადგან სპექტრული ანალიზის ჩატარებისას არ არის აუცილებელი ნიმუშის წინასწარი დაყოფა კომპონენტებად. ამას გარდა თვით ანალიზი ძალიან სწრაფად სრულდება, მაგალითად სპექტრული ანალიზის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით რთულ ნიმუშში რამდენიმე შემადგენელი კომპონენტის რაოდენობრივ განსაზღვრას სულ რამდენიმე წუთი სჭირდება ნიმუშის ლაბორატორიაში მიტანიდან სრული რეზულტატის მიღებამდე. ანალიზის ხანგრძლივობა, რა თქმა უნდა, იზრდება, როდესაც საჭიროა სიზუსტისა და მგრძნობიარობის გაზრდა ამ დროს აუცილებელია ნიმუშის წინასწარი დამუშავება.

სპექტრული ანალიზის ჩატარების მნიშვნელოვან სისწავეებსთან პირდაპირ კავშირშია მისი წარმადობა, რაც მეტად მნიშვნელოვანია მასობრივი ანალიზის ოპერაციების ჩატარებისას. მაღალი წარმადობის რეაქტივებისა და სხვა მასალების მცირე ხარჯის გამო ერთი ანალიზის ღირებულება გაცილებით ნაკლებია ვიდრე ტრადიციული მეთოდებით ჩატარებული ანალიზისა, მიუხედავად მნიშვნელოვანი საწყისი კაპიტალდაბანდებისა რასაც მოითხოვს სპექტრული ანალიზისათვის საჭირო აღჭურვილობის შეძენა. უფრო მეტიც, როგორც წესი, რაც მეტია წინასწარი დანახარჯები და რთულია ნიმუშის წინასწარი მომზადების მეთოდიკა, მით უფრო სწრაფი და იაფია მასობრივი ანალიზის ჩატარების ღირებულება.

თავისი არსით სპექტრული ანალიზი აპარატურული მეთოდია. თანამედროვე აპარატურის გამოყენებისას სპექტროსკოპისტის ჩარევის საჭიროება საკმაოდ იშვიათია. დაღგენილია, რომ ეს დარჩენილი ოპერაციები შესაძლებელია იყოს ავტომატიზებული, რაც საშუალებას გვაძლევს მივუახლოვდეთ ნივთიერების ქიმიური შედგენილობის განსაზღვრის სრული ავტომატიზაციის დონეს.

სპექტრული ანალიზის მეთოდი უნივერსალურია. მისი საშუალებით შესაძლებელია ამოვიცნოთ სხვადასხვა მყარი, შიოთხითი და აირისებრი საანალიზო ობიექტის შემადგენელი პრაქტიკულად ნებისმიერი ელემენტი და ნაერთი.


სპექტრულ ანალიზს ახასიათებს მაღალი გარჩევადობა, რაც ნიშნავს, რომ რთული ნიმუშის პრაქტიკულად ყოველი ნივთიერება შეიძლება იქნეს განსაზღვრული მისი დაყოფის გარეშე.

7. მექანიკური გამოცდები

მასალის მექანიკურ თვისებებს უწოდებენ მის უნარს წინააღმდეგობა გაუწიოს დეფორმაციას (ფორმისა და ზომების შეცვლა) და გარე დატვირთვის ზემოქმედებით გამოწვეულ ნგრევას. ასეთ თვისებებს განეკუთვნება სიმტკიცე, პლასტიკურობა, სიმაგრე, სიბლანჩე (დარტყმითი), დაღლილობა, დენადობა.

დეფორმაციას, რომელიც დატვირთვის მოხსნის შემდეგ ქრება (მასალა იბრუნებს პირვანდელ ფორმას, მდგომარეობას), უწოდებენ დრეკად დეფორმაციას. დეფორმაციას, რომლიც დატვირთვის მოხსნის შემდეგ შენარჩუნდება, ნარჩენ დეფორმაციას უწოდებენ.

ნიმუშზე ან ნაკეთობაზე ძალის ზემოქმედების ხასიათზე დამოკოდებულებით განასხვავებენ კუმშვის, ჭიმვის, ლუნვის გადაადგილების (ჭრის), და გრეხის დეფორმაციებს სურ.24.



სურ.24. დეფორმაციის სახეები დატვირთვის ძალის მოქმედების მიმართულების მიხედვით: ა. კუმშვის; ბ. ჭიმვის; გ. ლუნვის; დ. გადაადგილების (ჭრის); ე. გრეხვის.

მასალის მექანიკურ თვისებების განსაზღვრის მიზნით სპეციალურ ნიმუშს ან მზა ნაკეთობას გამოცდებს უტარებენ მოცემული მასალისა და ნაკეთობის მიმართ სტანდარტებისა და სხვა ნორმატიულ - ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნების მიხედვით. ნიმუშს შეიძლება ჩაუტარდეს სტატიკური გამოცდა, როდესაც ნიმუშზე მოქმედებს მუდმივი ან მდოვრედ ცვლადი დატვირთვა, დინამიკური-როდესაც ნიმუშზე მოქმედებს დროში სწრაფად ცვლადი დატვირთვა (დარტყმა, ვიბრაცია), და განმეორებით-ცვლადი (დაღლითი)-როდესაც დატვირთვა ნიმუშზე მრავალგზის იცვლება როგორც სიდიდით, ისე მიმართულებით. მექანიკური ზემოქმედების შეფასება ხდება დაძაბულობის რიცხვითი მნიშვნელობებით.

დაძაბულობა არის შინაგანი ძალების ზომა, რომელიც ნიმუშში აღიძვრება გარე ზემოქმედებით (ძალა, დატვირთვა). დატვირთვის შეფასება ხორციელდება დაძაბულობის მიხედვით, რომელიც დეფორმირებული სხეულის ზომებზე არ არის დამოკიდებული.

დაძაბულობას, რომელიც ნიმუშის დერძის გასწრივ მოქმედებს, ნორმალური ეწოდება და აღინიშნება σ -თი. ნორმალური დაძაბულობის ერთეულია პასკალი (Pa), რომელიც ნიმუშის დერძის გასწრივ მიქმედი ერთი ნიუტონი (N) ძალის (P) ზემოქმედებაა ერთ კვადრატულ მეტრ ფართობზე (S):

$$\sigma = P/S.$$

ნორმალური დაძაბულობები მოქმედი დაატვირთვების მიმართულების მიხედვით არსებობს კუმშვის (სურ.24.ა) ან ჭიმვის (სურ.24.ბ).

დაძაბულობას რომლიც აბსცისთა დერძის მართობულად მოქმედებს ეწოდება მხები დაძაბულობა და აღინიშნება τ -თი. მისი ზემოქმედებით წარმოიშობა ჭრის დეფორმაცია (სურ.24.დ).

დაძაბულობებს, რომლთა დადგენა ხორციელდება სპეციალურ მანქანებზე მექანიკური ნიმუშების გამოცდის შედეგების მიხედვით, იყენებენ მანქანათა ნაწილების სიმტკიცის გაანგარიშებისას.

დეტალზე მოქმედი ძალა და დატვირთვა მათში წარმოშობს დაძაბულობებს, რომლებიც, თავის მხრივ, იწვევენ დეტალის დეფორმაციას. მაგალითად, სააგტომობილო ამწის ბაგირი ტვირთის აწევისას განიცდის ჭიმვის დაძაბულობის ზემოქმედებას, რაც ჭიმვის დეფორმაციის წარმოშობის მიზეზია. კუმშვის დაძაბულობის ზემოქმედებით კუმშვის დეფორმაციას განიცდის ჩარხის დგარები და ფუნდამენტები, საყრდენი კოლონები და ტრაქტორებისა და ტანკების მუხლება საგორავები. ტვირთის აწევისას სააგტომობილო ან კოშკურა ამწის ისარში აღიძვრება ღუნგის დაძაბულობა (სურ.24.გ), რომელიც იწვევს ისარის დეფორმაციას. ღუნგის დაძაბულობას განიცდის საყრდენი კონსტრუქცია, რომელზედაც განლაგებულია ტვირთი, მაგალითად რელსები, რომელზედაც დგას მატარებლის შედგენილობა ან კოშკურა და ხიდურა ამწე.

ჭრის დაძაბულობა მოქმედებს (სურ.24.დ) და შესაბამისად ჭრის დეფორმაციაზე მუშაობენ მოქლონური შეერთებები.

გრეხის დაძაბულობა იწვევს გრეხის დეფორმაციას (სურ.24.ე) მაგალითად ჭანჭიკზე ქანჩის მოქერისას.


სიმტკიცე არის მასალის უნარი, დაზიანების გარეშე მიიღოს, შინაგანი დაძაბულობისა და დეფორმაციის გამომწვევი, სხვადასხვა სახის დატვირთვები. გარე ზემოქმედების ძალების მოქმედების ხასიათის მიხედვით განასხვავებენ სიმტკიცეს გაჭიმვის, შეკუმშვის, ღუნგის, გრეხვის სიბლანტის და დაფლის მიმართ.

გაჭიმვის მიმართ სიმტკიცის განსაზღვრა - მასალის მექანიკური გამოცდის ყველაზე მნიშვნელოვანი და გავრცელებული სახის გამოცდაა. მასალის გამოცდა ჭიმვაზე ტარდება საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზებული ნორმატიული დოკუმენტების გვ.12004-81, გვ.1497-73 მიხედვით, რომლთა მიხედვითაც განსაზღვრული ფორმისა და ზომის ნიმუშებს გამოსცდიან სპეციალურ გამჭიმავ (გამწყვეტი) მანქანაზე. და დამატებით სტანდარტების ნიმუშს (სურ.25) თავაკებით ამაგრებენ მანქანის მომჯერებში და მუდმივი სიჩქარით იწყებენ მის დატვირთვას. ზრდადი დატვირთვის შედეგად ნიმუში იჭიმება მანამ, სანამ წერტილის დიამეტრი შემცირდება ძი სიდიდემდე.



სურ.25. ნიმუშის გამოცდა გაჭიმვის მიმართ

გამოცდის მიმდინარეობისას ავტომატურად ხდება გაჭიმვის დიაგრამის რეგისტრაცია (სურ.26), რომელიც წარმოადგენს ნიმუშის სიგრძის Δl ცვლილებას მასზე მოდებული დატვირთვის მიხედვით.



სურ.26. მცირენახშირბადოვანი ფოლადის გაჭიმვის დიაგრამა

დიაგრამაზე გაჭიმვის P , c , s , b წერტილების განსაზღვრა სიმტკიცის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებლებს ასახავს ესენია: პროპორციულობის ზღვარი, დრეკადობის, დენადობის, სიმტკიცის პირობითი ზღვრები.

პროპორციულობის ზღვარი S_p (p წერტილი დიაგრამაზე) არის დაძაბულობის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც აღიძვრება P_p დატვირთვის ზემოქმედებით, დეფორმაციის ამ მნიშვნელობამდე დატვირთვის პირდაპირპროპროციულად იზრდება. ამასთან ნიმუში აღიძვრება მხოლოდ დრეკადი დეფორმაციები. დატვირთვის შემდგომი ზრდისას ნიმუშის დეფორმაცია გადავა ნარჩენი დეფორმაციის ზონაში.

დრეკადობის პირობითი ზღვარი $S_{0,05}$ (დიაგრამაზე c წერტილი) არის დაძაბულობა, რომელიც აღიძვრება $P_{0,05}$ დატვირთვის ზემოქმედებით, როდესაც გამოსაცდელი ნიმუში იღებს საწყისი სიგრძის $0,05\%$ ნარჩენ წაგრძელებას. პრაქტიკულად დრეკადობის ზღვარი ძალიან ახლოსაა პროპორციულობის ზღვართან.

დენადობის პირობითი ზღვარი S_T - (დიაგრამაზე s წერტილი) არის P_T დატვირთვით აღძრული, როდესაც ნარჩენი წაგრძელება მიაღწიეს მოცემულ მნიშვნელობას, ჩვეულებრივ, $0,2\%$, ზოგჯერ $0,1 - 0,3\%$ -სა და მეტს. აღნიშნულის გათვალისწინებით დენადობის პირობითი ზღვარი არის $-0,1, -0,2, -0,3$ და ა.შ. შესაბამისად, დენადობის პირობითი ზღვარი განსხვავდება დრეკადობის პირობითი ზღვრისაგან მხოლოდ ნარჩენი წაგრძელების მოცემული მნიშვნელობით. დენადობის პირობითი ზღვარი შეესაბამება დაძაბულობას, როდესაც ხდება ლითონის პლასტიკურ დეფორმაციაზე უფრო სრული გადასვლა.

სიმტკიცის პირობითი ზღვარი S_b - (დიაგრამაზე b წერტილი) - პირობითად არის უდიდესი ძალა და აღიძვრება P_b დატვირთვის ზემოქმედებით, როდესაც ხორციელდება ნიმუშის თანაბარი დეფორმაცია მთელ სიგრძეზე. s წერტილის შემდეგ გაჭიმვის დიაგრამის s_b მონაკვეთზე დატვირთვის შემდგომი ზრდისას ნიმუში ვითარდება ინტენსიური პლასტიკური დეფორმაცია, რომელიც გრძელდება b წერტილამდე თანაბრად მთელ სიგრძეზე. b წერტილში, მცირე მონაკვეთზე, იწყება ნიმუშის განივი კვეთის მკვეთრი შემცირება ე.წ. ყელის წარმოქმნით.

სიმტკიცის ზღვარი გამოითვლება ფორმულით

$$S_b = P_b S_0.$$

სადაც: S_b - მასალის სიმტკიცის ზღვარია P_a (პასკალი), P_b - დატვირთვა b წერტილში, $N(\text{ნიუტონი})$; S_0 - ნიმუშის განივი კვეთის ფართობი გამოცდამდე, m^2 .

სიმტკიცის მასასიათებლებს იყენებენ მანქანის ნაწილების სიმტკიცის გამოთვლისას. პროპორციულობის, დრეკადობის და დენადობის ზღვრების მნიშვნელობების პრაქტიკული გამოყენება დაიყვანება დაძაბულობის რიცხვითი მნიშვნლობების დადგენამდე. ზემოქმედების ძალების ზღვრული მნიშვნელობაზე ნაკლები სიდიდის დაძაბულობის მოქმედების შედეგად შესაძლებელია მანქანის

დეტალები მუშაობდნენ ნარჩენი დეფორმაციის ს წარმოქმნის გარეშე ან დსაშვები დეფორმაციის ფარგლებში $\sigma_{0,05}, \sigma_{0,2}$ და სვა.

პლასტიკურობა არის მასალის თვისების გარე ძალის ზემოქმედებით, განადგურების გარეშე, შეიცვალოს ფორმა და ზომები და შეინარჩუნოს ნარჩენი პლასტიკური დეფორმაცია ამ ძალის ზემოქმედების მოხსნის შემდეგ. გამოსაცდელი ობიექტის პლასტიკურ თვისებებს განისაზღვრება გაჭიმვის მიმართ გამოცდის დროს. დატვირთვის ზემოქმედებით ნიმუში წაგრძელდება, ამასთან მისი განივი კვეთი შესაბამისად მცირდება. გამოცდისას რაც უფრო მეტად წაგრძელდება ნიმუში, მით უფრო პლასტიკურია მასალა. მასალის პლასტიკურობის მახასიათებელი მაჩვენებელია ნიმუშის ფარდობითი წაგრძელება და შევიწროება.

ფარდობითი წაგრძელებას უწოდებენ ნიმუშის გაწყვეტისას, მისი სიგრძის ნაზრდის ფარდობას, საწყის მდგომარეობასთან. ფარდობითი δ_s წაგრძელება გამოისახება პროცენტებით და გამოითვლება ფორმულით:

$$\delta = [(l_1 - l_0)/l_0] \cdot 100\%,$$

სადაც: l_0 არის ნიმუშის სიგრძე გამოცდამდე, [მ]; l_1 - ნიმუშის სიგრძეა გაწყვეტის შემდეგ, [მ]; (სურ.2).

ფარდობით შევიწროებას უწოდებენ გაწყვეტის შემდეგ ნიმუშის განივი კვეთის ფართობის შემცირების ფარდობას ნიმუშის გამოცდამდე განივი კვეთის ფართობან. ფარდობითი შევიწროება ψ -ს გამოსახვენ პროცენტით და გამოითვლიან ფორმულით:


$$\psi = [(S_0 - S_1)/S_0] \cdot 100\%$$

სადაც: S_0 არის გამოცდამდე ნიმუშის განივი კვეთის ფართობია, m^2 ; S_1 - გაწყვეტის შემდეგ ნიმუშის განივი კვეთის ფართობია, m^2 .

სიმაგრე (სისალე) არის მასალის თვისების წინააღმდეგობა გაუწიოს პლასტიკურ დეფორმაციას ან ზედაპირულ ფენაში მყიფე მსხვრევას ადგილობრივი ძალოვანი დატვირთვებისას. სისალე, ჩვეულებრივ, ფასდება უფრო მაღალი სისალის მქონე მასალის ინდიკტორის დაწოლის მიმართ, ლითონის ზედაპირის მიერ წინააღმდეგობის გაწყვის უნარით. სისალის გაზომვა შესაძლებელია უშუალოდ დეტალის ზედაპირზე მისი დაზიანების გარეშე. ლითონებისა და შენადნობების სისალის გაზომვას იყენებენ, როგორც მათი მექანიკური თვისებების შეფასების მეთოდს.

მასალის სისალის მიხედვით მსჯელობენ მისი სხვა თვისებების შესახებ. მაგალითად, მრავალი შენადნობისათვის, რაც მაღალია სისალე, მით მეტია გაჭიმვის სიმტკიცე, მაღალია ცვეთამედეგობა; როგორც წესი, დაბალი სისალის შენადნობების ჭრით დამუშავება ადგილია.


პრაქტიკაში სისალის გაზომვა ორი ხერხით ხორციელდება. თუ გამოსაკვლევი ობიექტის სისალე ნაკლებია, ვიდრე ნაწილობი ფოლადისა, მაშინ სისალეს ზომავენ ბრინჯელის მეთოდის მიხედვით (სურ.27. ა), თუ გამოსაკვლევი ობიექტის სისალე მეტია ნაწილობი ფოლადის სისალეზე, მაშინ სისალეს ზომავენ როკველის მეთოდით (სურ.27.ბ). გარკვეული P ძალით ბურთულაზე ან ბუნიკზე დაჭერისას ნიმუშზე მიღებული ღრმულის მიხედვით მსჯელობენ ნიმუშის სისალის შესახებ.



ა)

ნახ.27. სისალის გაზომვის სქემა


ა. ბრინჯელის ბ. როკველის მიხედვით



დარტყმითი სიბლანტე მასალის მახასიათებელია, როგორც აფასებს მისი წინააღმდეგობის უნარს მყიფე (ხისტი) დაზიანების მიმართ. დარტყმითი დატვირთვების

დროს, მასალაში აღძრული დაძაბულობა, მყისიერად მოქმედებს, ამიტომ მისი განსაზღვრა საკმაოდ ძნელია. დარტყმით სიბლანტეს განსაზღვრავენ მასალის დასამსხვრევად, დასაზიანებლად შესრულებული მუშაობის მიხედვით. ნიმუშის დარტყმით სიბლანტეზე გამოსაცდელი მოწყობილობის ქემა ნაჩვენებია 28-ე სურათზე.

დარტყმით სიბლანტეზე გამოსაცდელი მანქანის მრავალი ნაწილი და კონსტრუქცია მუშაობისას განიცდის, მექანიკური სასიათის, საკმაოდ მაღალი დონის დარტყმით დატვირთვას, რომელთა ზემოქმედება მათზე მყისიერად აისახება. დარტყმით დატვირთვას განიცდიან შტამპის ტიპის ინსტრუმენტები, ზოგიერთი სახის კბილანური გადაცემები და სხვ.



სურ.28. ნიმუშის დარტყმით სიბლანტეზე გამოსაცდელი ქანქარული კოპირის
სქემა: 1 - ნიმუში; 2 - ქანქარა; 3 - საყრდენები

დარტყმითი დატვირთვისას მასალის მექანიკური თვისებები შეიძლება რადიკალურად განსხვავდებოდეს მასალის სტატიკური დატვირთვის შემთხვევის ანალოგიური თვისებრივი მაჩვენებლებისაგან. მანქანისა და კონსტრუქციის დეტალების მუშაობის ხანგამდების გაანგარიშება დარტყმითი დატვირთვების დროს ხორციელდება დარტყმითი სიბლანტის მონაცემების გათვალისწინებით.

დაღლილობა არის მასალის მექანიკური და ფიზიკური თვისებების შეცვლა მასზე დროში ცვლადი ციკლით მოქმედი დაძაბულობისა და დეფორმაციის შედეგად. ასეთი დატვირთვების ზემოქმედებისას მუშა მექანიზმსა და დეტალებში წარმოქმნება და ვითარდება ბზარები, რომელთაც მათ სრულ დაზიანებამდე მივყავართ. მსგავსი დაზიანება იმითაა საშიში, რომ ის შეიძლება გამოიწვიოს ისეთი დატვირთვების მოქმედებისამ, რომელთა მნიშვნელობა გაცილებით ხაკლებია სიმტკიცისა და დენადობის დატვირთვის დასაშვებ ზღვარზე.

ამტანობა არის მასალის თვისება წინააღმდეგობა გაუწიოს დაღლილობას. დაღლილობის წინაღობა ხასიათდება ამტანობის ზღვრით, ანუ უდიდესი დაძაბულობით, რომელსაც შეუძლია გაუძლოს მასალამ დაზიანების გარეშე.

დაღლილობაზე გამოცდის მიზანი (ГОСТ 2860-65) არის მასალის (ნიმუშის) შესაძლებლობის ციკლურად, ცვლადი დატვირთვის ზემოქმედებისას, დაზიანების გარეშე მუშაობის უნარის რაოდენობრივი შეფასება. დაძაბულობის ციკლი არის ცვლადი დაძაბულობის მნიშვნელობების ერთობლიობა ცვლილების ერთი პერიოდის განმავლობაში. გამოცდებისას დატვირთვის ციკლების მოცემული რაოდენობას გამოცდის ბაზა ეწოდება. ჩვეულებრივ, გამოცდის ბაზა შეადგენს დატვირთვის 105 ციკლს. თუ მასალამ დაზიანების გარეშე გაუძლო ციკლების საბაზო გამოცდას დაზიანების გარეშე, მაშინ მოსალოდნელია რომ ის საჭირო წინააღმდეგობას გაუწივს დაღლას და ამ მასალისაგან დამზადებული დეტალი იმუშავებს საიმედოდ. მუშაობისას ციკლურად ცვლადი დატვირთვებს განიცდის შიგაწვის ძრავას მუხლა ლილვი, დერძები, ბარბაცები და სხვა.

დენადობა არის მასალის თვისება განიცადოს ნელი და უწყვეტი პლასტიკური დეფორმაცია მუდმივმოქმედი დატვირთვის ან დაძაბულობისას.

ნაკეთობებს, რომლებიც მუშაობენ მაღალ ტემპერატურაზე, გააჩნიათ ნაკლები სიმტკიცე, ვიდრე ხორმალურ ტემპერატურაზე მომუშავე ნაკეთობებს. ექსპლუატაციისას მასალა და ნაკეთობა გარკვეულ პირობებში, მაგალითად, მუდმივმოქმედი დატვირთვისას, შესაძლებელია პროგრესულად დეფორმირდებოდეს გარკვეული დროის განმავლობაში.

8. მეტალოგრაფია

მეტალოგრაფია არის ლითონების შესახებ მეცნიერების ერთ - ერთი შემადგენელი ნაწილი იგი შეისწავლის ქიმიური შედგენილობისა და სხვადასხვა სახის დამუშავების გავლენას ლოტონის სტრუქტურაზე.

აგებულების მიხედვით მყარი ნივთიერება არსებობს ამორფული და კრისტალური. ამორფული ეწოდება მყარ ნივთიერებას, რომლის ატომები სივრცეში განლაგებულია ქაოსურად. ასეთი ნივთიერებებია მინა, პლასტმასი, ფისი და სხვა. კრისტალური ეწოდება მყარ ნივთიერებას, რომლის ატომები (იონები) სივრცეში განლაგებულია მკაცრი პერიოდულად განმეორებადი წესით და ქმნიან მესერს. ასეთ ნივთიერებებს განეკუთვნება ლითონები, მარილები და სხვ. კრისტალური მესერი შედგება ლითონის ატომებისაგან შექმნილი მრავალი ერთგვაროვანი უჯრედისაგან. ლითონის ატომები შედგება დადებთად დამუხტული ბირთვისა და უარყოფითად დამუხტული ნაწილაკების - ელექტრონებისაგან. ელექტრონები მოძრაობები ბირთვის გარშემო სხვადასხვა მანძილზე და ქმნიან ელექტრონულ გარსს. მყარ ან თხევად მდგომარეობაში მყოფი ლითონის ატომის გარე (საგალენტო) ელექტრონები, ბირთვის მიერ სუსტად მიიზიდება და შეუძლიათ "თვისუფლად" გადავიდნენ ერთი ატომიდან მეორეზე. ამრიგად ლითონებში გარე ელექტრონები ერთიანდებიან (კოლექტივიზირდებიან) და ქმნიან ე.წ. "ელექტრონულ აირს".

ლითონების ატომურ-კრისტალური აგებულებით აიხსნება მათი ფიზიკურ-ქიმიური და მექანიკური თვისებები: მაღალი ელექტრო და სითბოგამტარობა, ლითონური ბრწყინვალება, პლასტიკურობა და სხვა.

ყველა ლითონი პოლიკრისტალური ნივთიერებაა ე.ი. შედგება მრავალი (10^{-1} - 10^{-6} მმ) არასწორი ფორმის კრისტალისაგან. მათ კრისტალიტები ან მარცვლები ეწოდება (სურ.8.1). ლითონის მარცვლებს სივრცეში სხვადასხვაგვარი ორიენტაცია გააჩნიათ.

მრეწველობაში სუფთა ლითონი შეზღუდული რაოდენობით გამოიყენება სპეციალური მიზნით. ყველაზე მეტად გამოიყენება სხვადასხვაგვარი შენადნობები, რომელებიც უფრო მაღალი დონის მექანიკური თვისებებით გამოირჩევიან.



სურ.29. ნახშირბადოვანი ფოლადის სტრუქტურა (გადიდებულია 100 ჯერ)

ყველაზე ხშირად შენადნობი ორი ან რამდენიმე ლითონის ან ლითონისა და არალითონის შენადნობია. ქიმიური ელემენტებს, რომლებიც შენადნობს წარმოქმნიან კომპონენტები ეწოდებათ.


შენადნობი შედგება ერთი ან რამდენიმე ფაზისაგან. ფაზა -შენადნობის ნაწილია, რომელსაც გააჩნია ერთგვაროვანი შედგენილობა და აგრეგატული მდგომარეობა და გამოყოფილია დანარჩენი ნაწილებისაგან გამყოფი ზედაპირით. ასე მაგალითად, სუფთა მყარი ლითონი ერთფაზიანი სისტემა, ხოლო ნაწილობრივ გამყარებული ლითონი ორფაზიანი, კრისტალები- მყარი ფაზაა, ხოლო ნადნობი - თხევადი. შენადნობის ერთ - ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი მისი სტრუქტურაა. ლითონის სტრუქტურა გულისხმობს სხვადასხვა ფაზის ურთიერთგანალაგებას, მათი შემადგენელი კრისტალების ფორმასა და ზომებს.

ლითონის სტრუქტურის შესწავლა სპეციალურად მომზადებულ ბრტყელ და გლუვ ზედაპირებზე ეწ. “მიხეხილ” ზედაპირებზე მიმდინარეობს. ლითონის გაპრიალება შეიძლება მექანიკურად ფხვიერი აბრაზიული და ელექტრული (სპეციალურ რეაქტივში გახსნით ელექტრული დენის მოქმედებისას) მეთოდებით.

ლითონის სტრუქტურის გამოვლენის სხვადასხვა მეთოდიდან უკელაზე ხშირად იყენებენ მისი ზედაპირის ქიმიურ დამუშავებას (ამოჭმას). ამ მეთოდის გამოყენებისას მიხეხილ ზედაპირს ამუშავებენ სპეციალური რეაგენტის საშუალებით, რომელიც კვლევის მიზნის მიხედვით გამოაავლენს მარცვლების საზღვრებს, სხვადასხვა ფაზას, არალითონურ ჩანართებს, ზედაპირულ მარილებს, ფორებს, ბზარებსა და ლითონის აგებულების სხვა დეტალებს.


პრაქტიკული მიზნებისათვის, ჩვეულებრივ, ახორციელებენ მოხეხილი ზედაპირის მაკრო, და მიკროსტრუქტურის კვლევას.

მიკროსტრუქტურა არის შეუიარადებელი ან მცირე (30-40 ჯერადი) გადიდებისას თვალისათვის ხილული ლითონის ან შენადნობის აგებულება (სურ.30.). მიკროსტრუქტურის ანალიზი საშუალებას გვაძლევს ლითონში აღმოვაჩინოთ მსხილი არალითონური ჩანართები, ფორები, ნიუარები, ბზარები, გამოვავლინოთ ბოჭკოების მიმართულება ლითონის წნევით დამუშავების შემდეგ, ასევე შედუღების დეფექტები (შეუდუღებელი ადგილები, აირის ბუშტუკები და სხვა.)




სურ.30. შედუღებით შეერთების მაკრომიხეხილი ზედაპირი (ნატურალური ზომა)

მიკროსტრუქტურა არის მიკროსკოპის საშუალებით, თვალისათვის ხილული ლითონის ან შენადნობის აგებულება (სურ.31, სურ.32.). მიკროსტრუქტურის ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავარჩიოთ ლითონის მარცვლების სიდიდე და მდებარეობა, მცირე ლითონური ჩანართებისა და ლითონის სხვადასხვა ფაზის ზომები და რაოდენობა, გავაკონტროლოთ ნაკეთობის ზედაპირის ფენის სტრუქტურის მგომარეობა, გამოვავლინოთ მიკროდეფექტები (მცირე ბზარები, ნიუარები და სხვა), ასევე კრისტალური აგებულების ზოგიერთი დეფექტი (დისლოკაცია და გროვები).



სურ.31. ალუმინის სტრუქტურა (X100)



სურ.32. რეხი თუჭის სტრუქტურა (X100)

მრავალრიცხოვანი კვლევით დადგენილია, რომ ლითონის ნაკეთობათა თვისებების განსაზღვრის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი ლითონის სტრუქტურაა. ლითონის, ნამზადის და ნაკეთობის მიკრო და მაკრო ანალიზი საშუალებას გვაძლევს დროულად გამოვავლინოთ ლითონის დეფექტები, რომელთაც შეუძლიათ შეამცირონ ნაკეთობის მუშაობის საექსპლუატაციო თვისებები და საიმუდოობა. ამიტომ სტრუქტურის კონტროლი ნაკეთობის დამზადების ნებისმიერ ეტაპზე ხორციელდება, გამოდნობიდან დაწყებული მზა პროდუქციის თერმულ დამუშავებამდე.

9. ზოგადი ცნობები აკუსტიკური ემისიის შესახებ

კონსტრუქციის მასალის ხარისხი მისი შეუფერხებელი მუშაობით განისაზღვრება. ამ თვალსაზრისით შეფერხება ნიშნავს განადგურებას, შეზღუდულ დაზიანებას, პერმეტულობის დარღვევას ან მნიშვნელოვანი დეფორმაციების დაგროვებას. მასალის ხარისხის უმნიშვნელოვანების მახასიათებელია დეფორმაცია და განადგურებისათვის წინააღმდეგობის გაწვის უნარი. პირველ რიგში მათ განეკუთვნება ისეთი მახასიათებლები როგორიცაა, დენადობის ზღვარი, დროებითი წინააღმდეგობა, წევეტისადმი ჭეშმარიტი წინააღმდეგობა, პირობითი წაგრძელება გაწყვეტის შემდეგ.

ამასთან, ექსპლუატაციის დროს მასალის ქვევასა და აღნიშნულ მექანიკურ მახასიათებლებს შორის კვშირის არსებობის გამოვლინება გამოანგარიშების გზით შესაძლებელია მხოლოდ პირველადი და ისიც უხევში მიახლოებით. ეს ფაქტი შემდგა მოსაზრებით აიხსნება. მექანიკურ მახასიათებლებს პირობითი სახე გააჩნიათ და განისაზღვრებიან პირობით გარემოებებში, რომლებიც გეომეტრიულად არ შეესაბამებიან გამოსაცდელ ობიექტებს, დატვირთვის კანონებს, დაძაბულობა - დეფორმაციების მდგომარეობას, გარე ზემოქმედებისა და დროის ფაქტორების რაოდენობასა და დატვირთვის კანონებს. მუშა დეტალების, კვანძების, აგრეგატების სტრუქტურისა და ქიმიური შედგენილობის ბუნებრივ რხევებს, ასევე მათ ცვლილებებს ექსპლუატაციის პროცესში, მიკვავართ ნიმუშების არჩევითი დამანგრეველი გამოცდების ჩატარებისას მექანიკური მახასიათებლების გაზომვის შედეგების ექსტრაპოლაციის გამო, მათი მაღალი სიზუსტით ჩატარების შეუძლებლობამდე. დასასრულ, გარე ზემოქმედების ფაქტორების შემთხვევითი ხასიათი არ იძლევა მასალისა და კონსტრუქციის ქცევის ზუსტი აღწერის შესაძლებლობას მაშინაც კი, როდესაც ზუსტადა ცნობილი მასალის მექანიკური მახასიათებლები.

აღნიშნული სირთულეების გადაღაცხის შესაძლო გზა შეიძლება იყოს:

- მასალის ისეთი მახასიათებლების შერჩევა, რომლებიც უფრო ახლოს იქნება იმ ფიზიკურ-ქიმიურ პროცესებთან, რომლებიც განსაზღვრავენ კონსტრუქციის მასალის წინააღმდეგობისა და დეფორმაციის უნარს ნგრევითი დაზიანების მიმართ;

- არარღვევადი მეთოდებისა და ამ მახასიათებლელთა გაზომვისა და ანალიზის საშუალებების დამუშავება;

- ექსპლუატაციის პროცესში კონსტრუქციის მდგომარეობის ცვლილებისა და წინასავარიო სიტუაციის დამახასიათებელი უწყვეტი მოქმედების მეთვალყურე მეთოდებისა და საშუალებების დამუშავება.

ამ პრობლემების გადაწყვეტა საშუალებას გვაძლევს:

- გაიზარდოს მასალის (კონსტრუქციების) საექსპლუატაციო ქცევის პრიორული შეფასებების სანდოობა;

- დავადგინოთ სამრეწველო პროდუქციის მიღების მეცნიერულად დამტკიცებული ნორმები;

- საჭიროების შემთხვევაში ორგანიზაცია გავუკეთოთ მასალისა და კონსტრუქციის მუშა ეგზემპლარების მექანიკური მახასიათებლების ასპროცენტიან კონტროლს;

- მნიშვნელოვნად შევამციროთ ან სართოდ აღმოვფხვრათ გაუთვალისწინებელი შეფერხების შემთხვევები;

- დავადგინოთ პროფილაქტიკური რემონტის ოპტიმალური ვადები.

ამ პრობლემების გადასაწყვეტად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დრეკადი აკუსტიკური ტალღები, რომლებიც მასალის დეფორმაციისა და მისი სტრუქტურის მკვეთრი ცვლილებებისას აღიძერება. აკუსტიკური ტალღების აღძღვის პროცესი ცნობილია აკუსტიკური ემისიის სახელით (ა.ე), ხოლო აკუსტიკური ემისიის შესახებ ინფორმაციის მატარებელი ცვლადი სტოქასტიკური ფიზიკური სიდიდის სიგნალი – აკუსტიკური ემისიის სიგნალის სახელითაა ცნობილი. მასალის სტრუქტურის ლოკალურ გადაწყობასთან დაკავშირებული აკუსტიკური ემისიის სიგნალის პარამეტრები სრულ კოლერაციაში არიან მასალების მთლიანობის რდგვევის დეფექტების განვითარების კინეტიკის პარამეტრებთან. დეფორმაციული სიგნალების წარმოშობის ერთ - ერთი წარმოშობის დისლოკაციის მოძრაობის პროცესები, რომელთა აკუსტიკური ემისიის სიგნალები კოლერირებულია პლასტიკური დეფორმაციის

დისკრეტულ მექანიზმთან და სიმტკიცის დიაგრამაზე ნახტომისებრ ცვლილებებთან. დეფორმაციული სიგნალების გამოყენებით შესაძლებელია მასალებში ფაზური გარდაქმნების დაფიქსირება საკმაოდ მაღალი საიმედოობით. დეფორმაციული სიგნალების რეგისტრაცია ბზარების წარმოშობისა და განვითარების პლატფორმის ერთ - ერთი მეთოდია.

მასალის დეფორმაციასთან დაკავშირებული აკუსტიკური ტალღების კვლევის ფიზიკური მეთოდები გვიჩვენებენ, რომ ამ მეთოდის საფუძვლზე შესაძლებელია შეიქმნას მასალის მდგომარეობის აღწერის არარდვევადი დიაგნოსტიკური კონტროლის უფექტური მეთოდები საშიშროების აღმრისა და შეფერხების მომენტის სიახლოვის განსაზღვრისათვის. აღნიშნული მეთოდების გამოყენებით უკვე შექმნილია კონკრეტული ტიპის აპარატურა და სადიაგნოსტიკო მეთოდები მასალათა კონსტრუქციების დიაგნოსტიკათვის. თანამდროვე პირობებში მიმდინარეობს მნიშვნელოვანი სამუშაოები აკუსტიკური ემისიის გამოსაყენებლად მანქანათმშენებლობის სფეროში სადიაგნოსტიკო არარდვევადი მეთოდების დანერგვისათვის, რომელთაც ფართო გამოყენება პპოვეს მაღალი წნევის მიღწევის და საცავების, შედევლებული და წებოვანი შეერთებების მასალათა დაღლით გამოწვეული ბზარებისა და სტრუქტურული ცვლილებების აღმოჩენაში.

მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომ აკუსტიკური ემისიის მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია გაიზომოს მასალისა და კონსტრუქციის დაძაბულობით გამოწვეული დეფორმაციის დონე, აღმოვაჩინოთ განვითარებადი დეფექტები და განგსაზღვროთ მათი კორდინატები, შევაფასოთ მათი საშიშროების ხარისხი აგრეთვე გადავჭრათ კონსტრუქციებისა და ნაგებობების მდგომარეობის შეფასების სხვა მოცანები. პრაქტიკულ სამუშაოებში სამწუხაროდ ეს მეთოდები ჯერ კიდევ ვერ გამოიყენება საონადოდ, რაც მეთოდის სიახლით, თეორიისა და პრაქტიკის გადაუჭრელი საკითხების არსებობით და ფართო მომხმარებლისათვის განკუთვნილი სისტემატიზებული ინფორმაციის ნაკლებობით შეიძლება აიხსნას.

9.1. აკუსტიკური ემისიის ფიზიკური არსი

მასალასა და კონსტრუქციაზე სხვადასხვა სახის ზემოქმედებამ (მექანიკური, სითბური) შეიძლება მათ ლოკალურ სტრუქტურულ ცვლილებებამდე მიგვიყვანოს, რაც აკუსტიკური ემისიის წყაროს წარმოადგენს. განვიხილოთ ამ მოვლენის წარმოშობის ზოგიერთი მექანიზმი.

კრისტალების დეფორმაციის ერთ - ერთი ფორმაა გაორმაგება, რომლის არსი კრისტალური მესრის კვანძების ერთი ნაწილის სიმეტრიული შემობრუნებაა მისი მეორე ნაწილის მიმართ. მესრის ახალ მდგომარეობაში გადასცლა ნახტომისებურად მიმდინარეობს დიდი (ბერასთან მიახლოებული) სიჩქარით, რაც დეფორმაციის დრეკადი ტალღების გამომწვევი მიზეზია. დრეკადი ტალღების წამოშობის მიზეზად გვევლინება ასევე დისლოკაციის ნახტომისებური შეცვლა სრიალის ხაზების გასწვრივ მარცვლების საზღვრების მიმართულებით. მარცვლების საზღვრებზე შესაძლებელია საკმაოდ მნიშვნელოვანი, დისლოკაციების არსებობა, რომლებიც მიკრო ბზარების წარმოშობის წყარო. გამოცდილება და გამოთვლები გვიჩვენებს, რომ ბზარის წარმოშობის საწყისი მდგომარეობისათვის საკმარისია 300 დისლოკაციის გადაადგილება და შერწყმა. კრისტალის დეფორმაციის გამომწვევი ძალის და ასეთი მიკრობზარის ყელში დაძაბულობის კონცენტრაციის ზრდა მისი დისკრეტული ზრდის მიზეზი ხდება, რასაც თან სდევს ტალღური გამოსხივება.

მყარ მდგომარეობაში მყოფ მასალაზე, მექანიკური და სითბური მოქმედებით მასში შეიძლება განვითარდეს ფაზური გარდაქმნები. მარტენსიტული ტიპის გარდაქმნები წარმოადგენს ატომების კოლექტიური გადაადგილების ძვრებს, რაც, როგორც წესი, ფორმის ცვლილებით მიმდინარეობს. ამ პროცესთან ერთად შეიმჩნევა გარდაქმნილი სტრუქტურის ზემოქმედება გარემოზე, რაც მასალაში მექანიკური ტალღების წარმოშობის მიზეზია. მასალის პლასტიკური დეფორმაციაც ასევე ნახტომისებურად მიმდინარეობს, რაც ჩვეულებრივ დიაგრამებზედაც შესამჩნევია,

რომელიც ნიმუშის რდგვევითი გამოცდისას აპარატურის საშუალებით იწერება. ამ მოვლენის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი მასალისათვის ნახტომების ზვავს მივყავართ აბსოლუტური დეფორმაციის მოკლევადიანი ნაზრდის გაჩენასთან დროს მცირე შეაღებდა. ამ მოვლენის მექანიზმი დისლოკაციურობის თვალსაზრისით შემდეგნაირად აიხსნება. მასალის პლასტიკური დეფორმაციისას დისლოკაციების მოძრაობისას ხდება ადგილობრივი შეჩერებები სხვადასხვა წინააღმდეგობასთან. დისლოკაციების მიერ ამ წინააღმდეგობების თვითნებურ ან ინიცირებულ გადალახვას მივყავართ სწრაფ ადგილობრივ ჭრებთან, რაც ჩვეულებრივ იძლევა დეფორმაციულ ნახტომს. საბოლოოდ ხდება დეფორმაციისა და დაბაბულობის დინამიკური გადანაწილება, რაც მასალაში აღძრავს მექანიკურ ტალღებს.

აქ ჩამოვლილი მექანიზმები ძირეულად ვერ ავსებს ყველა იმ მოვლენას, რომელიც დაკავშირებულია მყარ სხეულებში დეფორმაციისას დაძაბულობის ტალღების გაჩენასთან, მაგრამ მათ ყველას ახასიათებს საერთო ნიშნები, რაც საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ აკუსტიკური ემისის ცნება:

აკუსტიკური ემისია არის მასალებში აღმოჩენილი შინაგანი დაძაბულობის ტალღებით გამოწვეული, შემადგენელი სტრუქტურის ლოკალური დინამიკური გამოსხივების გავრცელების პროცესი, რომელსაც კრისტალური მესრის ცვლილებისაკენ ან მიკრო და მაკროდეფექტების წარმოშობამდე მივყავართ. სხეულის ზედაპირის მიღწევისას ეს ტალღები იწვევს ზედაპირის წერტილების წანაცვლებას, რაც შესაძლებელია შესაბამისი აპარატურის საშუალებით დაფიქსირდეს.

ემისის გამომწვევ იმპულსებზე დამოკიდებული აღნიშნული წანაცვლების მაქსიმალური ამპლიტუდური და სისშირული სპექტრის მნიშვნელობა. რადგან მიკრობზარების მოძრაობით წარმოშობილი წანაცვლების ამპლიტუდები მნიშვნელოვნად უნდა აჭარბებდნენ ცალკეული დისლოკაციების მოძრაობას. მიუხედავად ამისა, დროში შემთხვევითი ხასიათით ცვლადი, განსახილველი ცალკეული რეალიზაციების რთული სახისა და მასალების დეფორმაციის ცვლილებისა საკმაოდ ფართო დიაპაზონში, ფუნქციის შედარებით სუსტად ცვლილების ფონზე, უნდა არსებობდეს საკმაოდ დიდი ამპლიტუდის ცალკეული იმპულსები.


საბოლოოდ აკუსტიკური ემისიის სიგნალები შეიძლება დაიყოს ორ ძირითად სახეობად:

• უწყვეტი ემისია - შედარებით დაბალი ამპლიტუდის რხევები ფართო სისშირული სპექტრით, რომლის ზედა ზღვარი აღწევს 30MHz, ახასიათებს დისლოკაციათა დიდი ჯგუფების გადაადგილებას და მიგვითოთებს მიკროდეფექტების დაგროვების ზონების ფორმირებაზე.

• დისკრეტული ტიპის ემისია - დამრეცი ფრონტისა და მნიშვნელოვნად დიდი ამპლიტუდების რთული ფორმის მოკლე იმპულსების თანმიმდევრობაა. ასეთი ტიპის ემისიის შემთხვევაში ენერგიის უმეტესი რაოდენობა თავმოყრილია სპექტრის დაბალსისში ნაწილში. იგი დაკავშირებულია მიკროდეფექტებისა და მიკრობზარების განვითარებასთან და მათ ურთიერთშერწყმასთან რაც მაგისტრალური ბზარის წარმოშობას განაპირობებს.

ორივე ტიპის ემისია შეიძლება არსებობდეს, როგორც ერთდროულად, ისე შეიძლება იყვნენ ერთმანეთის მიმართ დროში დაძრული.

თანამედროვე აპარატურას შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს და დამუშაოს ორივე ტიპის სიგნალი, რაც საშუალებას იძლევა მასალის დეფორმაციის პროცესიდან გამოიყოს მომენტები, რომლებიც მომავალში დაკავშირებული იქნება საშიში ზონების ფორმირებასა და მათში რღვევის პროცესების განვითარებასთან.



სურ.33. აკუსტიკური ემისიის ტიპური სიგნალი


გაჭიმვის ძალის ზემოქმედების, აკუსტიკური სიგნალის ჯამური ოსცილოგრამა, რომელიც აღძრულია 09Г2С მარკის ფოლადის ნიმუშის გამოცდისას მასალის სტრუქტურის რღვევის გარკვეული მომენტისათვის ნაჩვენებია 33-ე სურათზე. ოსცილოგრამაზე ჩანს, რომ აკუსტიკური ემისიის სიგნალის როგორც ამპლიტუდა, ასევე სიხშირე დროის შესაბამისი მომენტისათვის ასახავს დეფორმაციისა და რღვევის როგორც პროცესებს.

10. თერმოგრაფია

ტემპერატურა, როგორც შინაგანი ენერგიის რაოდენობრივი მაჩვენებელი, ფიზიკური სამყაროს ობიექტებისა და პროცესების უნივერსალური მახასიათებელია, რაც სამყაროში მუდმივად მიმდინარე პროცესების ენერგიის განერაციას, გარდაქმნას, გადაცემას, დაგროვებას და გამოყენებას გულისხმობს სხვადასხვა ფორმით. ტემპერატურული პროცესების ანალიზი (ობური ველი, სითბოს გადაცემა, კარგვა და სხვა) საშუალებას გვაძლევს მივიღოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია ობიექტის მდგომარეობისა და ბუნებაში მიმდინარე პროცესების შესახებ (ენერგეტიკა, მშენებლობა, მრეწველობა, მედიცინა და სხვა).



სურ.34. თბოგენერატორის თერმოგრაფული სურათი.



სურ.35. ელექტროგამანაწილებელი კარადის თერმოგრაფული სურათი.

ნებისმიერი სხეული, რომლის ტემპერატურა განსხვავდება აბსოლუტური ნულისაგან, ინფრაწითელი (ობური) გამოსხივების წყაროა. რომელიც ჯერ კიდევ 1800 წელს უილიამ გერშელმა აღმოაჩინა. უშუალო კავშირის არსებობამ სხეულის სითბური გამოსხივების ინტენსივობასა და მის ტემპერატურას შორის, რომელიც დასაბუთებულია სტეფან - ბოლცმანის, პლანკისა და ვინის კანონებით საშუალება მოგვცა მოგვეხდინა ტემპერატურის დისტანციური გაზომვა (კონტროლი) სითბური გამოსხივების რეგისტრაციის გზით. ტექნიკის ამ სფეროშ თერმოგრაფიის (თერმომცოდნების) სახელწოდება მიიღო.

დღეს გავრცელებული და მიღებული ტერმინოლოგიით თერმოგრაფია გულისხმობს ფიზიკურ ობიექტებში სითბური ენერგიის (ტემპერატურის) სივრცული და დროითი განაწილების ანალიზის მეთოდს, სითბური გამოსახულების (თერმოგრამა) აგების გზით.

გასული საუკუნის 60-იან წლებში პირველად გამოჩნდა შვედური ფირმის **AGEMA Infrared Systems** მიერ წარმოებული თერმოვიზორები. პირველ რიგში თერმოგრაფიული კონტროლი და გამოკვლებები გამოყენებული იყო ელექტროტექნიკაში, რადიოელექტრონიკაში, რაკეტმშენებლობაში.

თერმოგრაფიის განვითარებასთან ერთად ამავე წლებში საფუძველი ჩაეყარა სითბური კონტროლის მიმართულებას, რომელიც შემდგომ არარღვევითი კონტროლის

ერთ - ერთი სტანდარტიზებული მეთოდი გახდა. თერმოგრაფიისა და სითბური კონტროლის ურთიერთკავშირი განპირობებულია თერმოვიზორების, როგორც სარეგისტრაციო ხელსაწყოების, ჟანირატების გამოყენებით. განასხვავებენ სითბური კონტროლის პასიურ და აქტიურ მეთოდებს, თუ პასიური მეთოდის შემთხვევაში სარეგისტრაციო - საკონტროლო აპარატურა თერმოვიზორების გამოყენებით შემოიფარგლება აქტიური თერმოკონტროლის მეთოდის გამოყენებისას თერმოვიზორების გარდა გამოყენებულიის სხვადასხვა სახის დამხმარე აპარატურა.

თერმოგრაფიას, როგორც სითბური კონტროლის პასიურ საშუალებას, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სითბურ დიაგნოსტიკასაც უწოდებენ.

თერმოგრაფიის მეთოდების გამოყენებაზე დაფუძნებულმა აქტიური თერმო კონტროლის მეთოდმა ჯერ-ჯერობით ვერ პოვა გამოყენების ფართო სფერო, მაგრამ დიდი ფორმატის, სწრაფქმდი, სითბური გამოსახულების კომპიუტერული დამუშავების შესაძლებლობის მქონე მატრიცული თერმოვიზორების გამოჩენაში შესაძლებელი გახდა ამ მიმართულების აქტიური განვითარება.

აქტიური თერმოკონტროლის მეთოდისადმი ინტერესს მისი უნივერსალურობა, მაღალი წარმადობა და მომსახურების უსაფრთხოება იწვევს (განსხვავებით რედგენული და რადიაციული მეთოდებისაგან). აქტიური თერმოკონტროლის მეთოდის გამოყენება უდავო უპირატესობას იძლევა ბევრი ისეთი ამოცანის გადაჭრის დროს, როგორიცაა: განშრევების დეფექტების, პაერის ჩანართების, შეუწებელელი, მიურჩილავი, შეუდევებელი ადგილების აღმოჩენა სხვადასხვა სახის მასალაში: კომპოზიციურ ნაკეთობებში, მრავალშრიან სტრუქტურებში, არმირებულ, შეწებებულ და შედევებულ კონსტრუქციებში, თბოსაიზოლაციის გარსებში და ა.შ.

დღევანდელ პიობებში თერმოგრაფიული დიაგნოსტიკა და სითბური კონტროლი გამოყენებითი კვლევის მაღალტექნოლოგიურ სფეროს წარმოადგენს, რომელიც აერთიანებს მიღწევებს არამხოლოდ აპარატურის შექმნის თვალსაზრისით, არამედ სითბოგადაცემის, კომპიუტერული და ინფორმაციული ტექნოლოგიების თვალსაზრისითაც.

აქტიური თერმოკონტროლის თვისებრივად ახალი ეტაპია ისეთი მიმართულებების განვითარება როგორიცაა თერმული დეფექტომეტრია და თერმოგრაფია. განსხვავებით დეფექტოსკოპიისაგან, რომლის მთავარი ამოცანა დეფექტის გამოვლენაა, დეფექტომეტრიის მიზანია ექსპერიმენტული მონაცემების მიხედვით დეფექტის პარამეტრების განსაზღვრა შებრუნებული ამოცანის აღგორითმის გადაწყვეტილების გამოყენებით.

სითბური თერმოგრაფია მიმართულებაა კოორდინატების მიხედვით განაწილებული მისი სითბურ ფიზიკური მასასიათებლების მიხედვით ობიექტის შინაგანი სტრუქტურის სივრცული სურათის მიღება.

საერთაშორისო მასშტაბით შექმნილია თერმოგრაფისტთა საზოგადოებები, რომლებიც ევროპაში გაერთიანებულია საერთოევროპულ ორგანიზაციად EUROTHERM. არა დამარცველი კონტროლის ამერიკული ორგანიზაცია (ASNT) 1991 წლიდან აწარმოებს ოპერატორების სერტიფიცირებას II და III დონის საერთაშორისო სერტიფიკატებით.

უცხოური გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მართალია თერმოვიზორების ღირებულება საქმაოდ მაღალია (60000\$) მაგრამ მისი, ამოსეყიდვის ვადა სულ რაღაც 0,5 – 1 წელია. მას იყენებენ ისეთი აღიარებული კომპანიები როგორიცაა: **Ford, General Electric, Volvo, Martin Lockheed Marietta, Boeing, Sharp, SONY, NASA, British Airways, Airbus Industry, Union Carbide**

დღევანდელი მდგომარეობით საქართველო ამ მიმართულებით არასახარბიერო მდგომარეობაშია, რადგან დიაგნოსტიკის ამ მეთოდზე სამრეწველო ინდუსტრიის სიმცირის გამო თითქმის არ არსებობს მოთხოვნა. იმედს გამოვთქვამ, რომ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებთან შემდგომი ეკონომიკური, სავაჭრო და სამრეწველო ინტეგრაცია დადგებითი შედეგის მომტანი იქნება ამ მიმართულების განვითარებისთვისაც.

ლიტერატურა

1. ბახტაძე ჯ., წიქარიშვილი მ., დაღუნდარიძე გ., თავაძე ი. კონსტრუქციების დაზიანების ტექნიკური დიაგნოსტიკა. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 1999. 536.5 (077)/1
2. Биргер И. А. Техническая диагностика. М.: Машиностроение, 1978.
3. Вибрации в технике. Под. редю М.Д.Генкина. Справочник в 6 томах. том 5. Москва “Машиностроение “, 1981.
4. <http://lnktd-opz.narod.ru/vd.html><http://lnktd-opz.narod.ru/pribor.html>
5. 1. Технические средства диагностирования: Справочник/В. В. Клюев, П. П. Пархоменко, В. Е. Абрамчук и др.; под общ. Ред. В. В. Клюева. — М.: Машиностроение, 1989. — 672 с.
6. 2. Алексеева Т. В., Бабанская В. Д., Башта Т. М. и др. Техническая диагностика гидравлических приводов. М.: Машиностроение. 1989. — 263 с.
7. 3. Костюков А.В., Костюков В.Н. Повышение операционной эффективности предприятий на основе мониторинга в реальном времени. - М.: Машиностроение, 2009. – 192 с.
8. Надежность и диагностика технологических систем : учеб. / А.Г. Схиртладзе, М.С. Уколов, А.В. Скворцов ; под ред. А.Г. Схиртладзе. — Москва : Новое знание, 2008. — 518 с. : ил. — (Техническое образование).

რედაქტორი ი. მეგრულიშვილი

გადაეცა წარმოებას 26.06.2013. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.10.2013. ქაღალდის ზომა
60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 5.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77



Verba volant,
scripta manent